საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო აკადემია

თ. მჭედლიშვილი, ქ. შავლიაშვილი,
ს. ლობჯანიძე, მ. თვაბერიძე, თ. მიქიაშვილი

სპორტისა და ტურიზმის მენეჯმენტი

დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს ფიზიკური
აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემიის
სტუდენტებისათვის

თბილისი
2008

რედაქტორი: პროფესორი ჯ. ძაგანია

რეცენზენტები: პროფესორი ლ. აფციაური
პროფესორი ჯ. ძაგანია

დამხმარე სახელმძღვანელოში განხილულია სპორტისა და ტურიზმის მენეჯერის თეორიული საფუძვლები, სახელმწიფო (სამინისტროები, დეპარტამენტები, უწყებები) და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის პროგნოზირების, დაგეგმვის, პროპაგანდისა და ტურიზმის საკითხები.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემიის სტუდენტებისათვის, ფიზიკური აღზრდის და სპორტის კოლეჯის მოსწავლეთათვის.

სახელმძღვანელო დახმარებას გაუწევს აგრეთვე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტებს, ამ დარგში მომუშავე საზოგადოებრივ აქტივს – ინსტრუქტორებს, მეთოდისტებს, მწვრთნელებს.

ISBN 978-9941-9019-8-0

© თ. მჭედლიშვილი, ქ. შავლიაშვილი, ს. ლობჯანიძე, მ. თვაბერიძე, თ. მიქიაშვილი - 2008

© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2008

საგანი - „სპორტისა და ტურიზმის მენეჯმენტი"

საგანი „სპორტისა და ტურიზმის მენეჯმენტი" წარმოადგენს პედაგოგიური ციკლის ერთ-ერთ მაპროფილებელ დისციპლინას, რომელიც შეისწავლის და მეცნიერულად ასაბუთებს ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სოციალური პროცესების მართვის ცოდნას და სამმართველო მოღვაწეობის ეფექტიანობის ზრდას აუცილებელი ორგანიზატორული ჩვევებით.

საგნის „სპორტისა და ტურიზმის მენეჯმენტი"-ის იდეოლოგიური და მეთოდოლოგიური საფუძვლებია ზოგადსაკაცობრიო მოძღვრება საზოგადოებისა და მისი განვითარების კანონების შესახებ.

ძირითადი წყაროები კი არის საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი სპორტის შესახებ, ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და სხვა ორგანიზაციების მიერ ფიზიკულტურულ-სპორტულ გამაჯანსაღებელი მუშაობის და სპორტის დანერგვა-განვითარების საკითხებზე მიღებული დადგენილებები, გადაწყვეტილებები, ინსტრუქციები, დებულებები, სხვადასხვა დოკუმენტები და აგრეთვე ფიზიკური აღზრდისა და სპორტისადმი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკული გამოცდილებების განზოგადება და ანალიზი.

საგნის მონათესავე დისციპლინებია: სპორტის ისტორია, ოლიმპიზმი, ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა, პედაგოგიკა, სოციოლოგია, ფილოსოფია, ფიზიოლოგია, სპორტის ეკონომიკა და სხვა.

ფიზიკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ხელმძღვანელობის ძირითადი ფორმები

ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ხელმძღვანელობის სამი ძირითადი ფორმაა: სახელმწიფოებრივი; საზოგადოებრივი და არასახელმწიფოებრივი ანუ კომერციული.

ხელმძღვანელობის სახელმწიფოებრივი ფორმა ხორციელდება სახელმწიფო დაწესებულებებში (კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სპორტის და ახალგაზრდობის სახელმწიფო დეპარტამენტი, ჯანმრთელობის დაცვის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები) სადაც ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები მიმდინარეობს როგორც არჩევითობის ასევე ადმინისტრირების პრინციპით.

ხელმძღვანელობის საზოგადოებრივი ფორმა ხორციელდება ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში, სპორტულ კლუბებში, გამაჯანსარებელ კოლექტივებში, სადაც მუშაობა მიმდინარეობს არჩევითობის, ნებაყოფლობითობის და თვითშემოქმედების პრინციპით.

ხელმძღვანელობის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ფორმის მიზანი და ამოცანები ერთი და იგივეა: მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება სპორტული ოსტატობის დონის ამაღლება, ჯანმრთელობის განმტკიცება, შრომისნაყოფიერების და შრომისუნარიანობის ამაღლება. ამიტომ ეს ორი ფორმა ერთმანეთს ავსებს და დამოუკიდებლად არ ფუნქციონირებენ.

რაც შეეხება არასახელმწიფოებრივ, კომერციულ ფორმას, იგი ხორციელდება კერძო, კომერციულ დაწესებულებებში და თავიანთ მუშაობას წარმართავენ სახელმწიფო დეპარტამენტის და სპორტის კანონის დებულებით.

მენეჯმენტი

მენეჯმენტი *(ინგლ.* ***management*** *- „მართვა“, „გამგებლობა“, ორგანიზება“). ამ სიტყვით აღინიშნება აგრეთვე: მმართველობა, ადმინისტრაცია, დირექცია; ხალხთან საქმიანი ურთიერთობის მანერა, ხერხი; მართვის ძალაუფლება და ხელოვნება; ადმინისტრაციული მოღვაწეობის განსაკუთრებული სახეობის უნარი და ჩვევები.*

მენეჯმენტის საფუძვლები-მეურნეობის გონივრული და გულმოდგინე გაძღოლა, ერთობლივი შრომის საზრიანი და მარჯვე მართვა-ადამიანებისთვის დიდი ხანია არის ცნობილი. ცნობილ სიტყვა „მართველობა“-ს აქვს კარგი მნიშვნელობა „მართვა“-სწორედ გაკეთება, გონივრულად მოქცევა, მიზნისკენ მარჯვედ სვლა, ნაკლოვანებების გამოსწორება. თერმინი „მენეჯმენტი“-ს გამოყენება საუბარში გამოწვეულია შედარებით გამოცდილ და წარმატებულ საბაზრო ეკონომიკაში პარტნიორებთან საქმიანი ურთიერთობისას დაახლოვების მისწრაფებით.

ადამიანები, მათი შრომის ნიჭით, წარმოადგენენ მთავარ შემოქმედების ძალას, და მართვა-ადამიანების კოლექტივზე მიზანდასახული ზემოქმედებაა, წარმოების პროცესში მათი მოღვაწეობის ორგანიზების და კოორდინაციისთვის.

მართვა-ხელმძღვანელი სუბიექტის მიზანშეწონილი სისტემური მოღვაწეობაა, რომელიც ხორციელდება სოციალურ ცვალებადობაზე მბრძანებლური ზემოქმედების საშუალებით, მიმართული წარმოებრივი ობიექტის შენარჩუნების და ფუნქციონირების ოპტიმიზაციისკენ, მისი ეფექტური ნაყოფიერების ამაღლებისთვის.

ადამიანების ერთობლივი წარმოებრივი მოღვაწეობა ყოველთვის შეგნებულად და მიზანდასახულად ხორციელ-

დება, რაც მოითხოვდა შეთანხმებულ და კოორდინირებულ მოქმედებებს, სპეციალურ რეგულირებას, შრომითი პროცესების მონაწილეების საქმიანი ურთიერთკავშირების წესებს და წესრიგს. სოციალური ურთიერთმოქმედების ისტორიულმა პრაქტიკამ გამოავლინა მართვის სპეციალისტების საჭიროება, შექმნა ორგანიზატორის პროფესია, მართველი, მენეჯერი. ჩამოყალიბებულია და ვითარდება მართვის მეცნიერება. ამ მეცნიერების საგანია-მართვის ურთიერთობები, მათი სისტემა, არსი, ადამიანთა ერთობლივი მოღვაწეობის და თანამოქმედების სრულყოფა ორგანიზებული სისტემის სხვადასხვა რგოლებში და მართვის სხვადასხვა დონეზე.

მართვის ისტორიული განვითარება დაკავშირებულია საზოგადოების ევოლუციასთან, ადამიანთა ძირითადი ცხოვრებისეული მოთხოვნილებების უზრუნველყოფასთან და ამიტომ აქვს ობიექტური და კანონზომიერი ხასიათი. მრავალი ადამიანის ერთობლივი საწარმო-შრომითი პრაქტიკის პროგრესული გამოცდილების განზოგადებული ასახვა საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრდა მართვის თეორიაში და მეთოდოლოგიაში, მენეჯმენტში. მართვის გამოცდილება შეისწავლებოდა და უკეთდებოდა ფორმულირება კონკრეტული ავტორების ნაშრომებში, რომელიც მადლობასთან ერთად სამახსოვროდ ინახავს მათ სახელებს, მათ მიერ გამოთქმულ ძირითად თეორიულ დებულებებს.

საწარმოო-შრომის მართვის მეცნიერების და პრაქტიკის სწრაფი ტემპებით და მასშტაბებით ფართო განვითარება ვაბპირობებულია მსხვილი მანქანური ფაბრიკა-ქარხნული წარმოების და შრომის სპეციალიზირებული განაწილების წარმოქმნით. ინდუსტრიალურმა საუკუნემ მოითხოვა მომზადებული მმართველები, მენეჯერები ასობით ათას სამუშაო ადგილზე, და საზოგადოებამ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში მოულო ბოლო მართვის ცოდნის ელიტარულკასტურ მფლობელობას. შეუძლებელია წარმატების

მიღწევა სპორტში თუ ამისთვის არ იშრომებენ, რა საკვირველია, სპორტსმენებთან ერთად, მწვრთნელი და ექიმი, მენეჯერი და ადმინისტრატორი, არქიტექტორი და მრავალი სხვა, რომლებიც გამარჯვების ტრიუმფის მომენტის დროს არ ჩანან კვარცხლბეკზე. შეუძლებელია წარმატებით და სიამოვნებით შეასრულოთ ტურისტული მოგზაურობა, თუ კლიენტს არ ეხმარებიან ტურაგენტები და ტუროპერატორები, სასტუმროების პერსონალი და სატრანსპორტო საშუალებები, ექსკურსიის მძღოლები-გიდები, ტურსააგენტოების მენეჯერები. ტურიზმი, ფიზკულტურა, სპორტი-კომპლექსური სისტემის განუყოფელი ორგანული ნაწილებია, რომელთა საწარმოო მიზანს წარმოადგენს ადამიანთა ცხოვრებისეული მრავალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება (ჯანმრთელობის განმტკიცება, კულტურული, შემეცნებითი, კომუნიკაციური და ა. შ.), მოსახლეობის სამომხმარებლო კეთილდღეობით უზრუნველყოფა, ჯანმრთელი ცხოვრების წესის განხორციელებაა.

მენეჯმენტი-საწარმოო მოღვაწეობის მართვის რაციონალური ორგანიზების სისტემაა, მიმართული დაგეგმილი შედეგების ეფექტურ მიღწევაზე; ადამიანთა ცოდნის სფერო, რომელიც ეხმარება ადამიანთა სოციალურ ფენას, გონიერი და ეფექტური მართვის განხორციელებაში, ახორციელებს მართვის სამუშაოს. ამჟამად, ფიზკულტურულ-სპორტულ და ტურიზმის სფეროში გაბატონებულია პიროვნების პრიორიტეტის კონცეფცია, პირადი მოთხოვნილებების, ადამიანის ინტერესების, გემოვნებების, და მათი პირველრიგოვანი დაკმაყოფილება ნარმოების საზოგადოებრივი სისტემით (შემოსავლის საჭიროების გათვალისწინებით, რაც საჭიროა მწარმოებლის კეთილდღეობისთვის და გაფართოებული კვლავწარმოებისთვის). ეს მოითხოვს მართვის განვითარების და განხორციელებისადმი სოციალურ-ეკონომიკურ მიდგომას, სცნობს ბაზარს და შეფარდებით თავისუფალ ეკონო-

მიკურ პირობებს და მომხმარებლის, მყიდველის მოთხოვნილებების ღასაკმაყოფილებლად, სამართლიანად თვლის, რომ მომუშავენი, მწარმოებელი თავის მხრივ და საბოლოო ჯამში, აგრეთვე არიან აქტიური მომხმარებლები. საბაზრო ურთიერთობის გაფართოებით და შესაბამისი კომუნიკაციური კავშირებით, მართვის ინფორმაციულ-ეკონომიკური ხასიათი მტკიცდება, მწარმოებლის, შუამავლის და მომხმარებლის თანამოქმედების და მართველობითი რეგულირების სფეროში და მნიშვნელობას იღებს სოციალურ-ჰუმანიტარული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს საბაზრო თანამოქმედების ყველა მოთხოვნილებებს და მონაწილის ინტერესებს. ესეთი თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომების შესაბამისად მოცემულ სახელმძღვანელოში განიხილება ფიზკულტურის, სპორტის და ტურიზმის მენეჯმენტის საკითხები.

მენეჯმენტის ძამახასიათებელი თვისებებია:

კონცენტრაცია - გადამწყვეტ მიმართულებებზე ყურადღების მოკრეფა მისწრაფება და უნარიანობა, საჭირო ვადებში, პერიოდებში, საწარმოო-სარეალიზაციო მოღვაწეობის ობიექტებში.

გრძელვადიანობა - მენეჯმენტის მიმართულებაა სასურველი მოღვაწეობის განხორციელება გრძელვადიანი შედეგისკენ და ეკონომიკური ეფექტის მუდმივად ამაღლებისკენ.

კომპლექსურობა-პრინციპების, მეთოდების, ღონისძიებების საშუალებების და ცალკეული მოქმედებების სისტემური ერთობლიობა-წარმატებითი საწარმოო- სარეალიზაცია მოღვაწეობის საიმედო და რეალური ფუძეა.

ინფორმირებულობა- კონკურენტი საწარმოების შესახებ საიმედო და უტყუარი, დროული ინფორმაციის გამოვლენა და შეკრებაა. გარემოს ანალიზი იმ ფაქტორების, რომლებიც განაპირობებენ წარმატებას, პირველად ინფორმაციაზე დაყრდნობით;

ბებმაზომიერება-მიზნის დასახვის ერთობლიობაა, შესრულების კრიტერიუმების განსაზღვრა, სავარაუდო, დასახული მოქმედებების დასაფუძვლება და შედგენა და მოღვაწეობის მსვლელობის კონტროლია.

პროგნოზირება - სისტემის და მისი განსაზღვრის ფაქტორების განვითარების გრძელვადიანი ობიექტური ტენდენციების წინასწარ განჭვრეტაა, მომავალი პირობების და მოღვაწეობის ეფექტის ან წარმოებაში მყოფი პროდუქციის რეალიზაციის დასაფუძვლებული ვარაუდია.

არსებობს მენეჯმენტის ზოგადი აუცილებელი ფუნქციები.

მენეჯერი:

1. განსაზღვრავს მიზნებს და წყვეტს, რისი გაკეთებაა საჭირო მათ მისაღწევად, კონკრეტული ამოცანების დაყენებით;

2. მუშაობას უწევს ორგანიზებას, ანაწილებს მას და უკეთებს ნორმირებას, ქმნის საჭირო ორგანიზაციულ სტრუქტურას, არჩევს ხელმძღვანელი მომუშავეების შესაბამის შემადგენლობას და ა. შ;

3. ქმნის კოლექტივს იმ პირებისგან, რომლებიც პასუხს აგებენ სხვადასხვა სამუშაოსთვის, ამისთვის ყველა არსებული მოტივირების საშუალებების გამოყენებით;

4. უკეთებს ანალიზს ორგანიზაციისა და ყველა პირის მოღვაწეობას, რომლებიც მუშაობენ საწარმოში და ახდენენ შეფასებას;

5. უზრუნველყოფს მომუშავეთა სტიმულირებას, სამსახურეობრივი ფუნქციების შესრულების ხარისხის მიხედვით.

მენეჯერმა უნდა იცოდეს;

- სოციალური მართვის ძირითადი პრინციპები;
- სოციალურ სფეროში მოღვაწეობის თავისებურებები;
- ორგანიზაციის სოციალური განვითარების ფორმულირება და გაანალიზება;
- სოციალური სფეროს სისტემური მართვის მეთოდოლოგია;
- მართველობის გადაწყვეტილებების დამუშავება და მოღვაწეობის ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა;
- ითვალისწინებდეს ადამიანების ინდივიდუალურ ფსიქოფიზიკურ თავისებურებებს და შეეძლოს მათთან ერთად მუშაობა, კონფლიქტების თავიდან აცდენა და მათი გადაჭრა.
- მენეჯერი აუცილებლად იკავებს მუდმივ თანამდებობას და მას ჰყავს ხელქვეითები.

ინფორმაცია წარმოადგენს ყოფაცხოვრების ერთ-ერთ ძირითად, ფუნდამენტალურ თვისებას. ნებისმიერი ღია სისტემის არსებობის და ფუნქციონირების პროცესი არის ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, რომელიც განიხილება მართვის თეორიაში როგორც ენტროპიის, ქაოსიის დონის შემცირების პირობა და ფაქტორი. ინფორმაციის რაოდენობა წარმოადგენს სისტემის ორგანიზების საზომს.

გადაწყვეტილება-ინფორმაციის თვისებრივი გარდაქმნა სისტემის მოღვაწეობის ორგანიზების სრულყოფისა და

ეფექტურობის ამაღლების მიზნით, შექმნილი ობიექ-ტური წინაპირობების საშუალებაა.

მართვის ფუნქცია

სიტყვა „ფუნქცია" ნიშნავს მოქმედებას, მუშაობის შესრულებას, მოღვაწეობას, ქმედებას. მენეჯმენტის სფეროს გამოყენებით, ფუნქცია ნიშნავს მმართველობითი მოღ-ვაწეობის ცალკეულ სახეობებს, რომლებიც განპირობე-ბულია მართვის სფეროში შრომის განაწილებით და სპეცია-ლიზაციით. მართვის ზოგადი ფუნქციები უნივერსალურია და წარმოების შემცველობაზე არ არიან დამოკიდებულები მართვის ფუნქციები-მართვის ურთიერთობის რეალიზაციის ფორმა, მოღვაწეობის განსაკუთრებული სახეობაა, ადამია-ნების ურთიერთდამოკიდებულებაზე მიზანდასახული ზე-მოქმედება წარმოების პროცესში. ართვის ზოგადი ფუნქცი-ები დაყოფილია ქვეფუნქციებად, პროცედურებად და ოპე-რაციებად, ანუ მუშაობის სხვადასხვა სახეობებად, რომლე-ბიც ქმნიან სტანდარტულ მართვის ციკლს. მასში შედის: და-გეგმვა, ორგანიზება, კოორდინირება, კონტროლი, რეგული-რება, აღრიცხვა, მაკორექტირებელი და გარდამქმნელი ზე-მოქმედებების შესრულება, აგრეთვე მუშაობის სტიმულირე-ბა და გააქტიურება.

მართვის მეთოდები

მართვის მეთოდი - არის ზემოქმედების ხერხი გარკვეული შედეგის მისაღწევად ან მიზანდასახული მოქმედებების ერთობლიობა მომუშავეთა კოლექტივის ერთობლივი მუშაობის კოორდინირების მიზნით.

მეთოდები განსხვავდება ადამიანზე ზემოქმედების ტიპით. პირდაპირი ზემოქმედება დაფუძვნებულია მართვის სუბიექტის ძალაუფლების ავტორიტეტზე, და გამოიხატება სამსახურეობრივ განკარგულებებში, მითითებებში, მინერილობებში. არაპირდაპირი ზემოქმედება-წარმოადგენს მართვის სუბიექტის გავლენის მოხდენას მოტივაციაზე, სოციალურ ინტერესებზე, ადამიანების სოციალურ-ფსიქოლოგიურ და ემოციურ სფეროზე. ყველაზე გავრცელებულია მეთოდების ჯგუფებზე ქვედაყოფა:

საორგანიზაციო- განკარგულებითი ან ადმინისტრაციული; სოციალური (სოციალურ-პედაგოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური); ეკონომიკური.

ადმინისტრაციული ან საორგანიზაციო- განკარგულებითი მართვის მეთოდები მიმართულია სხვადასხვა შემსრულებლის მოღვაწეობის და ცალკეული მოქმედებების მოწესრიგებაზე. მეთოდების ამ ჯგუფის დახმარებით დგინდება მართვის ურთიერთობები და განისაზღვრება მათი შინაარსი. მათ ახასიათებს ზემოქმედების პირდაპირი ფორმა, ვინაიდან ნებისმიერი განკარგულებითი აქტი ექვემდებარება აუცილებელ შესრულებას. ზემოხსენებული მეთოდები განამტკიცებენ ორგანიზაციულ კავშირებს და წარმოადგენენ მართვის ფუძეს. შემოქმედების ხერხები შეიცავენ: რეგლამენტირებას, ნორმირებას, ინსტრუქტირებას.

ორგანიზაციულ-განკარგულებითი ზემოქმედების არსი:

-გამოხატავს პირდაპირ დირექტიულ ზემოქმედებას;

-საშუალებას აძლევს ხელმძღვანელს მიიღოს ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რაც შემსრულებელს არ უტოვებს შესაძლებლობას არჩევანი გააკეთოს მოქმედების სხვადასხვა ხერხებს შორის.

-დებულებების, ინსტრუქციების, ბრძანებების, განკარგულებების, მითითებების და რეზოლუციების აუცილებლობა, რომელთა შეუსრულებლობა განიხილება როგორც საწარმოო დისციპლინის დარღვევა და მას მოსდევს დისციპლინარული სასჯელი.

რეგლამენტირების გარდა გამოიყენება ნაკლებად მკაცრი ტიპი, ნორმების და ნორმატივების დადგენით, რითიც თავიანთ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობენ კოლექტივები და ხელმძღვანელები.

ინსტრუქტირება არის მეთოდიური და ინფორმაციული დახმარების ფორმა რომელიც მიეწოდება ხელმძღვანელს კოლექტივის მართვისთვის.

საორგანიზაციო-განკარგულებითი ზემოქმედების ძირითადი ფორმებია: ბრძანება, დადგენილება, განკარგულება (წერილობითი ან ზეპირი) ინსტრუქტაჟი.

მართვის სოციალური მეთოდები არის მრავალფეროვანი:

სოციალური ნორმირება - (შინაგანაწესი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წესდება, საწარმოო ეთიკეტის წესები);

სოციალური რეგულირება (დისციპლინარული ზემოქმედების ფორმები, კონკრეტული მოღვაწეობის მორალური და მატერიალური სტიმულირების პირობები);

სოციალური ზეწოლა ინდივიდზე ან ჯგუფზე მათი ყოფაქცევის კორექტირების მიზნით;

საზოგადოებრივი აზრის და განწყობილების ფორმირება;

კოლექტიური მორალის და მისი დებულებების სოციალური კონტროლის ფორმირება.

სოციალურ-პედაგოგიური მეთოდები დაფუძვნებულია სოციალური პედაგოგიკის თეორიულ, მეთოდოლოგიურ და მეთოდურ დებულებებზე, ითვალისწინებს და იყენებს ადამიანზე გარემოს იდეოლოგიურ და ზნეობრივ გავლენას, მის ფაქტორებს და მოვლენებს, პიროვნებაზე, ჯგუფზე და კოლექტივზე სოციალურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. ეს შეადგენს უშუალოდ სოციალური მართვის ინფორმაციული ფუძის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს.

მართვის სოციალურ-პედაგოგიური მეთოდები იყენებენ მიზანდასახულ პედაგოგიური ზემოქმედების სისტემას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზოგადი სტრუქტურულ-ფუნქციონალური კომპონენტები:

სტრუქტურული, სოციალურ-პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ობიექტი და სუბიექტი მკაფიოდ დაყოფას ახდენს, რაც მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, ინფორმაციის შინაარს და პედაგოგიური კომუნიკაციის საშუალებებს. აქ გამოიყენება საწარმოო თათბირები, კოლექტივის კრებები, კოლექტიური ხელშეკრულება, მორალური წახალისება, ნაყოფიერი მუშაობის სტიმულირება და ა. შ.

ფუნქციონალური კი, ასახავს დიდაქტიკურ პროცესებს, ინფორმაციის შინაარსს და შეიცავს დიაგნოსტიკურ, კონსტრუქციულ, ორგანიზაციულ და კომუნიკაციურ კომპონენტებს.

მენეჯმენტის თეორიაში და პრაქტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა მოტივაციას, როგორც სპეციფიკური მართველობითი ფუნქციის ობიექტს-მოტივირებას.

მოტივირება-გარკვეული მოქმედებების შესრულების ნაქეზებაა, შესაბამისი მოტივების მოყვანის, ჩამოყალიბებით და აქტიურობით, პროცესი და შედეგია. მოტივირება ადამიანის სოციალური მართვის ფუძეა, სოციალურ-პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით. მოტივირება ეყრდნობა მოღვაწეობის სამართლებრივ საფუძველს, კანონიერ და ქვეკანონიერ ნორმატივებს, მართვის და ხელმძღვანელობის ორგანოების ავტორიტეტს, უფროსის ნებას. **მატერიალური** მოტივირება ორიენტირებულია უფრო მაღალ დაჯილდოვებაზე, შეფასებული პროდუქციის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით. მატერიალური სტიმულირების პირობები და სავარაუდო გარემოება აღნიშნულია სამუშაო კონტრაქტის შინაარსში. **სოციალური**, სოციალურ-ფსიქოლოგიური და იდეოლოგიურის ჩათვლით, მოტივირება დამყარებულია მსოფლმხედველობივ, ზნეობრივ და პროპაგანდისტულ სტანდარტებზე, ეთნიკურ, ნაციონალურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ტრადიციებზე, კოლექტივიზმის გრძნობაზე, ლოიალურობაზე და წარმოების, ორგანიზაციის ერთგულებაზე.

სოციალურ-პედაგოგიკური საფუძვლები

მმართველობა არის ხელმძღვანელი სუბიექტის მიზანდასახული ძალაუფლებრივი ზემოქმედება საწარმოო ძალების ადამიანის ფაქტორზე (მომუშავეების, პიროვნების, მუშის, მოსამსახურის, მოსწავლის, სპორტსმენის, ტურისტის და ა. შ.), კოლექტივებზე მათი მოღვაწეობის ორგანიზებისა და კოორდინაციისთვის, მათი ეფექტური პროდუქტიულობის ამაღლებისთვის.

ხელმძღვანელისთვის:

- აუცილებელია სრული ინფორმაცია თანაშემწესგან. აბსოლუტური გულწრფელობა-ძირითადი მოთხოვნილება. ხელმძღვანელმა არა მარტო უბრალოდ მხარი უნდა დაუჭიროს თავის თანაშემწეს, არამედ მისი ინტერესებიც დაიცვას.
- მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაზე.
- იმოქმედოს ხელმძღვანელის არყოფნის დროს მისი სულისკვეთებით. თანაშემწეობაში არ უნდა ხედავდეს საკუთარი პოლიტიკის გატარების შანსს.
- აბსოლიტური ლოიალობა ხელმძღვანელი'ს მიმართ მისი არყოფნის შემთხვევაში. საკუთარი ტაქტიკა არ უნდა იყოს გატარებული არც საკუთარი შეფის მიმართ არც თანაშემწის დაქვემდებარებულ პირებთან.
- უთუოა საიდუმლოობა. საჭიროა დუმილი ყველა მომხდარის შესახებ ქვედანაყოფებში. რა საკვირველია, თანაშემწე არ არის ვალდებული დამალოს სისხლის სამართლის ქმედებასთან დაკავშირებული მისთვის ცნობილი ფაქტები.
- აბსოლუტური კეთილშობილება. თანაშემწემ არ უნდა გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია თანაშემწეობის დროს არაკორექტულად, საკუთარი კარიერისთვის.
- ორიენტირება თანაშემწეობის ვადის დასრულებაზე. თანაშემწემ უნდა დააფიქსიროს სამუშაო დღიურში(ან ანალოგიურ საბუთებში) ყველა არსებითი საქმეები და სრული ინფორმაცია მიაწოდოს ხელმძღვანელს, მისი დაბრუნებისას, რომ მან დაუყონებლივ შესძლოს შეუდგეს საქმეს.

საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფცია (2003-2015 წლები)

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, რომლის უპირველესი დანიშნულებაა ერის გაჯანსაღება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და საქართველოს სპორტსმენების ღირსეული გამოსვლა საერთაშორისო ასპარეზობებში.

ამ მიმართებით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მთელი სისტემის ახლებურად გააზრება, დარგის ეფექტურად მართვის ახალი თანამედროვე მოდელების ჩამოყალიბება. ყოველივე ეს კი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების პრობლემებთან, რადგან მისი აღმავლობა წარმოუდგენელია მატერიალური დოვლათის შემქმნელი მთავარი მამოძრავებელი ძალის — ადამიანის გაჯანსაღებაზე ზრუნვის გარეშე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების დახასიათება

ფიზიკური აღზრდის მრავალსაუკუნოვანი ხალხური სისტემიდან აღმოცენებულ ქართულ სპორტს ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღწეულმა წარმატებებმა, საქართველოს, როგორც სპორტულ ქვეყანას მთელ პლანეტაზე გაუთქვა სახელი. სპორტული მონაგარით, ჩვენი ქვეყანა ამაყად უტოლდება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს — 30 ოლიმპიური ოქროს, 23ვერცხლისა და 47 ბრინჯაოს მედალი, მსოფლიო და ევროპის სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მოპოვებულ უმაღლეს

ჯილდოებთან ერთად, მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათად იქცა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთიანი საბჭოთა სპორტული ინდუსტრიის მოშლამ, ახალ სუვერენულ ქვეყნებს მანამდე წარმოუდგენელი სიძნელეები შეუქმნა. კატაკლიზმებს ვერც ქართული სპორტი ასცდა. ფიზიკური აღზრდისა და სპორტსმენთა მომზადების ერთიან, მწყობრ სისტემას, ძირითადად, ქვეყნის ეკონომიკურმა სიდუხჭირემ გამოაცალა საფუძვლები.

ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება სკოლამდელთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადებისა და ფიზიკური განვითარების დონე. დღეისათვის არსებული რეალური მამოძრავებელი აქტივობის მოცულობა ვერ უზრუნველყოფს ნორმალურად განვითარების ელემენტარულ მოთხოვნილებებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ერთ მესამედზემეტს თავისი ასაკისათვის შესაბამისი ნორმალური ჯანმრთელობის მდგომარეობიდან აქვს გადახრა. რა ჯანმრთელობაზე შეიძლება საერთოდ საუბარი, როდესაც საშუალო სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები კვირაში ერთხელ ან გამონაკლისის სახით ორჯერ თუ ტარდება. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში კი მეცადინეობები ფიზიკურ აღზრდაში მხოლოდ პირველ და მეორე კურსებზეა, ისიც ყველგან არა. ყველა ტიპის არასახელმწიფო სასწავლებლებში კი, რომელთა რიცხვი სახელმწიფო სასწავლებლებთან შედარებით თითქმის ათჯერ მეტია, უმეტესობაში უგულებელყოფილია მუშაობა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში.

საგანგაშოა, რომ დღეისათვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილა ჩაბმული ფიზიკური აღზრდასა და სპორტში, მაშინ როდესაც მსოფლიოს მეტ-ნაკლებად ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს რიცხვი 40-60%-ს აღწევს.

ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში არსებული პრობლემების მასშტაბურობასა და და მათი გადაჭრის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელების დროულად დაწყების აუცილებლობაზე ნათლად მიუთითებენ ის ფაქტები, რომ:

- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით საქართველო ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა მსოფლიოში;
- მაღალია ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობა;
- სწრაფი ტემპით მატულობს ფიზიკურად სუსტად განვითარებულ მოზარდთა რაოდენობა;
- დღითიდღე იზრდება ნარკომანთა, სხვა მავნე ჩვევების მიმდევარი ახალგაზრდების რიცხვი;
- პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს სპორტული ბაზებისა და ნაგებობების უმრავლესობა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ზამთრის პერიოდში. ბაზების აბსოლუტური უმრავლესობა საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას;
- დღეისათვის საქართველოში არ არსებობს სპორტული ტანსაცმლის, ინვენტარისა და მოწყობილობების საწარმოო ინდუსტრია;
- სასწავლო დაწესებულებებში დაბალ დონეზეა ფიზიკური აღზრდის სწავლება, მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა;
- მეტად მძიმე მდგომარეობაა შექმნილი სპორტული რეზერვის მომზადებაში. დაუფინანსებლობის გამო ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ფუნქციონირება ეპიზოდური ხასიათისაა, მათი საერთო რაოდენობა დღეისათვის 40%-ითაა შემცირებული, ხოლო მომეცადინეთა რიცხვი 60-65%-ით;
- ეკონომიურ მიზანშეუწონლობის მომიზეზებით ორგანიზაციები და დაწესებულებები უარს ამბობენ სპორტული და გამაჯანსაღებელი ობიექტების შენახვაზე და

ხურავენ ან ყიდიან სხვა კერძო მესაკუთრეზე ან იყენებენ მას არადანიშნულებით;

— იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არის შექმნილი სათანადო პირობები მაღალი რანგის სპორტსმენთა მოსამზადებლად, ჯერ კიდევ არ არის შეწყვეტილი მათი და სპორტის სპეციალისტთა მიგრაციის პროცესი;

— ეკონომიკური სიძნელეების გამო საქართველოს ეროვნული გუნდები ვერ მონაწილეობენ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებებში;

— არასათანადო დონეზეა სპორტსმენთა სამედიცინო, ფსიქოლოგიური და მედიკო-ბიოლოგიური უზრუნველყოფა, მათი სოციალური დაცვა;

— მრავალი გადაუჭრელი პრობლემაა კადრების მომზადების, ატესტაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში;

— სავალალო მდგომარეობაა საბიუჯეტო დაფინანსების მხრივ, რომელიც მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს, როგორც უმაღლესი მიღწევების სპორტს, ისე სპორტს ყველასათვის. ინვესტორებისათვის, რომლებიც მზად არიან ჩადონ სახსრები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, არ არის შექმნილი სათანადო პირობები;

— საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ვერ უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის უფლებას. საკვირველია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციაში ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები ფიზიკური აღზრდა და სპორტი;

— საქართველოს პარლამენტმტა 1996 წელს მიიღო კანონი „სპორტის შესახებ", რომელშიც ფიზიკური აღზრდა და სპორტი განიხილება, როგორც ავადმყოფობის მკურნალობის, ჯანმრთელობის განმტკიცების, მაღალი შრომისუნარიანობისა და სამშობლოს დამცველი პატ-

რიოტი ადამიანის აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

შექმნილ არასახარბიელო ვითარებაში გადაუდებელ ამოცანად ისახება ქართული სპორტის განვითარების კონცეფციის შემუშავება, რომელიც ზემოთ გამოთვლილი პრობლემების გადაჭრის განხორციელებას შეუწყობს ხელს და წარმოადგენს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების საფუძველს 2003-2015 წლების პერიოდზე.

2. კონცეფციის მიზანი და ამოცანები

კონცეფციის ძირითადი მიზანია საქართველოში სპორტის შემდგომი განვითარება, მისი პოპულარიზაცია მოსახლეობის ფართო ფენებში, მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა და გაჯანსაღება, ცხოვრების ანსაღი წესის დამკვიდრება. ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მომეცადინეთა რაოდენობის გაზრდა და საქართველოს სპორტსმენების ღირსეული გამოსვლა ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვა საერთაშორისო ასპარეზობებში.

კონცეფციის ძირითადი ამოცანებია:

— ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სამეცადინოდ საქართველოში მცხოვრები ყველა მოლაქალქისათვის, განურჩევლად მათი მატერიალური კეთილდღეობისა, თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა;

— მიზნობრივი პროგრამების, კანონების, სამართლებრივი და ნორმატიული აქტების რეალიზაცია, რომლებიც მიმართულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებისაკენ;

— მასობრივ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება;

— მაღალი რანგის სპორტსმენების მომზადების სისტემის შემდგომი სრულყოფა;
— მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მისი შემდგომი განვითარება;
— ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
— ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეცნიერული უზრუნველყოფა;
— გამაჯანსაღებელი და სპორტული მედიცინის შემდგომი განვითარება;
— სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობების განვითარება;
— მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისა და განსაკუთრებით ინვალიდებისათვის მინიმალური შეღავათების დაწესება;
— ფიზიკური აღზრდის და სპორტის პროპაგანდა;

3. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებები

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში ახელმწიფო პოლიტიკა, პირველ ყოვლისა, უნდა ითვალისწინებდეს:

— ერის გაჯანსაღებას, ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტსმენების ღირსეულ გამოსვლას საერთაშორისო შეჯიბრებებში.
— მოსახლეობის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სისტემატური მეცადინეობის აუცილებლობის შეგნების ფორმირებას.

ამ პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი მიმართულებებიდან ერთ-ერთი უპირველესთაგანია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ოპტიმალური სამართლებრივი ბაზის შექმნა. სამართლებრივი და ნორმატიული ბაზის სრულყოფის სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ, გარდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ასპექტებზე ფედერალური კანონმდებლობის შექმნისა და სრულყოფისა, აქტიური მონაწილეობა იქნეს მიღებული კანონშემოქმედებით საქმიანობაში, რათა აუცილებლობის შემთხვევაში შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები საქართველოს იმ კანონებში, რომლებიც გარკვეულწილად მოქმედებენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებაზე (საგადასახადო კოდექსი და სხვა).

საკანონმდებლო უზრუნველყოფას ითხოვს ქვეყნის საფინანსო პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობს იმ პროგრამების რეალიზაციას, რომელიც მიმრთული იქნება ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისაკენ. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტზე ყოველწლიურად უნდა იზრდებოდეს. პერსპექტივაში აუცილებლად უნდა იქნეს მიღწეული ქვეყნის და ადგილობრივ ბიუჯეტებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებისათვის გამოყოფილ იქნას ბიუჯეტის საერთო ხარჯვითი ნაწილის 1, 5-2%. აქ აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას მსოფლიო წამყვანი ქვეყნების გამოცდილება და განაწილდეს ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით:

— ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდულ სპორტზე — 50%;
— გამაჯანსაღკებელ მუშაობაზე — 25%;
— უმაღლესი მიღწევების სპორტზე (ოლიმპიური და პარაოლიმპიური) — 25%;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში კანონმდებლობის სრულყოფა ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში დარგი ფინანსირდებოდეს არა მხოლოდ საბიუჯეტო წყაროებიდან, არამედ არასაბიუჯეტოდანაც, განსაკუთრებით უმაღლესი მიღწევების სპორტის მხარდასაჭერად.

კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს საუკეთესო პირობების შექმნას, პირველ რიგში:

— იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახდენენ ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამების რეალიზაციას ინვალიდ და ობოლ ბავშვებში;

— იმ სპონსორებისა და ინვესტორებისათვის, რომლებიც თავიანთ სახსრებს მიმართავენ სპორტული რეზერვებისა და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების მომზადებისაკენ ოლიმპიურ, და პარაოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობისათვის;

ამასთან ერთად, საჭიროა ისეთი საკანონმდებლო საკითხების დამუშავება, რომლებიც დაკავშირებულია:

— სპორტსმენების მიერ დოპინგისა და ნარკოტიკების გამოყენების, სპორტულ შეჯიბრებებზე უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის, გულშემატკივრების ხულიგნური საქციელის, ძალადობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლასთან, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენენ როგორც პიროვნებაზე, ისე საზოგადოებაზე.

— ისეთი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებასთან, რომელიც დაარეგულირებდა საქართველოს სპორტსმენებისა და სპეციალისტების მასიურ გადინებას, განსაკუთრებით ახალგაზრდა სპორტსმენებისას.

მიზანშეწონილია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამართლებრივი და ნორმატიული უზრუნველყოფის მიზნით

გაზიარებული იქნას, როგორც სამამულო, ისე საერთაშორისო გამოცდილება.

ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, მისი შემდგომი ოპტიმიზაციისა და სტაბილიზაციის მიზნით, წარმოადგენს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მართვის სტრუქტურისა და ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფა.

აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მუშაკებთან ერთად აუცილებლად უნდა გაამახვილონ ყურადღება იმაზე, თუ როგორ სრულდება:

— დაფინანსება საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ბავშვთა სპორტული კლუბების, მასობრივი შეჯიბრებებისა და ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკური განვითარებისა და ფიზიკური მომზადების შემოწმების ღონისძიებები;

— ყველა სახისა და ტიპის სპორტული სკოლების ნორმატიული და ფინანსური ბაზის განმტკიცება, აგრეთვე, ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელებისა და სპეციალისტების მატერიალური სტიმულირება;

— სპორტში დაზღვევის სისატემის სრულყოფა;

— მენეჯმენტის, სკოლამდელი ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრების პროპაგანდის საკითხები;

უმაღლესი მიღწევების სპორტის სათანადო დონეზე განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფო და საზოგადოებრივი მმართველობის ჰარმონიული შერწყმის უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით, გვენს ქვეყანაში სპორტის განვითარების საქმეში საგრძნობლად იზრდება სპორტის სახეების ფედერაციათა მნიშვნელობა და როლი.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხების გადაწყვეტის, მოსახლეობაში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სისტემატური ჩაბმის მყარი ინტერესების ფორმირებების, უმაღლესი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიო და ევროპის პირველობებზე, გამარჯვების მიღწევისათვის უდიდესი როლი ენიჭება სპეციალისტების პროფესიულ მომზადების ხარისხს და სამეცნიერო კვლევების განვითარების დონეს.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია:

— უზნურველყოფილ იქნას მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებისმომზადება მათი მომავალი პროფესიული მოღვაწეობის ძირითადი ნიშნის მიხედვით;

— უმაღლეს სპორტულ საგანმანათლებლო სასწავლებლებში შეიქმნას კათედრები და ფაკულტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალისტების მომზადებას სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის პროფილით სკოლამდელი, უმცროსი და საშუალო სასკოლო ასაკის, სპეციალური სამედიცინო ჯგუფების, ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის;

— შემუშავდეს და დანერგილ იქნას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროს მუშაკთა სერტიფიცირების სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს მათი კვალიფიკაციის აუცილებელ და სისტემატურ ამაღლებას და შემდგომ ატესტაციას;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში სამეცნიერო კვძლევითი სამუშაოების ორგანიზაცია უნდა ითვალისწინებდეს ყველაზე აქტუალური პრობლემების დამუშავებას და მათი შედეგების დანერგვას პრაქტიკაში.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში მეცნიერების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს:

— პიროვნებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება;

— სპორტული რეზერვისა და მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადების სამეცნიერო-მეთოდური დასაბუთება და უზრუნველყოფა;

— ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და სპორტული ტურიზმის ორგანიზაციული, სამართლებრივი, ფინანსური და ინფორმაციული უზრუნველყოფა;

— კადრების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის განვითარებისა და სრულყოფის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები;

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს სპორტული ბაზების მატერიალურ-ტექნიკური განმტკიცება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში სპორტნაგებობების მშენებლობა და მათი რეკონსტრუქცია უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე, არამედ სამამულო და საზღვარგარეთელი ინვესტორების სახსრების მოზიდვის გზით.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა ხორციელდებოდეს ყველა დონის ბიუჯეტიდან მიზანმიმართული დაფინანსებით შემდეგი ძირითადი ფორმებით:

— უსასყიდლო სუბსიდირება (გრანტები);

— შელავათიანი სესხებისა და კრედიტების მიცემა;

— სპორტული ნაწარმის პროდუქციაზე და უმაღლესი რანგის სპორტსმენების მომზადებაზე ხელშეკრულების დადება;

— კერძო კაპიტალის მოზიდვა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებისათვის.

მსოფლიო პრაქტიკის გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული დაფინანსების არასაბიუჯეტო წყაროები სპორტული ლატა-

რიებიდან, ტოტალიზატორიდან, სათამაშო ბიზნესიდან, ტელეტრანსლაციიდან და სხვა.

ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად კონცეფცია ითვალისწინებს ფიზიკური აღზრდის, სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მიზანმიმართულ პროპაგანდას.

ამ პრობლემის გადაწყვეტის საქმეში უაღრესად დიდი როლი ენიჭება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ფაქტიურად, საუბარი უნდა მიმდინარეობდეს მასირებულ ინფორმაციულ-პროპაგანდისტულ კომპანიაზე, რომელშიც გამოყენებულ იქნება სხვადასხვაგვარი საშუალებების ფართო სპექტრი, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ცხოვრების სპორტული სტილის იმიჯის ფორმირებას. კერძოდ:

— გაუმჯობესდეს ტელევიზიისა და რადიოს მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობისადმი მიძღვნილი გადაცემების გაშუქება, შეიქმნას სამეცნიერო-პოპულარული და მიმოხილვითი პროგრამები სპორტულ-გამაჯანსაღებელ თემატიკაზე;

— გამოიცეს მეთოდური ბროშურები, ბუკლეტები და წიგნები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მნიშვნელობის შესახებ. დამზადდეს სპორტის სახეობების მიხედვით სხვადასხვა სახის ატრიბუტიკა;

— განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სპორტის ეროვნული სახეობების აღდგენა-აღორძინებას;

— უფრო ფართოდ გაშუქდეს საქართველოს პირველობები და ჩემპიონატები.

4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფციის რეალიზაციის ძირითადი პრინციპები და მექანიზმები

ფიზიკური აღზრდისადმი დამოკიდებულებას და ჯანმრთელობის ფუნდამენტს საფუძვლები ბავშვთა ასაკ-

ში ეყრება. ამიტომ უახლოეს წლებში სწორედ ამ ეტაპზეა გასამახვილებელი განსაკუთრებული ყურადღება.

ამასთან დაკავშირებით, მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს:

--- სკოლამდელი ასაკის ბავშვთა უზროუნველყოფაზე თეორიული, მეთოდური, ორგნაიზაციული და სხვა მასალებით. იაფფასიანი, მაგრამ პრაქტიკული და ჰიგიენური საქონლისა და ტრენაჟორების ინდუსტრიის შექმნაზე;

— პოპულარული ლიტერატურის, ვიდეო კასეტების და კომპიუტერული პროგრამების მასიური გამოცემისაკენ;

— სკოლამდელი ასაკის დაწესებულებებში ისეთი კომპლექსური სპორტული ცენტრების შექმნაზე, სადაც იქნება სპორტული დარბაზი თავისი ინვენტარით, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების მამოძრავებელი აქტივობის მოცულობას კვირაში 6-ი საათის ოდენობით.

გამომდინარე იქიდან, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორტი წარმოადგენს ბავშვის აღზრდისა და განათლების საფუძველს, იგი ჩართული უნდა იქნას საგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო სასწავლო გეგმებში, როგორც ფედერალური კომპონენტი. საჭიროა ფიზიკური მომზადებისა და ფიზიკური განვითარების, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების და კატეგორიების ფიზიკური ჯანმრთელობის, პირველ რიგში, ბავშვებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის მონიტორინგის სისტემების განვითარება. მონიტორინგის შედეგები იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ოპერატიულად შეფასდეს სიტუაცია და შემუშავებული იქნას პროგრამები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და არმიაში გასაწვევი ახალგაზრდების ფიზიკური მომზადების ასამაღლებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდობასთან მუშაობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პრაქტიკა უჩვენებს, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორ-

ტი არის მეტად ეფექტური საშუალება ახალგაზრდების ნორმალური ქცევის ჩამოყალიბების საქმეში. ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად ფიზიკური აღზრდა და სპორტი გამოიყენება იმ ახალგაზრდების აღზრდის საქიმეშიც, რომლებმაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებები გაიდინეს, ამისათვის აუცილებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შეიქმნას სათანადო პირობები.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ყველა სისტემები საკუთრების ნებისმიერი ფორმის დაწესებულებსა და ორგანიზაციებში მიმართული უნდა იყოს რეაბილიტაციული ღონისძიებებისაკენ. ამისათვის საჭიროა:

— გატარდეს მონიტორინგი მუშა-მოსამსახურეების ჯანმრთელობის, ფიზიკური მომზადების დონისა და ფიზიკური განვითარების შესახებ, რომლის საფუძველზე შეიქმნება მონაცემთა ბაზა, რაც მოგვცემს შესაძლებლობას:

— მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში ამაღლდეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ეფექტურობა;

— საგრძნობლად შეამციროს ადამიანის გუნება-განწყობილებაზე და მის მუშაობის უნარიანობაზე ნეგატიური ფაქტორების ზეგავლენა;

— საწარმოო დაწესებულებების ცალკეული მოსამსახურეებისათვის შემუშავდეს ინდივიდუალური რეკომენდაციები;

— შეიქმნას საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების მიმართვა მოსახლეობის გაჯანმრთელების ღონისძიებებისაკენ.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ინვალიდების ჩაბმის საკითხს. ამისათვის აუცილებელია სპორტულ-გამაჯანსაღებელი გაერთიანებებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზა-

ციების მონაწილეობით შეიქმნას სისტემები, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაციის, ისე ინვალიდების სპორტული მომზადებისა და შრომითი საქმიანობისაკენ მობრუნებისა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასევე სპორტის ნაციონალური სახეების განვითარებას, რომლის მეშვეობითაც უნდა ხდებოდეს ხალხის ფართო მასების ჩაბმა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში.

ქვეყანაში სპორტული მოძრაობის საფუძვლად უნდა გადაიქცნენ სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სპორტული და ტურისტული კლუბები, რომლებიც უნდა მუშაობდნენ შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრის წესით, განსაკუთრებით ინვალიდებისა და ობოლი ბავშვებისათვის.

სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბების გვერდით შესაძლებელია კომერციული სპორტული ცენტრების განვითარებაც (აერობიკა, ათლეტიზმი და სხვა), რომლებიც უფრო კომფორტულ პირობებს შეუქმნიან ადამიანებს და დააკმაყოფილებენ შეძლებული ხალხის ინტერესებს ფასიანი მომსახურების საფუძველზე.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროფესიული განათლების შემდგომი განვითარების საქმეში ახალი მიდგომების რეალიზაციისათვის აუცილებელია:

— სასწავლო და კვლევის პროცესში ახალი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების, პედაგოგიკური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აპრობაცია და დანერგვა;

— ახალი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების შემუშავება;

— საშუალო და უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების სასწავლო-სპორტული და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტული კადრების გაცვლისა და სტაჟირების გამოცდილების გაზიარება საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

მიზანშეწონილია შეიქმნას დარგის ძირითადი სახეების მიხედვით რესპუბლიკური, რეგიონალური და ლაკონური საინფორმაციო სისტემები, უნდა შეიქმნას პროპაგანდისტული და საინფორმაციო ტექნოლოგია. სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად შესაძლო იქნება გრანტების გამოყენება, რომელიც კონკურსების შედეგად გადაეცემათ საინფორმაციო საშუალებებს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდა მიმართული უნდა იქნეს უშუალოდ ადამიანისაკენ, მას დამაჯერებლად უნდა აეხსნას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მნიშვნელობა და როლი, როგორც მოსახლეობის აღზრდის, ავადმყოფობის პროფილაქტიკის, სიცოცხლის გახანგრძლივების, ისე მავნე გვევების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში (ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, სიგარეტის მოწევის და სხვა).

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ამოცანებს წარმოადგენს:

— აუხსნას ხალხს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთო ღირებულებები:

და მოუწოდოს მათ სისტემატურად მიიღონ მონაწილეობა ამ პროცესში;

— აქტიურად გააშუქონ ინდივიდუალური მეცადინეობები ბუნებრივი ფაქტორების ფართოდ გამოყენებით;

—დღენიადაგ ეცადონ ჩამოუყალიბონ ქვეყნის მოსახლეობას ფიზიკურ აფღზრდასა და სპორტში ჩაბმის აუცილებელი მოთხოვნილების სურვილი;

უმაღლესი რანგის სპორტმენების მომზადების ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს სპორტულ წვრთნაში მეცნიერული ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების დანერგვა და მათი სისტემატური სრულყოფა.

სპორტული მომზადების სისტემების თანამედროვე ტენდენციებს განეკუთვნება:

— საწვრთნელი დატვირთვების მაღალი მოცულობების მიღწევა და წვრთნის რეჟიმების სხვადასხვა ინტენსივობის რაციონალური შერწყმა საშეჯიბრო სპეციფიკასა და სპორტულ შედეგებთან;

— მომზადების სპეციალიზებული საშუალებების წილის მნიშვნელოვანი გაზრდა;

— მომზადების საერთო მოცულობაში საშეჯიბრო პრაქტიკისათვის დროის მნიშვნელოვანი ნაწილის დათმობა;

— საწვრთნელი და საშეჯიბრო დატვირთვებისა და დასვენების, სპეციალური აღდგენითი საშუალებების, სპეციალური კვების რაციონისა და შრომისუნარიანობის მასტიმულირებელი საშუალებების ბალანსირება;

— სპორტსმენის მომზადების პროცესში ინდივიდუალიზაციის როლის შემდგომი ამაღლება;

აღნიშნული მოთხოვნილებების რეალიზაციისათვის აუცილებელია:

— სპორტული მომზადების ცენტრების ეფექტური ფუნქციონირება;

— არასაბიუჯეტო ფონდების შექმნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოების დასაფინანსებლად;

— 5-6 მსხვილი სამეცნიერო პროგრამების განსაზღვრა, რომელიც მოიცავს დარგის პრობლემურ საკითხებს და მიჩნეულ იქნას ისინი, როგორც სახელმწიფოს მრავალწლიანი დაკვეთა;

— სპორტის სახეების მიხედვით მაღალი რანგის სპორტსმენებისა და სპორტული რეზერვების მომზადებისათვის კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფების შექმნა დასამეცნიერო-მეთოდური, მედიკო-ბიოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფა;

— ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფისათვის საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფა;

— ფიზიკური აღზრდისა და უმაღლესი მიღწევების სპორტის საჭიროებისათვის ეფექტური ტექნიკური საშუალებების შექმნა;

— სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის მუდმივი სრულყოფა. სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაციისა და ჩატარების ეფექტური სისტემების შექმნა, მათ შორის, სრულიად საქართველოს მოსწავლეთა და სტუდენტთა სპორტული თამაშები;

— ფიზიკური აღზრდისა და უმაღლესი მიღწევების სპორტის სპეციალისტთა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ტექნოლოგიების, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა.

საქართველოში ეროვნული და საერთაშორისო შეჯიბრებებისა და ღონისძიებების ჩასატარებლად აუცილებელია მსხვილი კომპანიებისა და ფირმების, მათ შორის, მარკეტინგული და სარეკლამო, მოზიდვა. ეს შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სპორტისა და ბიზნესის სტრატეგიული პარტნიორობა ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებაზე და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია როგორც სახელმწიფო, ისე დარგობრივი პროგრამების შექმნას, რომლის თემატიკა შეიძლება იყოს:

- მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრთა ჯამრთელობის განმტკიცება:
- ობოლი ბავშვებისა და ინვალიდების სოციალური მხარდაჭერა;

- ტურიზმის, დასვენების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარება;

- ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;

- ბავშვთა დანაშაულებებისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა;

- ბავშვთა და მოზარდთა, ახალგაზრდობისა და მშრომელთა ფართო მასების აღზრდა და განათლება;

კონცეფციის რეალიზაციის შედეგად უზრუნველ-ყოფილი იქნება:

- ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მეცადინეობათა 2-3-ჯერ გაზრდა;

- საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების ღირსეული გამოსვლა უდიდესი მასშტაბების საერთაშორისო ასპარეზობებზე (ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, ოლიმპიური თამაშები);

- ქვეყანაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეში საკანონმდებლო, მატერიალურ-ტექნიკური, სამეცნიერო-მეთოდური და პედაგოგიური ბაზების ფორმირება.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო სპორტის დეპარტამენტის მუშაობის შინაარსი და სტრუქტურა

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი არის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს განმგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუნყებო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას.

დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს მთვრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" და „სპორტის შესახებ" საქართველოს კანონებით, სამინისტროს დებულებით, საკუთარი დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების საფუძველზე.

დეპარტამენტის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. იგი წარმოადგენს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სამართალმემკვიდრეს.

დეპარტამენტს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება, საქართველოს კანონმდებლობით ქონების გადაცემისათვის დადგენილი წესით.

დეპარტამენტს აქვს დასრულებული ბალანსი და ანგარიშსწორების ანგარიშები ბანკში, ხარჯთა ნუსხა, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და დეპარტამენტის აღნიშვნით.

დეპარტამენტი თავისი ამოცანების შესასრულებლად კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- ქმნის სათანადო პირობებს სპორტისა და სპორტის სახეობების ტრადიციების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარებისათვის;

  კოორდინაციას უწევს და თანამშრომლობს სპორტის ასოციაციებთან, კავშირებთან, ფედერაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთნ და ხელს უწყობს მათ საქმიანობას;
- კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს სპორტში არსებული პრობლემბის მოგვარების საკითხებს;
- შეიმუშავებს სპორტის განვითარების ძირითად მიმართულებებს;
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კოორდინაციას უწევს სპორტული მოძრაობების და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას;
- მონაწილეობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში განათლებისა და მეცნიერების პროგრამების დაგეგმვაში, მეთოდურ დახმარებას უწევს სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. კოორდინაციას უწევს კვალიფიკაციის ამაღლებას სპორტის სფეროში;
- მონაწილეობს სპორტთან დაკავშირებული კანონპროექტების მომზადებაში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს დასკვნებს;
- ხელს უწყობს სპორტის დარგში სამედიცინო და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს, კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზებას;
- შეიმუშავებს სათანადო დოკუმენტაციას სპორტის სახელმწიფო დაფინანსებისათვის, თანამშრომლობს ქვე-

ყანაში მოქმედ სპორტის მხარდამჭერ საფინანსო და სხვა დაწესებულებებთან;

- აგროვებს და აანალიზებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ ინფორმაციას;
- ხელს უწყობს სამინისტროებს თავის მმართველობაში სპორტის სფეროსთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში;
- ხელს უწყობს ურთიერთობის დამყარებას სპორტის სფეროში ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის დაწესებულებებთან და საერთშორისო ორგანიზაციებთან;
- მონაწილეობს საერთაშორისო ხელშეკრულებების მომზადებაში. ამზადებს საერთაშორისო კონვენციების და ხელშეკრულებებისადმი მიმართვების პროექტებს, მონიტორინგს უწევს მათ განხორციელებას და ხელს უწყობს საერთაშორისო დახმარებას სპორტის სფეროში.
- კოორდინაციას უწევს სპორტის სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- კონტროლს უწევს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებისათვის საჭირო სპორტული ნაგებობების ტექნიკური ნორმების და ნორმატივების დაცვას;
- ხელს უწყობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგის არასამთავრობო ორგანოების ფორმირებას;
- კონტროლს უწევს სახელმწიფო-სპორტულ ნაგებობათა მიზნობრივი გამოყენების ეფექტურობას;
- დარგის ინტერესებიდან გამომდინარე ხელს უწყობს საზღვარგარეთის ქვეყნებთან სპორტის მეცნიერებისა და სხვა სფეროში თანამშრომლობის განხორციელებას;

- შეიმუშავებს ქვეყნის მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების ერთიან კალენდარულ გეგმას.

დეპარტამენტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში:

- ხელს უწყობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში კვლევის განვითარებას, და მის პრაქტიკაში დანერგვას;
- მონაწილეობას იღებს საქართველოს რეგიონების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების გეგმების შემუშავებაში;
- თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო და არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციებთან, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნულ კომიტეტთან;
- ფედერაციებთან, კავშირებთან, ასოციაციებთან და სხვა სპორტულ საზოგადოებებთან ერთად კოორდინაციას უწევს ქვეყნის მასშტაბით მასობრივ-გამაჯანსაღებელი, სპორტული შეჯიბრებების და სასწავლო-საწვრთნელი შეჯიბრებების მოწყობას;
- ქვეყნის ტერიტორიაზე საზღვარგარეთიდან მოწვეულ სპორტსმენთა შეჯიბრებებში მონაწილეობას;
- უზრუნველყოფს დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და კლუბებთან ერთად სპორტული რეზერვების მომზადებას; კოორდინაციას უწევს სპორტული სკოლების (უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) განვითარებას და გაფართოვებას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს სპორტული სკოლების სასწავლო-საწვრთნელ პროცესს;

- დადგენილი წესის მიხედვით წარადგენს მასალებს საახელმწიფო ჯილდოებისა და საპატიო წოდებების მისანიჭებლად. თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებული და გამოჩენილი სპორტსმენებისათვის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მუშაკებისათვის, სპორტის მეცნიერების წარმომადგენლებისათვის სპორტული წოდებების მინიჭებას. მათი სპორტული ნიშნებით, სიგელებით, დიპლომებით, პრიზებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვებას. განსაზღვრავს სტატუსს პროფესიული და სამოყვარულო სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციებისათვის;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს საქართველოში სპორტული ინვენტარის წარმოებას, მათი ხარისხის გაუმჯობესებას და ასორტიმენტის განახლებას;
- ხელს უწყობს დაინტერესებულ სამინისტროებთან შეთანხმებით, დარგში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ღონისძიებების შემუშავებას და მათ რეალიზაციას;
- ხელს უწყობს, დადგენილი წესით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას, გადამზადებას, უცხოეთში მივლინებას, მათ. ატესტაციას, პროფესიული დონის განსაზღვრას და სხვა;
- კოორდინაციას უწევს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდას;
- ხელს უწყობს და ეხმარება შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან სპორტის სფეროში ურთიერთობის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრაში და საქმიანი ურთიერთობების დამყარებაში;

- კოორდინაციას უწევს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სტრუქტურაში შემავალ სპორტული ქვედანაყოფების საქმიანობას და უზრუნველყოფს მათ მეთოდურ ხელმძღვანელობას;
- უზრუნველყოფს სამეცნიერო, მეთოდური, სასწავლო და პოპულარული ლიტერატურის გამოცემას;
- დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად იბრძვის სპორტში აკძალული ხერხებისა და მასტიმულირებელი საშუალებების გამოყენების წინააღმდეგ;
- ხელმძღვანელობს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული დაოპინგსაწინააღმდეგო დებულებების განხორციელებას სპორტში დოპინგის გამოყენების მინიმუმამდე დაყვანას და მის თანმიმდევრულ, მიზნობრივ აღმოფხვრას;
- ხელმძღვანელობს მაყურებელთა ძალადობასა და არასათანადო ქმედებაზე სპორტულ შეჯიბრებებსა და კერძოდ ფეხბურთის მატჩებზე ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ნორმების შესრულებას;
- ამზადებს კანონპროექტებს და სხვა ნორმატიულ აქტებს სპორტის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- კოორდინაციას უწევს თავისი მმართველობის სფეროში ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებებისა და პროგრამების განვითარებას და განხორციელებას;
- ამზადებს წლიური ბიუჯეტის პროექტს სამინისტროსათვის წარსადგენად და აკეთებს მოხსენებას წინა წლის ბიუჯეტის შესრულებაზე;
- ეროვნული სპორტული ფედერაციის მიერ სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეუსრულებლობისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში, სპორტის შესახებ „საქართ-

ველოს კანონის" შესაბამისად, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს მარეგისტრირებელ ორგანოებთან ერთად ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ფუნქციების საგანგებო ყრილობის მოწვევამდე შეჩერების თაობაზე.

- დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის ინფორმირება მის განმგებლობის სფეროში მიმდინარე საქმიანობის შესახებ.
- დეპარტამენტი ვალდებულია მიაწოდოს სამინისტროს ინფორმაცია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვის შესახებ.

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერმინისტრი.

დეპარტამენტის თავმჯდომარე უძღვება დეპარტამენტის საქმიანობას, არის მისი წარმომადგენელი და პასუხისმგებელი დეპარტამენტის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, სახელმწიფოს მიერ მისთვის გადაცემული ქონებისა და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე. ივი გამოსცემს შიდა ორგანიზაციულ საკითხებზე ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს და უშუალოდ ახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

დეპარტამენტის ინტერესეიდან გამომდინარე თავმჯდომარე უფლებამოსილია განსაზღვრული ვადით სახელშეკრულებო საფუძველზე მოიწვიოს კონკრეტული სახის სპეცი-

ალისტები, შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებებით, განსაზღვროს მათი მოვალეობანი და საქმიანობის წესი.

დეპარტამენტის თავმჯდომარეს ყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომლებსაც მისი წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს მინისტრი. მოადგილეებს შორის ფუნქციებს ანაწილებს თვით დეპარტამენტის თავმჯდომარე.

დეპარტამენტის თავმჯდომარე მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგისა და ხარჯთა ნუსხის პროექტს; თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტის თანამშრომლებს.

დეპარტამენტის სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ფუნქციები და მიმართულებები

დეპარტამენტის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებით:

1. ადმინისტრაციული სამმართველო;
2. მასობრივი სპორტის სამმართველო;
3. უმაღლესი მიღწევების სპორტის სამმართველო;

დეპარტამენტთან ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო.– საბჭო.

ადმინისტრაციული სამმართველო. ადმინისტრაციული სამმართველო ახორციელებს ეკონომიკურ-საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვის საქმიანობის კოორდინაციას. შესაბამის სამსახურებთან ერთად ახორციელებს ფიზიკური არზრდისა და სპორტის განვიტარების პროგრამებს გრძელვადიანი პერიოდისათვის, მაკროეკონომიკური პროგნოზების შემუშავებასა და მათი რეალიზებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას; მონაწილეობას ღებულობს მიზნობ-

რივი პროგრამების შემუშავებაში; არსებული წესის შესაბამისად ახორციელებს თანხის გაცემას.

ამზადებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზირებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს სპორტის სფეროში.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ოპერატიულ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს, აკეთებს ნაერთებს და წარადგენს სამინისტროში.

არსებული წესის შესაბამისად სპორტის დეპარტამენტში აწარმოებს საქმის წარმოებას. კონტროლს უწევს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის სამინისტროსა და დეპარტამენტის გადაწყვეტილებების შესრულებას. არსებული ინსტრუქციის მიხედვით აწარმოებს საარქივო მასალების დამუშავებას და მათ შენახვას. ადგენს დეპარტამენტის სამუშაო გეგმას და ახორციელებს მის შესრულებაზე კონტროლს. წარმართავს კადრებთნ მუშაობას, აწარმოებს დეპარტამენტის თანამშრომელთა პირად საქმეებს, კვარტალში ერთხელ ხელმძღვანელობას წარუდგენს ინფორმაციას დავალებების შესრულების შესახებ;

ორგანიზებას უწევს საჭირო მასალების დაბეჭდვას, გამრავლებასა და დაგზავნას. საჭიროების შემთხვევაში ამზადებს სამინისტროს სათათბირო ორგანოში განსახილველად საკითხთა ნუსხას და კოორდინაციას უწევს მის შესრულებას;

ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის თათბირების მოწყობას დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან. აკონტროლებს დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ შინაგანაწესის მოთხოვნათა შესრულებას;

ამზადებს მასალებს სახელმწიფო ჯილდოებზე და საპატიო წოდებების მისანიჭებლად; ასრულებს დეპარტამენტის თვმჯდომარის დავალებებს და სხვა საორგანიზაციო საქმიანობას;

მასობრივი სპორტის სამმართველო

სპორტის სახეობების ტრადიციების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარების, კვლევისა და ანალიზის შედეგად განსაზღვრავს სპორტის პრიორიტეტულ და სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს;

მონაწილეობს და თანამშრომლობს სხვა სამინისტროებთან მათ მიერ, სპორტთან დაკავშირებული კანონპროექტების მომზადებაში, ამზადებს დასკვნებს და რეკომენდაციებს, ხელს უწყობს სამეცნიერო, სამედიცინო და გამოყენებით კვლევებს სპორტის დარგში, კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს სამეცნიერო შეკრებების, სიმპოზიუმების, კონფერენციების მოწყობასა და სხვა შეხვედრებს.

აანალიზებს და ამზადებს წინადადებებს სპორტის სისტემის მუშაობის თვალსაზრისით, მისი ეროვნული საინვესტიციო პროგრამების ჩარჩოებში ჩასართავად, ახორციელებს „სპორტი ყველასათვის" და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის გათვალისწინებული სპორტული ღონისძიებების კალენდრის შემუშავებას და მისი შესრულების ანალიზს, აანალიზებს სპორტულ შედეგებს და ამზადებს შესაბამის წინადადებებს.

იკვლევს და წარმოადგენს წინადადებებს სპორტული პროფილის საწარმოებისა და ობიექტების ტექნიკური განახლების, რეკონსტრუქციისა და ახლის მშენებლობის შესახებ, შეიმუშავებს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებისათვის საჭირო სპორტული ნაგებობების ტექნიკური ნორმებისა და ნორმატივების დაცვის საკითხებს. ამზადებს საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტებს. ახორციელებს დარგში მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების განზოგადებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვას.

კოორდინაციას უწევს სპორტის სამხარეო, საქალაქო და რაიონული სამსახურების საქმიანობას ასოციაციებთან, კავშირებთან, ფედერაციებთან, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან, სასპორტო სკოლებთან, სპორტულ ბაზებთან, სპორტულ სასწავლებლებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან.

ორგანიზებას უწევს და აწარმოებს საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სტატისტიკურ აღრიცხვიანობას, აანალიზებს, არსებულ მდგომარეობას ძირითადი მონაცემების მიხედვით.

ასოციაციებთან, კავშირებთან, ფედერაციებთან, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან და სასპორტო სკოლებთან ერთად ამზადებს ინფორმაციებს მათი საქმიანობის შესახებ.

მონაწილეობს ქვეყანაში სპორტული განათლების დაგეგმვაში, კოორდინაციას უწევს მწვრთნელთა და მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას სპორტის სფეროში.

მონაწილეობს და კოორდინაციას უწევს სპორტის სფეროში ადგილობრივი და რეგიონალური დაგეგმარების პროექტების შემუშავებას, მათ განხორციელებასა და განვითარებას, ხელს უწყობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმირებას.

მონაწილეობს „სპორტი ყველასათვის", ფიზიკური აღზრდის, სპორტული რეზერვის მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი პროგრამების შედგენაში. აწარმოებს სამუშაოებს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად და ქმნის პირობებს სპორტული კლუბების ჩამოსაყალიბებლად.

ზრუნავს სპორტული რეზერვების მზადებისათვის, ამზადებს წინადადებებს და ხელმძღვანელობს ბავშვთა სპორტის განვითარების საკითხებს, ატარებს მონიტორინგს სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ საკითხებზე.

მონაწილეობს ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებებისათვის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროგრამების შედგენაში, კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შორის სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას და ქმნის პირობებს მათი სპორტში ჩაბმისათვის.

უმაღლესი მიღწევების სპორტის სამმართველო

ხელმძღვანელობს საქართველოში უმაღლესი მიღწევების სპორტის განვითარების საკითხებს.

თანამშრომლობს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ამზადებს ეროვნული და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმას, მონაწილეობს და კოორდინაციას უწევს დაგეგმილ ეროვნულ და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების განხორციელებაში.

თანამშრომლობს ეროვნულ ფედერაციებთან, ასოციაციებთან და კლუბებთან, მონაწილეობს ქვეყნის სპორტის სხვადასხვა სახეობებისა და სხვადასხვა ასაკის (ბავშვების, კადეტების, იუნიორების და დიდიების) ნაკრები გუნდების დაკომპლექტებაში. მონაწილეობს ოლიმპიური თამაშებისათვის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისათვის, ნაკრები გუნდებისა და ცალკეული სპორტსმენების ინდივიდუალური მომზადების გეგმების შედგენაში, ასევე კონტრაქტების გაფორმებაში; ამზადებს ნაკრები გუნდების წევრთა და კანდიდატთა დოსიეს ყოველგვარი მონაცემებით, უწევს ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზებას, შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს ეროვნულ შეჯიბრებებში წამყვანი სპორტსმენების მონაწილეობას, ამზადებს განაცხადებს უმაღლესი მიღწევების სპორტისა და „სპორტი ყველასათვის“ აუცილებელი სახსრების საჭიროების შესახებ, კოორდინაციას უწევს ოლიმპიურ მოძრაობას.

მონაწილეობს უმაღლესი მიღწევების სპორტში მიზნობრივი პროგრამების შემუშავებაში.

ხელმძღვანელობს დოპინგსაწინააღმდეგო საკითხებს. იკვლევს და აანალიზებს სპორტული ბაზების ეფექტურ გამოყენებას.

დეპარტამენტის ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

დეპარტამენტის ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას.

სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული, შესასრულებლად სავალდებულო აქტი. იგი ორი სახისაა: ნორმატიული და ინდივიდუალური.

ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და იგი უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს.

ნორმატიული აქტის მიღების უფლება აქვთ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქართველოს საკანონმდებლო აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი სპორტის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი.

სპორტის მართვის სახელმწიფო ორგანოები

სპორტის მართვის სახელმწიფო ორგანოები და მათი ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს კანონში „სპორტის შესახებ".

სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და საკანონმდებლო ურთიერთობებს განსაზღვრავს და აკონტროლებს საქართველოს პარლამენტი, რომელიც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა და ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენტი განიხილავს და ამტკიცებს კანონებს სპორტსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც არის სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებასა და ანხორციელებს სპორტის სფეროში. გამოსცემს ბრძანებებს სპორტის განვითარების სხვადასხვა საკითხებზე, ნიშნავს და ათავისუფლებს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს,

სპორტის სფეროში მომუშავე პირებს ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს.

სახელმწიფო სპორტის სფეროს მართავს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საშუალებით, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება კონსტიტუციით, საქართველოს კანონით სპორტის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის აქტებითა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულებით, რომელიც დამტკიცებულია პრეზიდენტის მიერ 2005. 5. 05. 3/203 ბრძანებულებით და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

საქართველოს კანონის თანახმად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები, სახელმწიფო მმართველობის რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოები თავიანთ სტრუქტურებში ქმნიან სპორტის მართვის შესაბამის ორგანოებს.

საქართველოს კანონში (მუხლი 5) განსაზღვრულია სპორტის დეპარტამენტის კომპეტენციის ძირითადი მიმართულებები. დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის:

1. დარგის განვითარების ძირითადი მიმართულებების შემუშავება და განხორციელება;
2. ერის გაჯანსაღებისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამების შემუშავება;
3. სპორტის პრიორიტეტულ სახეობათ განსაზღვრა;
4. ხელშეწყობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და შემდგომი განვითარებისათვის.
5. ხელშეწყობა არასახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების ფორმირებისათვის;
6. სპორტის ახალი სახეობების ლიცენზირება;
7. კადრების მომზადების და გადამზადების კოორდინაცია დარგის ატესტაცია და პროფესიული დონის განსაზღვრა;

8. სპორტის სისტემის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფა (სამეცნიერო, სასწავლო, პოპულარული სპორტული ლიტერატურის გამოცემის ორგანიზაცია.)

9. სპორტის დაფინანსების სახელმწიფო ნორმატივების შემუშავება;

10. სპორტსმენთა, სპეციალისტთა და სპორტის მუშაკთა წახალისების უზრუნველყოფა. სახელმწიფო პრემიებსა და ჯილდოებზე წარდგენა;

11. ეროვნული სპორტული ფედერაციების მიერ სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეუსრულებლობისა დაკანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის მარეგისტრირებელ ორგანოსთან ერთად ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ფუნქციების შეჩერება საგანგებო ყრილობის მოწვევამდე.

სპორტული სფეროს მართვა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, საქართველოს კანონით სპორტის შესახებ, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

სპორტის სფეროს ადგილებზე მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, გარდა იმ საკითხებისა რომლებიც განეკუთვნება საქართველოს სპორტის დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ეროვნული სპორტული ფედერაციების კომპეტენციას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლების სმინისტრო მიეკუთვნება რესპუბლიკური სამინისტროების დაქვემდებარებათა ჯგუფს, რომელიც ხელმძღვანელობს ფიზიკურ აღრზდასა და სპორტს, როგორც სასწავლო (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სკოლა-ინტერნატები, უმაღლესი სასწავლებლები, საშუალო-სპეციალური სასწავლებლები) ასევე სკოლამდელ (საბავშო ბაგა-ბაღები) დაწესებულებებში.

კანონის თანახმად (მუხლი 12, ნაწილი 4) ყველა სასწავლო დაწესებულებებში პროფილისა და საკუთრების ფორმის განურჩევლად, სპორტი შედის ერთიან სასწავლო პროგრამაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლების სამინისტრო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად.

ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, მოზარდი თაობის მომზადება ცხოვრებისათვის, შრომისა და სახელმწიფო თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ჯამრთელობის განმტკიცება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტული ოსტატობის დონის ამაღლება, შრომისნაყოფიერების და შრომისუნარიანობის გაზრდა.

სკოლამდელი დაწესებულებებისთვის ფიზიკური აღრზდა ხორციელდება როგორც უმცროსი ისე საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის. უმცროსი ასაკისთვისათვის ფიზიკური არზრდა ხორციელდება სუფთა ჰაერზე გასეირნებით, უფროსი და საშუალო ასაკის ჯგუფებისთვის კი ტარდება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი.

საჭიროა ყველა სკოლამდელ დაწესებულებებში იყოს ფიზიკური აღზრდის მასნავლებლის საშტატო ერთეული.

ფიზიკური აღზრდის ფორმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის ოთხი ძირითადი ფორმაა:

1. ფ/ა გაკვეთილი,
2. ფიზიკური არზრდის საბჭო, (კლასგარეშე მეცადინეობა)
3. ფიზიკური აღზრდა სასწავლო დღის რეჟიმში
4. სკოლისგარეშე მუშაობა.

ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობების ჩატარების ფორმებს, მეთოდებს, ხანგრძლივობას მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე დამოუკიდებლად განსაზღვრავს სასწავლო დაწესებულებანი. ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური არზრდის გაკვეთილი ტარდება კვირაში ორჯერ ერთი საათის ოდენობით.

კლასგარეშე მუშაობის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ყალიბდება ფიზიკური აღრზდის საბჭო.

ზოგადსაგანმანათლებო სკოლის ფიზიკური აღზრდის საბჭო წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც ყოველმხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის მასობრივსპორტულგამაჯანსაღებელ მუშაობას, სპორტისა და ტურიზმის განვითარებას.

ფიზიკური აღზრდის საბჭოს ძირითადი ამოცანაა დახმარება გაუწიოს სკოლას და მშობელს მოსნავლეთა ფიზიკურ განვითარებაში. მოამზადონ მოსნავლეები შრომისთვის და სამშობლოს დასაცავად.

ფიზიკური აღზრდის საბჭო თავის მუშაობას აგებს თვითშემოქმედებაზე, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობათა და წევრთა წინაშე ამ ორგანოების ანგარიშგებაზე.

სკოლის ფიზიკური აღზრდის საბჭოს ორგანიზაციის მუშაობაზე საერთო პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს.

საბჭოს მუშაობაში დახმარებას უწევს ფიზიკური აღზრდის უფროსი მასწავლებელი.

ფიზიკური აღზრდის საბჭოს წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

სკოლაში ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ფიზიკური აღზრდასა და მასობრივ გამაჯანსაღებელ მუშაობას. მოსწავლეების უმრავლესობის ჩაბმას შიდა სასკოლო, სარაიონო ღონისძიებებში სპორტსა და ტურიზმში;

ორგანიზაცია გაუკეთოს სკოლის დღის რეჟიმში გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, დახმარება გაუწიოს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელებს ყოველდღიური ერთსაათიანი სავალდებული გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩატარებაში, სკოლაში მასობრივი შეჯიბრების ბავშვთა სპორტული თამაშების — „იმედის სტარტების", მხიარული ეროვნული და სამხედრო პატრიოტული თამაშების დანერგვასა და ჩატარებას;

აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის სასწავლო-სპორტული ბაზის, ღია მოედნების კეთილმოწყობასა და განმტკიცებაში;

მიზანმიმართულად აწარმოოს მოსწავლეთა შორის ფიზიკური აღზრდის და სპორტის აგიტაცია-პროპაგანდა.

საბჭოს ორგანიზაცია და მუშაობის შინაარსი

საბჭო ყალიბდება არასრულ და საშუალო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში მე-V-XI კლასის მოსწავლეთაგან.

დაწყებით სკოლებში ახლომდებარე არასრულ და საშუალო სკოლებში საბჭო აყალიბებს სპორტულ წრეებს,

ჯგუფებს, ეხმარებიან მათ მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში.

არჩევნები წარმოებს კლასების წარმომადგენელთა საერთო კრებაზე სექტემბრის თვის დასაწყისში არანაკლებ 6-11 კაცის შემადგენლობით. საბჭოს შემადგენლობაში შედიან სკოლის მოსწავლეები. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს.

საბჭოსთან იქმნება მუდმივმოქმედი კომისიები:

ა) მასობრივი მუშაობის კომისია;

ბ) აგიტაცია პროპაგანდის კომისია;

გ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების კომისია;

დ) სამხედრო პატრიოტული აღზრდის კომისია.

კომისიის ხელმძღვანელობას ახორციელებენ საბჭოს ნევრები.

მასობრივი მუშაობის კომისია ეხმარება სკოლას, კლასისა და სამხედრო სწავლების ხელმძღვანელებს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს სასწავლო დღის რეჟიმში გამაჯანსაღებელი ღონისძიების ორგანიზაციაში, მოსწავლეებში საზოგადოებრივი აქტიურობის, შრომისმოყვარეობის, ინიციატივის, შემოქმედებითი და ორგანიზაციული ნიჭის განვითარებაში, ეხმარება აგრეთვე ოვეში ერთხელ ჯანმრთელობის და სპორტის დღეების ჩატარებაში.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების კომისია აწყობს წინა სასკოლო შეჯიბრებებს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებთან ერთად აკომპლექტებს კლასებსა და სკოლის გუნდებს სარაიონო (საქალაქო) შეჯიბრებებისთვის, აფორმებს შეჯიბრების ოქმებს, აღნუსხავს სკოლის რეკორდებს, რომელსაც ათავსებს თვალსაჩინო ადგილზე.

აგიტაცია-პროპაგანდის კომისია სისტემატიურად ადგენს კედლის გაზეთს, სკოლის რადიოქსელის საშუალებით აწარმოებს აგიტაციურ მუშაობას ბავშვთა სპორტსა და ტურიზმში, სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში; ქმნის სპორტის

კუთხეს, სადაც ათავსებს ილუსტრირებულ და სხვა სახის მასალებს.

სხვა კომისიები საბჭოს შეხედულებით აწარმოებენ თავიანთ მუშაობას დანიშნულებისამებრ.

საბჭოს წევრებს უფლება აქვთ:

სამედიცინო შემწეობის გავლის შემდეგ იმეცადინონ სპორტულ სექციებში და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში;

ისარგებლონ სკოლის კუთვნილი სპორტული მოწყობილობით, ინვენტარით და სხვა სახის სპორტულ-ტურისტული აღჭურვილობით.

საბჭოს წევრები მოვალენი არიან:

- აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის ყველა მასობრივ-სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;
- სკოლის სპორტული ნაგებობების მოწყობილობების შეკეთებასა და კეთილმოწყობაში და ზუსტად დაიცვან სკოლის ექიმის მითითებანი თვითკონტროლისა და პირადი ჰიგიენის წესების დაცვის შესაებ.



ფიზიკური კულტურა სასწავლო დღის რეჟიმში გვევლინება ორგანიზაციული დასვენების და ფიზკულ-ტურული წუთის სახით. ორგანიზაციული დასვენება ძირითადად ტარდება მე-3 გაკვეთილის შემდეგ, დიდი შესვენებებზე და ძირითადად მოიცავს მოძრავ თამაშებს. ფიზკულ-ტურული წუთი კი ტარდება დაწყებით კლასებში ვინაიდან ბავშვი თავისი ბუნებით მოძრავია, არ შეუძლია ერთ ადგილას დიდხანს გაჩერება და გული ყოველთვის თამაშისაკენ მიუწევს, ამავე დროს არ აქვს მერხთან ჯდომის კულტურა, ამიტომ საგნის მასწავლებელი უნდა იყოს ყურადღებით, რომ შენიშნავს ბავშვის დაღლას უნდა შეასრულებინოს ვარჯიშთა ისეთი კომპლექსები რომელიც ადვილად მისაწვდომი იქნება მათთვის და ამავე დროს უნდა მოქმედებაში მოიყვანოს ძვალსახსროვანი აპარატის ყველა კუნთი. რაც ბავშვს მისცემს საშუალებას რომ არ მოადუნოს ყურადღება.

სკოლისგარეშე მუშაობა. სპორტის კანონით (მუხლი 13 ნაწილი 1) სკოლისგარეშე მუშაობას მიეკუთვნება სპორტული სკოლები, კლუბები, სექციები და სხვა დაწესებულებანი, რომლებიც ფუნქციონირებენ სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და სხვა საწყისებზე რომელთაც ეკისრებათ ბავშვებისა და ახალგაზრდობის მიზიდვა და ჩაბმა გამაჯანსაღებელ და სპორტულ მეცადინეობებში (სექციებში).

სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციას ახდენენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოები.

1974 წლიდან სპორტული სკოლების სამი ნომენკლატურაა: 1) ბავშვთა და მოზარდთა 2) ოლიმპიური რეზერვების 3) უმაღლესი სპორტული დაოსტატების.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები - ყალიბდება რაიონის (როგორც ქალაქის ისე სოფლის) განათლების განყოფილებასთან. სადაც შეუძლია ყველა ბავშვს იზრუნოს

როგორც თავისი ჯამრთელობის განმტკიცებისათვის ისე სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისათვის. ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში რომ ჩაირიცხოს ბავშვი მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, სკოლის ფ/ა მასწავლებლის დახასიათება და მშობლის წერილობითი ნებართვა. თუ ბავშვი ჩააბარებს იმ სპორტულ ნორმატივებს, რომელიც შედგენილია მოცემული სპორტული სკოლის მიერ, იგი ჩაირიცხება და სწავლების პერიოდში გაივლის ოთხ ჯგუფს: 1) დამწყებთა 2) მოსამზადებელი, 3) სპორტული სრულყოფის, 4) სპორტული დაოსტატების.

ოლიმპიური რეზერვების სპორტულ სკოლებში - სპორტსმენები ძირითადად ირიცხებიან ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებიდან, რომელთაც უკვე აქვთ გარკვეული წარმატებები მოცემულ სპორტის სახეში.

ოლიმპიური რეზერვების მომზადების სპორტულ სკოლაში სპორტსმენები ირიცხებიან სპეციალობაში და საერთო ფიზიკურ მომზადებაში გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სწავლების პერიოდში გაივლიან მხოლოდ სამ ჯგუფს: მოსამზადებელს, სპორტული სრულყოფის და სპორტული დაოსტატების.

უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლები - ამ ტიპის სპორტულ სკოლებში ვარჯიშობენ ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების წარმომადგენლები, რომლებიც იცავენ ჩვენი ქვეყნის ღირსებას, როგორც ჩვენი ქვეყნის ასევე საერთაშორისო სპორტული გაერთიანებების მიერ მოწყობილ სპორტულ შეჯიბრებებში. აქ ფუნქციონირებს მხოლოდ დაოსტატების ჯგუფები.

სამივე ტიპის სპორტული სკოლა არის როგორც სპეციალიზირებული ასევე კომპლექსურიც.

ფიზიკური არზრდისა და სპორტის ორგანიზაცია უმაღლეს სასწავლებლებში

უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრის მიზანია ხელი შეუწყოს მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტთა მომზადებას, იზრუნოს მათი ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისთვის და ჰარმონიული განვითარებისთვის.

სტუდენტთა ფიზიკური არზრდაზე, მათ შორის სპორტუილ-მასობრივი მუშაობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოცემული უმაღლესი სასწავლებლის რექტორს, ხოლო სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდას უშუალოდ ხელმძღვანელობს ფიზიკური აღზრდის კათედრა.

უმაღლეს სასნავლებლებში ფიზიკური აღზრდა გვევლინება ორი ძირითადი ფორმით:

1. სავალდებულო და ფაკულტატური, კვირაში ორი საათი სნავლების პირველ ოთხ სემესტრში;
2. ფაკულტატური (სექციური) მეცადინეობები სნავლების დანარჩენ პერიოდში, კვირაში ორი საათი, რომელიც ჩაირთვება უმაღლესი სასნავლებლის ცხრილში.

გარდა ძირითადი ფორმებისა უმაღლეს სასნავლებლებში არის სტუდენთთა დამოუკიდებელი მეცადინეობა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, ტურიზმში, თავისუფალ დროს, სპორტული კლუბის სექციებში, (გუნდებში); საწარმოო ტანვარჯიში საწარმოო პრაქტიკის პერიოდში.

ფიზიკური აღზრდის საგანში პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების დროს ყოველ კურსზე იქმნება სასნავლო ჯგუფები: სპეციალური, მოსამზადებელი და სპორტული დახელოვნების ჯგუფების მიხედვით. სტუდენტთა განაწილება პირველ კურსზე სასნავლო წლის დასაწყისში ხორციელდება

სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური განვითარებისა და მომზადებულობის, სპოტული კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

სტუდენტთა ჩარიცხვა მოსამზადებელი და სპორტული დახელოვნების განყოფილებებში მიმდინარეობს სასწავლო წლის დასაწყისში, ფიზიკურ მომზადებაში პროგრამით გათვალისწინებული ნორმატივების საკონტროლო შემოწმების შემდეგ.

სპეციალური და მოსამზადებელი სასწავლო განყოფილებების სტუდენტები რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიკური მომზადებულობა და განვითარება მეცადინეობის პროცესში გაუმჯობესდება შესაძლებელია ექიმის რჩევით და კათედრის დასკვნით გადაიყვანონ სასწავლო განყოფილებაში, სემესტრის ან სასწავლო წლის დამთავრებისას. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო სტუდენტის მდგომარეობა გაუარესდება, იგი შეიძლება გადაიყვანონ სპეციალურ სამედიცინო ჯგუფში სასწავლო წლის ნებისმიერ დროს.

მოსამზადებელ სასწავლო ჯგუფებში ჩაირიცხებიან მოსამზადებელი და ძირითადი სამედიცინო ჯგუფის სტუდენტები. მოსამზადებელი და ძირითადი სამედიცინო ჯგუფის პრაქტუკული მეცადინეობა ტარდება ცალ-ცალკე.

სპეციალურ სასწავლო განყოფილებებში ჩაირიცხებიან სტუდენტები, რომელთაც სამედიცინო შემოწმების შემდეგ მიაკუთვნებენ სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს. ჯგუფები კომპლექტდება სქესის, ავადმყოფობის ხასიათისა და სტუდენტთა ორგანიზმის ფუნქციურ შესაძლებლობათა მიხედვით. მეცადინეობა ტარდება კვირაში ორჯერ სავალდებულო წესით მთელი სასწავლო წლის პერიოდში.

სპორტული დახელოვნების სასწავლო განყოფილებაში ჩაირიცხებიან სტუდენტები, რომელთაც აქვთ კარგი ფი-

ზიკური მომზადებულობა და შეასრულეს საკონტროლო ნორმატივები.

ფიზიკური აღზრდის კათედრა

ფიზიკური არზრდის კათედრას ხელმძღვანელობს კათერის გამგე. კათედრა დაკომპლექტებულია პროფესორ-მასწავლებლებით, სასწავლო დამხმარე პერსონალით (ლაბორატორიის გამგე, უფროსი ლაბორანტები, პიანისტ-აკომპანიატორები, ლაბორანტები, პრეპარატორები, მექანიკოსები). დამხმარე პერსონალის ფუნქციებს ამტკიცებს კათედრის გამგე, რომლის ხელმძღვანელობითაც მუშაობენ ისინი.

ფიზიკური აღზრდის კათედრა წარმართავს და ხელმძღვანელობს, როგორც სასწავლო ასევე სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდურ მუშაობას.

კათედრაზე მუშაობის განსახორციელებლად უნდა შედგეს:

- კათედრის სამუშაო გეგმა, ფაკულტეტებზე ფიზიკური აღზრდის სამუშაო გეგმები, პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სამუშაო გეგმები.
- მეცადინეობის სახეობათა მიხედვით სასწავლო პროგრამები, სასწავლო პროცესის გრაფიკები, სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის გეგმები, სასწავლო მეცადინეობის ცხრილი.
- სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის პერსპექტიული გეგმა;
- სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის წლიური გეგმები;
- მასობრივ-ფიზკულტურულ-გამაჯანსარებელი ღონისძიებებისა და სპორტული მუშაობის კალენდარული გეგმა, სპორტული შეჯიბრების დებულება.

მუშაობის აღრიცხვის მიზნით კათედრას უნდა გააჩნდეს კათედრის სხდომების ოქმები, ბრძანების და განკარგუ-

ლებების წიგნები, სასწავლო მუშაობის აღრიცხვის ჟურნალები, სპორტულ შეჯიბრებათა ოქმები, აგრეთვე სტუდენტთათვის საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა (მწვრთნელთა) და მსაჯთა წოდების მისანიჭებელი აქტები და სხვა.

კათედრა პრაქტიკულ დახმარებას უწევს სასწავლებელის სპორტულ კლუბსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. უზრუნველყოფს მათ მეთოდურ ხელმძღვანელობას მასობრივ-ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების ჩატარების დროს (სპორტკლუბის სპორტული სექციები, სპარტაკიადები, შეჯიბრებები, შეჯიბრებები მრავალჭიდში, მასობრივი კროსები და სხვა. სპორტული შეჯიბრებები, კონკურსები, დათვალიერებები, რეიდები, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა და სხვა).

სამედიცინო კონტროლი

საექიმო კონტროლს ატარებენ საექიმო პუნქტები, პოლიკლინიკები და ამბულატორიები. ზოგ უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის კათედრასთან არსებობს საექიმო პუნქტები.

სტუდენტთა პირველადი სამედიცინო შემოწმება ხორციელდება სასწავლო წლის დაწყებამდე I კურსზე. განმეორებითი შემოწმება შემდგომ კურსზე სასწავლო წლის და საწყისში, აგრეთვე სპორტული შეჯიბრებების წინ, რაიმე ავადმყოფობის გადატანისა ან ტრამვის შემდეგ.

ფიზიკური არზრდის ფორმები საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში

ფიზიკური აღზრდის ფორმები საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში იგივეა რაც უმაღლეს სასწავლებლებში. მხოლოდ სავალდებულო სწავლება აქ მიმდინარეობს ყველა კურსზე კვირაში ორი აკადემიური საათი, ერთი საათი კი ფაკულტატურია.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტულ მუშაობაზე საერთო პასუხისმგებელია დირექტორი, ხოლო ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლებას ხელმძღვანელობს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ატარებს მეცადინეობას ფიზიკურ აღზრდაში და აფასებს ნიშნით. ადგენს სასწავლო გეგმა-პროგრამებს ფაკულტეტების და კურსების მიხედვით. სასწავლებელში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსარებელი სპორტული მუშაობისთვის შექმნილია გამაჯანსარებელი კოლექტივები, სადაც ყალიბდება მუდმივმოქმედი სპორტული სექციები, გუნდები, ჯგუფები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

სასწავლებელში მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმების შემდეგ ისინი იყოფიან ძირითად, მოსამზადებელ და სპეციალურ ჯგუფებად.

ძირითად ჯგუფში გაერთიანებული არიან ჯანმრთელნი და ფიზიკურად ძლიერნი.

მოსამზადებელში – ჯანმრთელნი მაგრამ ფიზიკურად სუსტნი.

სპეციალურ-სამედიცინო ჯგუფში კი ერთიანდებიან პირნი, რომელთაც ჯანმრთელობის მხრივ რაიმე გადახრები აქვთ.

კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს თავის დაქვემდებარებაში შემავალ სასწავლებლებში (სპორტის აკადემია, თეატრალური ინსტიტუტი, კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, კულტურის ინსტიტუტი, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლები) სტუდენტთა და მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საქმეს.

სამინისტროში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხელმძრვანელობა დავალებული აქვს მინისტრის მოადგილეს.

სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები კულტურის სასახლეები, კლუბები და კულტურისა და დასვენების პარკები ეწევიან სათანადო მასობრივ-ფიზკულტურულ-გამაჯანსარებელ, სპორულ და პროპაგანდისტულ მუშაობასაც. მუშაობის ფორმები სხვადასხვაა: ფასიანი ჯანმრთელობის ჯგუფები, სპორტის სხვადასხვა სახეობის შემსწავლელი ჯგუფები (ცურვა, ბადმინტონი, ჩოგბურთი და სხვა) მასობრივი სპორტული შეჯიბრებები. კულტურისა და დასვენების პარკებში ფიზკულტურულ-სპორტულ;ი მუშაობის ხელმძღვანელად შტატში ჰყავთ მეთოდისტი. პარკებში განლაგებულია სხვადასხვა სპორტული მოედნები და საცურაო აუზები.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

სპორტის კანონში (მუხლი 17) განსაზღვრლია სპორტის განვითარებაში ჯანმრთელობის, დაცვის ორგანიზაციების და დაწესებულებების მონაწილეობის ძირითადი მიმართულებები.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო თავისი კომპენტენციის ფარგლებში სპორტს იყენებს, როგორც ფიზიკური რეაბილიტაციისა და დაავადებების პროფილაქტიკის საშუალებას.

უწევენ სამედიცინო კონტროლს სპორტული სექციის წევრებს, უზრუნველყოფენ საქართველოს ეროვნული და გუნდების სამედიცინო მომსახურებას ხელშეკრულების საფუძველზე.

ორგანიზაციას უწევენ და ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტებს მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის იმ ძირითადი კომპენტენტების საკითხებში, რომლებიც გამოიყენებნება ავადმყოფების მკურნალობასა და პროფილაქტიკაში.

ქმნიან სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრებს (დინსპანსერები), დიაგნოსტიკურ საკონსულტაციო კაბინეტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობას შესაბამისი მომსახურებით, აღჭურვენ მათ თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით და აპარატურით.

საჭიროა დისპანსერში ფუნქციონირებდეს სტაციონარი სპორტსმენთა სადღეღამისო მკურნალობისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დისპანსერებში უნდა დაეთმოს სამკურნალო ფიზკულტურის დარბაზს, მასაჟის ოთახს და ფიზიოთერაპიულ განყოფილებას.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამის ორგანოებს ევალებათ, სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე სანიტარულ — ჰიგიენური ნორმების დადგენა და მათზე მეთვალყურეობა.

თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტრო

თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები იცავენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ძლიერების განმტკიცებას.

კანონი სპორტის შესახებ სათანადო ადგილს უთმობს სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პირადი შემადგენლობის სპორტულ მომზადებას, მათი სპორტული მომზადების შინაარს, განსაზღვრავენ შესაბამისი ორგანოები სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით. სამხედრო ნაწილების მეთაურები და შინაგან საქმეთა და უშიშროებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური ქვედანაყოფების უფროსები ვალდებულნი არიან შექმნან აუცილებელი პირობები სპორტის სამხედრო — გამოყენებით სახეობებში (ორთაბრძოლები, კლდეზე ცოცვა, საპარაშუტო სპორტი, საშვეულმფრენო სპორტი, ავტო, მოტო, ავია და ა. შ.) მეცადინეობების ჩატარებისა და მასში სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური პირადი შემადგენლობის მონაწილეობისათვის. (1)

საქართველოს სპორტული კანონმდებლობის მიხედვით (მუხლი 18) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს კონტროლი მასში მყოფ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, განახორციელოს აუცილებელი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები თავისუფლების აღკვეთის ადგილების შინაგანაწესის შესაბამისად, უზრუნველყოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი მეცადინეობების ჩატარების პირობები შესაბამისი ინვენტარითა და მოწყობილობით.

საქართველოს ეროვნული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენი"

1. ზოგადი დებულებანი

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენი", (შემდგომში „საზოგადოება") აგრძელებს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენი"-ს ტრადიციებს და იქმნება საქართველოს პროფკავშირთ რესპუბლიკური ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ბაზაზე. „შევარდენი" ეროვნული დამოუკიდებელი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებაა, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კანონებითა და წესდებით.

საზოგადოება აღიარებს, რომ მასზე ზრუნავს საქართველოს პროფკავშირთ კონფედერაციის საბჭო და მისი გამგეობა. საქმიანობის ყველა სფეროში თვითმმართველობის პრინციპის დაცვისა და სრული ორგანიზაციული, საფინანსო და სამეურნეო დამოუკიდებლობის პირობებში „შევარდენი" პარტნიორობს პროფკავშირთა დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტებთან.

ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენი":

- დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავისი საქმიანობის სტრატეგიასა და ტაქტიკას, საზოგადოების სტრუქტურას, აგრეთვე ურთიერთობის ფორმებს სახელმწიფო, პროფკავშირულ, ახალგაზრდულ, კოოპერაციულ ფიზკულტურულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.
- ურთიერთობას დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ამყარებს თანასწორუფლებიანობის პრინციპით ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გზით.

ხელშეკრულებების საფუძველზე:

- თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან, სპორტის სახეობათა ფედერაციებსა და საზოგადოებებთან მჭიდრო ურთიერთქმედებით.
- ხელმძღვანელობს დემოკრატიის, საჯაროობის, თვითთმმართველობის, როგორც საზოგადოების წევრთა ისე სტრუქტურაში შემავალი ქვედანაყოფების ფართო ინიციატივისა და დამოუკიდებლობის პრინციპით.

საზოგადოება „შევარდენი" იურიდიული პირია, აქვს ბეჭედი, საკუთარი ანგარიში, მათ შორის სავალუტო, ბანკში.

საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები, სპორტული კლუბები, სპორტული ბაზები, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, აგრეთვე სხვა ქვედანაყოფები არიან იურიდიული პირები, აქვთ თავიანთი ბეჭედი და საკუთარი ანგარიში ბანკში, მათ შორის სავალუტოც.

გამაჯანსარებელ კოლექტივებს ბანკში ანგარიში შეიძლება ჰქონდეთ შესაბამის საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან შეთანხმების საფუძველზე.

საზოგადოება იურიდიული პირის უფლებებსა და მოვალეობებს იძენს წესდების მიღების დღიდან.

საზოგადოების ძირითადი ამოცანებია:

- იზრუნოს ერის გაჯანსაღებისათვის, ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტის ეფექტიანად გამოყენების გზით.
- აქტიურად ჩააბას ფიზკულტურულ-მასობრივ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში რესპუბლიკის მშრომელები და მათი ოჯახის წევრები, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა.
- პროპაგანდა გაუწიოს მუშა-მოსამსახურეებსა და სოფლის მშრომელებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციალურ დანიშნულებას, ჯანსაღი ცხოვრებისს

წესს, იზრუნოს პირობების შესაქმნელად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისათვის, ამ მიზნით ხელს უწყობს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შესაძლებლობების კონცენტრაციას და მონაწილეობს კოოპერირებაში;

- ფართოდ დანერგოს ფიზკულტურულ-მასობრივ და გამაჯანსაღებელი მუშაობის პროგრესული ფორმები შრომით კოლექტივებში, განსაკუთრებით სოფლად.
- იზრუნოს ქალთა და ინვალიდთა გაჯანსაღებისათვის, აქტიურად ჩააბას ისინი ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობაში, შექმნას აღდგენითი პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო ცენტრები.
- უზრუნველყოს სპორტის ეროვნულ სახეობათა აღორძინებისა და პოპულარიზაციისათვის;
- დაამკვიდროს ახალგაზრდებს შორის ცხოვრების ჯანსაღი წესი, გააააქტიუროს სტუდენტური, სპორტული მოძრაობა, უზრუნველყოს მისი დემოკრატიზაცია;
- იზრუნოს ფიზიკური კულტურის და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, უზრუნველყოს არსებულის ეფექტიანად გამოყენება, დააჩქაროს სპორტული ინვენტარისა და ფორმის საწარმოო ბაზის განვითარება;
- ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს; უზრუნველყოს რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმომადგენლობის ზრდა ოლიმპიურ თამაშებში, ეროვნული სპორტის სრული სუვერენიტეტის მოპოვება;
- განამტკიცოს თანამშრომლობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში სამინისტროებთან და უწყებებთან, პროფკავშირთა დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტებთან;

- გაუწიოს მეთოდური ხელმძღვანელობა და პრაქტიკული დახმარება გამაჯანსაღებელ კოლექტივებს, ხელი შეუწყოს დარგის უზრუნველყოფას ფიზკულტურული კადრებით, იზრუნოს მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;
- უზრუნველყოს საზოგადოების ნაკრები გუნდებისა და ცალკეულ სპორტსმენთა მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებებში, ტურნირებსა და ჩემპიონატებში, საერთაშორისო სპორტული ურთიერთკავშირის გაფართოება;
- იზრუნოს საზოგადოების წევრი სპორტსმენების ფიზკულტურულ-სპორტული მუშაკების სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის;
- შექმნას საზოგადოების სიმბოლიკიანი ნაწარმისა და სუვენირების გამოსაშვები საკუთარი და ერთობლივი საწარმოები, კოოპერატივები, რომელთა შემოსავალი მოხმარდება საწესდებო ამოცანათა შესრულებას;

საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობანი

საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც აღიარებს საზოგადოების წესდებას, პრაქტიკულად მონაწილეობს საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში და იხდის საწევრო შესატანს. საზოგადოების ინდივიდუალურ წევრს იღებს გამაჯანსაღებელი კოლექტივის კრება.

საზოგადოების კოლექტიური წევრები შეიძლება გახდნენ: წარმოება-დაწესებულებები, სასწავლებლები, კომერციული დაწესებულებები ასოციაციები და სხვა ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანებები, რომლებიც აღიარებენ წი-

ნამდებარე წესდებას, ხელს უწყობენ მას მუშაობაში, იხდიან დაწესებულ საწევრო შესატანს.

საზოგადოების კოლექტიურ წევრთა საწევრო გადასახადის ოდენობას დიფერენცირებულად აწესებს საზოგადოებეი რესპუბლიკური საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

საზოგადოების კოლექტიურ წევრებს იღებენ რესპუბლიკური, საოლქო და საქალაქო რაიონული საბჭოები.

საზღვარგარეთის მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს საზოგადოების წევრებად იღებენ რესპუბლიკური, საოლქო და საქალაქო რაიონული საბჭოები.

საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია – გამაჯანსარებელი კოლექტივი შეიძლება შეიქმნას სამუშაო ან სწავლის ადგილას, აგრეთვე ტერიტორიული პრინციპით, თუ გაერთიანდება არანაკლებ 15 კაცი. გამაჯანსაღებელ კოლექტივს მისი შექმნის შემდეგ რეგისტრაციაში ატარებს საზოგადოების საქალაქო და რაიონული საბჭო.

საზოგადოების წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მარ··ივის ყველა რგოლში, აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების ყველა ხელმძღვანელ ორგანოში, იმეცადინოს სპორტულ სექციებში, ჯგუფებში, ატაროს საზოგადოების ნიშანი და ემბლემა, დადგენილი წესით ისარგებლოს სპორტული ნაგებობებით, გავიდეს საზოგადოებიდან ნებაყოფლობით.

წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის საზოგადოების წევრის პასუხისმგებლობის, მისი საზოგადოებიდან გარიცხვის საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს საერთო კრებაზე; მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საზოგადოების ზემდგომ ორგანოში.

ინდივიდუალური საწევრო შესატანის ოდენობას განსაზღვრავს გამაჯანსარებელი კოლექტივი, მაგრამ არა ნაკლებ სამი ლარისა წელიწადში; პენსიონერებისა და სასწავლო დაწესებულებათა სტუდენტებისათვის საწევრო შესატანი

განისაზღვრება არა ნაკლებ ერთი ლარისა წელიწადში. ინვალიდები, ობოლი ბავშვები და მზრუნველობას მოკლებული ბავშვები თავისუფლდებიან საწევრო შესატანისაგან.

შეგროვილი თანხის 8% რჩება გამაჯანსაღებელი კოლექტივის ან სპორტული კლუბის განკარგულებაში. 20% კი გადაერიცხება საქალაქო და რაიონულ საბჭოებს. სახსრების კოოპერირებისათვის რეგიონში ფიზიკური არზრდისა და სპორტის გასავითარებლად.

გამაჯანსაღებელ კოლექტივებს, სპორტულ კლუბებს შეუძლიათ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკებს საწევრო ანარიცხებიდან მისცენ ანაზღაურება ან ხელფასის დანამატი.

საზოგადოების წევრი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტური მონაწილეობისათვის მაღალი სპორტული მიღწევებისათვის შეიძლება დაჯილდოვდნენ საზოგადოების ჯილდოებით, აგრეთვე წარდგენილ იქნენ რესპუბლიკის ჯილდოებსა და საპატიო წოდებათა მისანიჭებლად.

ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ სტრუქტურა და მართვის ორგანოები

ყრილობა:

- იღებს წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები.
- ამტკიცებს საზოგადოების მუშაობის მთავარ მიმართულებებსა და სამუშაო პროგრამას;
- ირჩევს რესპუბლიკურ საბჭოს და საზოგადოების თავმჯდომარეს ღია ან ფარული კენჭისყრით; (კენჭისყრის ფორმა განისაზღვრება დელეგატთა ხმის უმრავლესობით)
- აუცილებლობის შემთხვევაში ყრილობათა შორის პეროიდში საზოგადოების თავმჯდომარეს ირჩევს რეს-

პუბლირური საბჭო. საზოგადოების თავმჯდომარესა და მოადგილეებს როგორც წესი ირჩევენ არა უმეტეს ორი ვადისა;

- ირჩევს სარევიზიო კომისიას;
- ისმენს რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, იღებს მათ გამო დადგენილებებს.

საზოგადოების რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, ან საოლქო საბჭოების აგრეთვე საქალაქო და რაიონული საბჭოების ერთი მესამედის მოთხოვნით.

გადაწყვეტილებას ყრილობის მოწვევის, მისი დღის წესრიგისა და წარმომადგენლობის ნორმების შესახებ იღებს რესპუბლიკური საბჭო და მათ შესახებ საზოგადოების წევრებს ატყობინებს ყრილობის მოწვევამდე ორი თვით ადრე. საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ეცნობება იმ ორგანოს, რომელმაც რეგისტრაციაში გააატარა ეს წესდება.

ყრილობებს შორის პერიოდში საზოგადოების ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს რესპუბლიკური საბჭო, მისი მთავარი ამოცანაა ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელება, წესდების დაცვის უზრუნველყოფა და საზოგადოების ყველა რგოლის საქმიანობის კოორდინაცია. რესპუბლიკური საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეებს.

რესპუბლიკური საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არა ნაკლებ წელინადში ერთხე;

რიგგარეშე სხდომა მოიწვევა პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკური საბჭოს წევრთა ერთი მესამედის ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

სხდომებს შორის პერიოდში მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს რესპუბლიკური საბჭო, პრეზიდიუმის სხდომები

იმართება თავმჯდომარის ან მისი პირველი მოადგილის თავმჯდომარეობით საჭიროებისამებრ, მაგრამ არა ნაკლებ კვარტალში ერთხელ.

პრეზიდიუმი ყოველწლიურად უდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს რესპუბლიკურ საბჭოს, რომელიც შესაბამის შეფასებას აძლევს ჩატარებულ მუშაობას.

რესპუბლიკურ საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს შორის პერიოდში საზოგადოების მისი მართვის ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების ოპერატიულ საკითხებს განკარგულებების მეშვეობით წყვეტენ საზოგადოების თავმჯდომარე და მისი მოადგილეები.

რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი თავის საქმიანობას ანხორციელებს აპარატის მეშვეობით. აპარატის სტრუქტურას მუშაკთა შტატებსა და სარგოებს განსაზღვრავს რესპუბლიკური საბჭო ან მისი პრეზიდიუმი. საზოგადოების უმაღლესი ორგანო ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქებსა, ქალაქებსა და რაიონებში არის კონფერენცია. იგი მოიწვევა საჭიროებისამებს. მაგრამ არა ნაკლებ ხუთ წელიწადში ერთხელ. კონფერენციის წარმომადგენლობის ნორმებსა და მისი ჩატარების წესებს განსაზღვრავენ საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები.

კონფერენცია ისმენს საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების სარევიზიო კომისიის ანგარისებს, განსაზღვრავს მუშაობის მთავარ ამოცანებს; ირჩევს საზოგადოების შესაბამისი საბჭოს თავმჯდომარეს, სარევიზიო კომისიასა და საზოგადოების ყრილობის დელეგატებს.

კონფერენციებს შორის პერიოდში საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების მუშაობას ხელმძღვანელობენ კონფერენციების მიერ არჩეული შესაბამისი საბჭოები, რომელთა სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც.

მიმდინარე მუშაობას სხდომებს შორის პერიოდში საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციებში ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი რომელსაც ირჩევს საზოგადოების შესაბამისი საბჭო.

პრეზიდიუმი სხდომებს მართავს საჭიროებისამებრ, მაგრამ ორ თვეში ერთხელ მაინც. პრეზიდიუმის სხდომებს ხელმძღვანელობს საზოგადოების თავმჯდომარე.

გამაჯანსაღებელიო კოლექტივის, სპორტული კლუბის უმაღლესი ორგანოა მათ წევრთა საერთო კრება (კონფერენცია), რომელიც მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც.

გამაჯანსაღებელიო კოლექტივის, სპორტული კლუბის წევრთა საერთო კრებაზე, კონფერენციაზე, შეიძლება არჩეულ იქნენ გამაჯანსაღებელი კოლექტივის საბჭო ან მისი თავმჯდომარე და მოადგილე, აგრეთვე სპორტული კლუბის პრეზიდიუმი.

საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გამაჯანსაღებელ კოლექტივს, რომელიც მაღალ შედეგებს მოიპოვებს შრომით საქმიანობაში და სპორტის განვითარებაში შეიძლება მიენიჭოს „სპორტული კლუბის წოდება.

გამაჯანსაღებელი კოლექტივი, სპორტული კლუბი თავის საქმიანობას წარმართავს დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო ან მისი პრეზიდიუმი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილეს და მდივანს ირჩევს ხმის უმრავლესობით საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების სხდომებზე. სარევიზიო კომისიები წელიწადში ერთხელ მაინც ატარებენ საოლქო ააქალაქო და რაიონული საბჭოების, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს დაქვემდებარებული სამსახურების საფინანსო და სამეურნეო საქმიანო-

ბის რევიზიას, რომლის შედეგებიც განიხილება შესაბამისი საბჭოების პრეზიდიუმის სხდომებზე, კომისიის გადაწყვეტილებები ძალაშია თუ სხდომას ესწრებოდა წევრთა ნახევარზე მეტი. (სარევიზიო კომისიის წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი საბჭოების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.)

სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ საბჭოების აპარატის შტატიანი მუშაკები.

ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ საკუთრება და ფინანსები

საზოგადოების საკუთრების უფლების ობიეტებია შენობა ნაგებობანი, სპორტული ბაზები, მოწყობილობა, ინვენტარი, ტრანსპორტი სხვა ქონება და ფინანსური საშუალებანი რომლებიც წინამდებარე წესდების მიღებამდე ეკუთვნოდა საქართველოს პროფკავშირთა ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, აგრეთვე დაქვემდებარებულ სპორტულ კლუბებს, სპორტულ სკოლებს და საწარმოებს.

საზოგადოებას აქვს თავისი ემბლემა, დროშა, სპორტული და სამახსოვრო მედლები, საპატიო სიგელები, დიპ[ლომები, ჟეტონები, სპორტული ფორმა, რომელთა ესკიზებს ამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და რომლებიც წარმოადგენს საზოგადოების ექსკლუზიურ საკუთრებას. საზოგადოებას შეუძლია ჰქონდეს თავისი ბეჭდვითი ორგანო.

საზოგადოების შემოსავალს ძეადგენს:

- დოტაციები საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციიდან;

- დოტაციები რომლებიც მიიღება დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტებიდან, პროფკავშირების სოციალურ შეკვეთასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე;
- კოლექტიური და ინდივიდუალური საწევრო შესატანები;
- შემოსავალი, რომელიც მიიღება სხვადასხვა ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.
- სპორნსორებისაგან მიღებული შემოსავალი.
- შემოსავალი, რომელიც მიიღება სპორტული ღონისძიებების, საჩვენებელი გამოსვლების, ცნობილ სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან, ვეტერანებთან შეხვედრა-სარამოების სარეკლამო ღონისძიებების შედეგად;
- შემოსავლები სხვადასხვა წარმოებებისა და ორგანიზაციებისაგან.
- საზოგადოების სიმბოლიკიანი ნაწარმისა და სუვენირების გამომშვები საკუთარი და ერთობლივი, მათ შორის უცხოურ ფირმებთან შექმნილი საწარმოების მოგების შემოსავალი;
- სპორტული ნაგებობებისა და ბაზების, სპორტული და ტურისტული ინვენტარის გაქირავებით მიღებული შემოსავალი;
- შემოსავალი, რომელიც მიიღება საზოგადოების, სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების სხვა საზოგადოებაში გადასვლისას ან საქართველოს ნაკრებ გუნდებში ჩარიცხვისას;
- ცალკეულ სპორტსმენებთან, სპორტულ გუნდებთან საერთაშორისო კონტრაქტების დადებით მიღებული შემოსავალი;
- შემოსავალი, რომელიც მიიღება აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ან შეძენით, ფულისა და ნივთების ლატარიის გათამაშებით;

- მიწის ნაკვეთის სხვადასხვა ობიექტების იჯარით ან ხანგრძლივი სარგებლობისათვის აღებით მიღებული შემოსავალი;
- საზოგადოების ბეჭდვითი ორგანოს რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
- შემოწირულობანი და სხვა შემოსავალი;

განსაკუთრებულ შემთხვევაში ერის გაჯანსაღების მიზნით და ქართული სპორტის ინტერესების სასარგებლოდ საზოგადოებამ შეიძლება ფინანსური და მატერიალური დახმარება სთხოვოს რესპუბლიკის მთავრობას.

საზოგადოების სახსრები შეიძლება გაიზარდოს საბანკო წესების საფუძველზე სხვადასხვა საფინანსო ოპერაციით, ობლიგაციების, სერთიფიკატების და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით.

საზოგადოებისა და მასთან ჩამოყალიბებული ორგანიზაცია-საწარმოების შემოსავალი გარდა იმ სახსრებისა, რომლებიც ხმარდება საქველმოქმედო მიზნებს, იბეგრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საზოგადოების ანგარიშზე წლის დამლევისათვის არსებული ფულადი სახსრების ნაშთი, როგორც წესი, გადაიტანება მომდევნო წლისათვის.

4საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა

საზოგადოება საქმიანობას წყვეტს საზოგადოების ყრილობის დელეგატთა ორი მესამედის გადაწყვეტილებით ან კანონით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მის სახსრებსა და ქონებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაწილებს სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც ქმნის ყრილობა.

საქართველოს რესპუბლიკური სპორტსაზოგადოება „მართვე"

საქართველოს რესპუბლიკური სპორტსაზოგადოება „მართვე" არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი მასობრივი ფორმირება, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს პირებს, რომელთაც ამ საზოგადოების ფიზიკულტურულ, სპორტულ და ტურისტულ საქმიანობაში ჩაბმის სურვილი აქვთ.

საზოგადოების წარმომადგენელს, იურიდიულ პირს გააჩნია საანგარიშსწორებო ანგარიშები ბანკში, აქვს თავისი მრგვალი გერბიანი ბეჭედი, შტამპი, ბლანკი, ემბლემა, დროშა და სხვა ატრიბუტიკა. თავის მუშაობას სპორტსაზოგადოება განახორციელებს მის წევრთა შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითშემოქმედების პრინციპებზე. საზოგადოება მუშაობს ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და ეროვნული სპორტის განვითარების საქმით. საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

საზოგადოების ძირითად ამოცანას წარმოადგენს:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკურ კულტურასა, სპორტსა და ტურიზმში ჩაბმა, მათი აქტიური დასვენების ორგანიზაცია;
- საქართველოს სპორტული რეზერვების მომზადება და დამოუკიდებლად მონაწილეობა ყველა სახეობისა და რანგის სპორტულ ღონისძიებებში;

ამ ამოცანათა გადაწყვეტის მიზნით სპორტსაზოგადოება „მართვე" ქმნის ფიზიკური კულტურის პირველად (ძირეულ) ორგანიზაციებს, ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბებს;

- დამოუკიდებლად ქმნის საზოგადოების ნაკრებ გუნდებს, ნიშნავს მათ უფროს მწვრთნელებს;
- ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას შესაბამისად პროგრამისა და წინამდებარე დებულებისა;
- ხსნის დადგენილი წესის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზირებულ სკოლებს, ოლიმპიური მომზადების ცენტრებსა და სხვა სპორტულ ორგანიზაციებს. იბრძვის მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვებისათვის;
- სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებთან ერთად ორგანიზაციას უწევს სპორტსმენთა სამედიცინო კონტროლს;
- სწავლობს რესპუბლიკისა და საზღვარგარეთის მოწინავე გამოცდილებას;
- განაზოგადებს, ავრცელებს და ნერგავს მოწინავე მეთოდებს მოსწავლეთა შორის სასწავლო, ფიზკულტურულ-გამაჯანსარებელი და სპორტული მუშაობის ორგანიზაციის საქმეში;
- აწარმოებს კადრების შერჩევასა და განაწილებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;
- აჯილდოვებს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ნაყოფიერი შრომით, წარადგენს მათ სახელმწიფო ჯილდოებზე და საპატიო წოდებებზე;
- განახორციელებს საფინანსო და სამეურნეო ფუნქციებს, სპორტული ობიექტების მშენებლობას, კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს, კეთილმოწყობას, სპორტული და სხვა ინვენტარით აღჭურვას;
- შეიძენს: სპორტულ ინვენტარს, მოწყობილობებს, სავარჯიშო და სააღლუმო ფორმებს, ტექნიკურ და ინფორმატიკულ, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებებს, სამშენებლო მასალებს და ტექნიკას;

- ორგანიზაციას უწევს სასწავლო დანესებულებებში, კოოპერატივებში, სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციებში სპორტული და ტურისტული დანიშნულების ფორმებისა და ინვენტარის წარმოებას, განავითარებს მოსახლეობისათვის ფასიან ფიზკულტურულ-სპორტული მომსახურების ქსელს;
- განახორციელებს უშუალო კავშირს საზღვარგარეთის სპორტულ ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დამოუკიდებლად იცავს სპორტსაზოგადოების ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე;
- საზოგადოება აღიარებს ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს, მის მიზნებს და ამოცანებს, მჭიდრო კავშირს ამყარებს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან. იბრძვის ქართული სპორტის საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის.

საზოგადოების წევრები, მათი უფლებები და მოვალეობანი

საზოგადოების წევრებს უფლება აქვთ:

- ივარჯიშონ და აიმაღლონ სპორტული ოსტატობა
- მონაწილეობა მიიღონ ფიზკულტურულ-მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში;
- ისარგებლონ დადგენილი წესის მიხედვით, სპორტსაზოგადოება „მართვე"-ს სპორტული ინვენტაითა და ნაგებობებით.
- ატარონ სპორტსაზოგადოებისა და თავისი კლუბის ფორმა, ემბლემა, სამკერდე ნიშანი.
- მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების კრებებზე, პლენუმებზე, კონფერენციებზე, აქტივებზე, პრესის ფურცლებზე საკითხების გამნხილვაში, სპორტსაზოგადოებისა და

მისი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, გააკრიტიკონ საზოგადოების მუშაკები მათი თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად, მიიღონ ინფორმაციები მათ მიერ დასმულ საკითხებზე, წამოაყენონ კანდიდატები, აირჩიონ და არჩეულ იქნან ყველა რანგის ხელმძღვანელ ორგანოში.

- გააფორმოს კონტრაქტი საზოგადოებასთან თუ მას მოითხოვს უკანასკნელი;
- განუხრელად შეასრულოს წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისი მიზნებისა და ამოცანების განმტკიცებაში.
- ბოლომდე იყოს მისი აღმზრდელი, სპორტსაზოგადოება „მართვე"ს ერთგული წევრი, გამოირჩეოდეს სპორტული მოწინააღმდეგისადმი რაინდული დამოკიდებულებით;
- იყოს ოლიმპიური ქარტიით აღიარებულ დებულებათა ერთგული;
- ჩააბამდეს სპორტში თავის თანამემამულეებს. პატიოსნებით, თავდადებული შრომით, სპორტისადმი უანგარო დამოკიდებულებით, მაღალი სპორტული მიღწევებით სახელი გაუთქვას და ამრავლოს ქართული სპორტის შესანიშნავი ტარადიციები, პირადი მაგალითებით აღზარდოს თავისი თანატოლები, სამშობლოს მშობლიური ხალხის თავდაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით იყოს მარად მზად საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების საბრძოლველად.
- იყოს საქართველოს ბუნების, მისი კულტურის ძეგლების დამცველთა რიგებში.
- გავიდეს საზოგადოების რიგებიდან.

საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა

საზოგადოება მოქმედებს ტერიტორიულ საწარმოო პრინციპით. შეიქმნება პირველადი ორგანიზაციები, ფიზ-კულტურულ-სპორტული კლუბები, რომელშიც ერთიანდებიან სარაიონო, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური საბჭოები;

- საზოგადოების უმაღლესი ორგანოა საერთო კრება ან კონფერენცია, ძირეული საქალაქო, ავტონომიური და რესპუბლიკური ორგანიზაციებისათვის.
- კონფერენცია ან ყრილობა, (რაიონული საქალაქო, ავტონომიური და რესპუბლიკური ორგანიზაციებისათვის) დაქვემდებარებული ორგანიზაციის მიერ ზემდგომი ორგანიზაციის კონფერენციებზე წარმომადგენლობით რაოდენობას ამტკიცებს რესპუბლიკური საბჭოს კონფერენცია.
- კრება, კონფერენცია, ყრილობა, უფლებამოსილია იმუშაოს იმ შემთხვევაში თუ მას ესწრება და კენჭის ყრაში მონაწილეობს პირველადი ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტი, ხოლო რაიონული, საქალაქო, ავტონომიურ და რესპუბლიკურ კონფერენციებზე და ყრილობებზა, არჩეულ დელეგატთა არა უმცირეს ორი მესამედისა.
- კენჭის ყრის ფორმას განსაზღვრავს კენჭის ყრაში მონაწილეთა უმრავლესობა.
- საერთო კრება, კონფერენცია, ყრილობა განსაზღვრავს რაოდენობას და ირჩევს საბჭოს, რომელიც წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს და ხელმძღვანელობს საზოგადოიების ორგანიზაციის მთელ მიმდინარე მუშაობას.
- კონფერენცია, ყრილობა, ძირეული ორგანიზაციის კრება განსაზღვრავს სარევიზიო კომისიის რაოდენობას და ირჩევს მას. სარევიზიო კომისია განახორციელებს თავის მუშაობის შესაბამისად წინამდებარე დებულებისა და ან-

გარიშვალდებულია კრების, პლენუმის, კონფერენციის, ყრილობის წინაშე.

- რესპუბლიკური, ავტონომიური, საქალაქო, რაიონული და პირველადი საბჭოების წინადადებით შესაბამის არჩევით ორგანოში შეიძლება კოპტირებულ იქნას საბჭოს ახალი წევრი.
- საბჭოს წევრის ან კანდიდატის გამოყვანა საბჭოდან, რომელმაც დაკარგა კავშირი, საბჭოსთან ხდება მოცემული საბჭოს კრებაზე, პლენუმზე, კონფერენციაზე.
- რესპუბლიკური, ავტონომიური, საქალაქო, რაიონული საბჭოების პლენარული სხდომა ტარდება არა უმცირეს ერთ წელიწადში.
- რესპუბლიკური, ავტონომიური, საქალაქო, რაიონული საბჭოები ირჩევენ პლენუმზე (კონფერენციაზე) თავის თავმჯდომარეს. პრეზიდიუმის რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს ის პლენუმი (კონფერენცია), რომელზედაც ხდება მოცემული არჩევნები. პრეზიდიუმი ატარებს თავის სხდომებს არა უმცირეს ერთისა კვარტალში. პრეზიდიუმის სხდომა ითვლება უფლებამოსილად თუ მასში მონაწილეობს მის წევრთა ნახევარზე მეტი.
- დიდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციისათვის შეიძლება მოწვეულ იქნას საზოგადოების საბჭოების აქტივის კრება.
- მიმდინარე საქმიანობის ორგანიზაციის, დაქვემდებარებული ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევის მიზნით იქმნება აპარატი. რესპუბლიკური საბჭოებისა და მისდამი დაქვემდებარებული საბჭოების აპარატს რაოდენობრივად განსაზღვრავს და ამტკიცებს სპორტსაზოგადოება „მართვეს“ რესპუბლიკური საბჭო გამომდინარე არსებული ხელფასის ფონდიდან.

- საზოგადოების საბჭოები თავის საქმიანობას წარმართავენ საჯაროობის პირობებში. ყრილობებსა და კონფერენციებს შორის სისტემატურად აწვდიან დაწვრილებით ცნობებს დაქვემდებარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

საზოგადოების უმაღლესი ორგანოები

- საქართველოს რესპუბლიკური სპორტული საზოგადოება „მართვეს" უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ყრილობა (კონფერენცია), რომელიც ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ.
- მოწვევის თარიღი, დღის წესრიგი და წარმომადგენლობითი ნორმატივები (დელეგატების რაოდენობა) დადგინდება რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ და გამოქვეყნდება არა უგვიანეს ორი თვისა ყრილობის (კონფერენციის) მოწვევამდე.
- რიგგარეშე ყრილობა (კონფერენცია) შეიძლება მოწვეულ იქნეს ნებისმიერ პერიოდში, თუ მას მოითხოვს რესპუბლიკური საბჭოს წევრთა ნახევარი, ხოლო საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების არანაკლებ მეხუთედისა.

საზოგადოების ყრილობა (კონფერენცია):

- მოისმენს განიხილავს და ამტკიცებს რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიების აგარიშებს.
- ამტკიცებს საზოგადოების დებულებას და შეაქვს მასში დამატებები და ცვლილებები, რის შესახებაც აცნობებს მარეგულირებელ ორგანოს.
- განსაზღვრავს საზოგადოების საქმიანობის პერსპექტიულ მიმართულებებს, განიხილავს და ამტკიცებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებებს.

- ირჩევს საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიას ხუთი წლის ვადით. განიხილავს სხვა საკითხებს , რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების საქმიანობასთან.
- საზოგადოების საბჭოს აღმასრულებელ ორგანოებში შეიძლება არჩეულ იქნან პროფესიული კავშირების , სახალხო განათლებისა და სხვათა წარმომადგენლები.
- ყრილობათა შორის პერიოდში საზოგადოების საბჭო და მისი პრეზიდიუმი განახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

საბჭოს კომპეტენციაში შედის:

- ავტონომიური, საქალაქო, რაიონული და მათთან გათანაბრებული ორგანიზაციების კოორდინაცია და კონტროლი;
- საზოგადოების მუშაობის ანალიზი და სტრატეგიული მიმართულების დამუშავება;
- დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და ორგანოების ინტერესების დაცვა ;
- ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში საერთაშორისო კონტაქტების განხორციელება, სასკოლო სპორტის საერთაშორისო ფდერაციაში საზოგადოების წარმომადგენლობა;
- უშუალოდ ხელშეკრულებების დადება-გაფორმება საკავშირო და საზღვარგარეთის ნებისმიერ ქვეყანასთან ყველა საკითხზე, რომელიც ეხება საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, უცხოელი სპეციალისტების და სპორტსმენების მოწვევას.
- საზოგადოება „მართვეს" სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საკუთარი სახსრების გამოყენების უფლების განხორციელება.

ყრილობებს (კონფერენციებს) შორის პერიოდში საზოგადოების საქმიანობის ხელმძღვანელობისა და მიმდინარე სამუშაოთა ჩატარებისათვის საბჭო ირჩევს თავის პრეზიდიუმს.

სპორტსაზოგადოების საბჭოები ავტონომიურ ოლქებში, ქალაქებში და რაიონებში განახორციელებენ თავიანთ ტერიტორიაზე საზოგადოების ყველა ფუნქციას გამომდინარე თავისი კომპეტენციიდან და წინამდებარე დებულებიდან.

საზოგადოების სახსრები და ქონება

საზოგადოების სახსრები წარმოიქმნება:

საზოგადოებაში შესასვლელი შესატანისა და საზოგადოების წევრთა საწევრო ანარიცხებიდან.

მოსახლეობის ფასიანი მომსახურებიდან შემოსული თანხებისაგან.

ცალკეული მოქალაქის, წარმოების, ორგანიზაციის, უცხოეთის ქვეყნების, საზოგაქდოების სხვა სახის შემოწირულობებისაგან.

სპორტსაზოგადოების მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩატარებული სარეკლამო-საჩვენებელი გამოსვლების ორგანიზაციისათვის, საწავლო-მეთოდური დახმარების გაწევისა და სხვა შემოსული უცხოური ვალუტისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მისდამო დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხებისაგან.

სპორტსაზოგადოებში შემსვლელის ერთიან შემოსატან თანხას და წევრთა ყოველდღიურ გადასახადს გან-

საზღვრავს რესპუბლიკური ორგანიზაციის პლენუმი (ყრილობა, კონფერენცია).

- პირველადი ორგანიზაციის საწევრო ანარიცხები მთლიანად რჩება იმავე ორგანიზაციის განკარგულებაში და შეუძლია გამოიყენოს სპორტ. ინვენტარისა და ფორმის შესაძენად, სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად.
- საწევრო გადასახადი შეიტანება წელიწადში ერთხელ, წლის დასაწყისში.
- ბავშვთა სახლების სკოლა-ინტერნატების მოსწავლეები აგრეთვე რომლებიც ბავშვთა სახლებიდან არიან მიღებული საწევრო გადასახადს არ იხდიან.
- ორგანიზაციის (ყველა სახის) სახსრები ინახება შესაბამის შემნახველ ბანკებში და მათი დახარჯვა ხდება დადგენილი წესის მიხედვით.
- სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და მისი ყველა ორგანო, ორგანიზაციები განთავისუფლებულია სახელმწიფო და ადგილობრივი ყველა ხასიათის გადასახადისაგან და შესატანებისაგან.
- საზოგადოების საკუთრებაშია შენობები, ნაგებობები, საწარმოები, სპორტული ბაზები, ინვენტარი, მოწყობილობანი, სატრანსპორტო საშუალებანი, სამშენებლო ტრანსპორტი, მექანიზმები, მანქანები, ტექნიკა და სხვა ხასიათის ფასეულობანი, რომლებიც აუცილებელია მის მიერ სადებულებო ამოცანების განსახორციელებლად.
- საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას კონტროლს უწევს შესაბამისი რესპუბლიკური, ავტონომიური, რაიონული, საქალაქო და პირველადი ორგანიზაციების სარევიზიო კომისიები, საზოგადოების ზემდგომი საბჭო.

- საზოგადოების, ორგანიზაციების საბუჰღალტრო და სტატისტიკური ანგარიში, ანგარიშგება წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისა

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ოლიმპიური სპორტული კლუბის მუშაობის შინაარსი და სტრუქტურა

საერთო დებულება

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ოლიმპიური სოპორტული კლუბი არის უმაღლეს სასწავლებელში ოლიმპიზმის, ოლიმპიური მოძრაობის, სპორტისა და „სპორტი ყველასათვის" დანერგვის ხელმძღვანელობის და პრაქტიკულად წარმართვის ორგანო.

კლუბი დემოკრატიის, ფართო საჯარისობის თვითშემოქმედებითი ინიციატივის და ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება არჩევნების საფუძველზე წარმართავს სტუდენტთა, ასპირანტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრებთან წესდებით გათვალისწინებული საკითხების შესრულებას.

კლუბი აქტიურად მონაწილეობს სასწავლებლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხელს უწყობს კლუბის წევრთა შორის სპორტული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი სამეცნიერო-შემოქმედებითი, აქტიურად დასვენების დანერგვას და წარმართვას.

კლუბი მჭიდროდ თანამშრომლობს რექტორატთან, ფიზიკური აღზრდის კათედრასთან, პროფკავშირულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, სასწავლებლის სტრუქტურულ დანაყოფებთან, საქართველოს ოლიმპიურ და

სპორტულ ორგანიზაციებთან, ქვეყნის სტუდენტური სპორტის ფედერაციასთან.

მიზნები და ამოცანები

კლუბის მიზნებსა და ამოცანებს შეადგენს ოლიმპიზმის, ოლიმპიური მოძრაობის სპორტისა და „სპორტი ყველასათვის" მასობრივი ტურიზმის სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა და განვითარება სტუდენტთა, ასპირანტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა, მათი ოჯახების წევრთა შორის.

ჯანმრთელობის გამაგრებითა და ავადმყოფობის შემცირებით პროფესიონალური მომზადების ხარისხის ამაღლება, ფიზიკური, მორალური და ნებელობითი მაჩვენებლებისა და სოციალური აქტივობის გაზრდა, ჯანმრთელი ცხოვრების პროპაგანდა და დანერგვა.

სპორტული სექციების, ჯგუფების, გუნდების შექმნა და მათი საქმიანობის წარმართვა, სპორტულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარება, ოლიმპიური მოძრაობის პროპაგანდის მიზნით ოლიმპიური კვირეულების და დღეების ორგანიზაცია, სპორტული და გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა, აქტიური მონაწილეობა უმაღლესი კლასის – საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრთა მომზადებაში.

ორგანიზაცია გაუკეთოს კლუბის წევრთა მონაწილეობას საქალაქო, რესპუბლიკურ, რეგიონალურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში და მასთან დაკავშირებულ სასწავლო-საწვრთნელ ღონისძიებებში, უხელმძღვანელოს პროგრამას „სპორტი ყველასათვის", შექმნას გამაჯანსაღებელი ჯგუფები, ჩაატაროს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

კლუბის წევრებისადმი დახმარება სოციალური საკითხების გადაჭრაში.

კლუბის მუშაობის შინაარსი

კლუბი თავის მუშაობას წარმართავს რექტორატთან, ფიზიკური აღზრდის კათედრასთან, პროფკავშირულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, სტრუქტურულ დანაყოფებთან მჭიდრო ურთიერთობითა და თანამშრომლობით.

ეწევა და ახორციელებს ოლიმპიზმისა და ოლიმპიური მოძრაობის, სპორტისა და მასობრივი სპორტის „სპორტი ყველასათვის“ პროპაგანდასა და წარმართავს ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვას.

თანამშრომლობს ქვეყნისა და საზღვარგარეთის სპორტულ ორგანიზაციებთან, კლუბებთან, სპორტსმენებთან, ატარებს ღონისძიებებს სპორტულ და ოლიმპიურ მოძრაობაში ნებისმიერი დისკრიმინაციის და ძალადობის დოპინგისა და აკრძალული საშუალებების წინააღმდეგ.

იცავს კლუბის წევრების ინტერესებს, ზრუნავს ქალთა ფართო ჩაბმისათვის ოლიმპიურ და სპორტულ მოძრაობაში.

აქტიურად მონაწილეობს მოძრაობაში „სამართლიანი თამაშები“ და ფართო პროპაგანდას უწევს სპორტული ეთიკის დაცვას.

სამედიცინო სამსახურთან ერთად ახორციელებს საქმიანობას კლუბის იმ წევრთა მიმართ, რომელთაც აქვთ გადახრები ჯანმრთელობის სფეროში, მათი აქტიური რეაბილიტაციისთვის ფიზიკური არზრდის საშუალებით.

ზრუნავს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის მოსამზადებლად სამსახურისათვის.

ზრუნავს სპორტული ბაზებისა და ნაგებობების, ინვენტარისა და მოწყობილობების სწორად გამოყენებისთვის, სასნავლებლის სპორტული ცხოვრების ფართო პროპაგანდაზე.

ადგენს და ასრულებს მიმდინარე და პერსპექტიულ სამუშაო გეგმას.

შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობს გარემოს დაცვის ღონისძიებებში.

კლუბისა და კლუბის წევრთა უფლებები და მოვალეობები

კლუბი არის იურიდიული პირი რომელსაც აქვს საკუთარი ემბლემა ბეჭედი, შტამპი, ატრიბუტიკა, ანგარიში ბანკში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

კლუბი უფლებამოსილია:

- უზრუნველყოს სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კალენდრით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მომზადება და ჩატარება;
- უზრუნველყოს კლუბის წევრთა მონაწილეობა საქალაქო, რესპუბლიკურ, რეგიონალურ და საერთაშორისო ღონისძიებებში.
- დაგენილი წესით შეიძინოს და გასცეს სპორტული ფორმა, ფეხსაცმელი, ინვენტარი კლუბის წევრებზე. იჯარით აიღოს სპორტული ნაგებობები, ბაზები;
- უზრუნველყოს დამტკიცებული ხარჯთღრიცხვის შესრულება;
- იზრუნოს კლუბის წევრთა წახალისებაზე, განიხილოს კლუბის წესდების დამრღვევთა საკითხი;
- თავისი საქმიანობის კომპეტენციიდან გამომდინარე საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს ქვეყნისა და უცხოეთის სპორტულ და სხვა ორგანიზაციებთან;

- მოაწყოს ლატარიები, აუქციონები, კარნავალები, სპორტულ-მხატვრული ღონისძიებები, იუბილეები, შეხვედრები და ა. შ.
- რექტორატისა და სხვა ორგანიზაციების წინაშე დასვას საკითხები კლუბის წევრთა შორის ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის გაუმჯობესების საკითხებზე;
- პერიოდულად ანგარიშით წარსდგეს საზოგადოებრიობის, რექტორატის, საქართველოს სტუდენტური სპორტის ფედერაციისა და სხვა დაინტერესებულ ორგანოთა წინაშე;
- შექმნას საჭირო პირობა ჩატარებული საქმიანობის აღრიცხვაში;
- დაიცვას თავისი წევრების ინტერესები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;
- ხელი შეუწყოს ოლიმპიური თამაშებისა და საქართველოს სპორტული თამაშებისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ორგანიზაციასა და ჩატარებას;
- თავისი საქმიანობის შესახებ საზოგადოებრიობას აცნობოს ტელევიზიის, რადიოს, მასმედიის საშუალებით;
- გააკეთოს განაცხადი სრულიად საქართველოს სტუდენტურ თამაშებში (უნივერსიადა), ასევე სხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის;
- განახორციელოს სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მოცემული წესებით.

კლუბის წევრთა უფლებები და მოვალეობანი:

- კლუბის წევრი შეიძლება გახდეს სასწავლებლის სტუდენტი, ასპირანტი, პროფესორ-მასწავლებელი, თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები, ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების სახით (სტრუქტურული დანაყოფების მეშვეობით);

- კლუბის წევრის მიღებას აწარმოებს კლუბის გამგეობა ანდა სასწავლებლის სტრუქტურულ დანაყოფებში არსებული კლუბის დანაყოფები ინსტრუქტორის (მეთოდისტის) მეშვეობით.
- კლუბის წევრზე გაიცემა საწევრო ბილეთი;
- აქტიურ მონაწილეობას იღებს კლუბის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, კლუბის სახელით გამოდის სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში, უფასოდ გამოეყოფა საშეჯიბრო სპორტული აღჭურვილობა;
- აირჩიოს და არჩეულ იქნას კლუბის ხელმძღვანელ ორგანოებში;
- უსასყიდლოდ გამოეყოს სასწავლო-საწვრთნელი პროცესისთვის სპორტული ნაგებობა და ბაზა, ინვენტარი და მოწყობილობა. იქონიოს სასწავლო პროცესისთვის საკუთარი სპორტული ფორმა;
- წინადადებით შევიდეს გამგეობაში კლუბის საქმიანობის საკითხებზე.

კლუბის წევრი ვალდებულია:

- მონაწილეობა მიიღოს კლუბის საქმიანობაში, შეასრულოს სესიისა და გამგეობის გადაწყვეტილებანი, დროულად შეიტანოს საწევრო გადასახადი;
- სრულყოს თავისი ფიზიკური მომზადება და სპორტული ოსტატობა, მიაღწიოს მაღალ პროფესიონალურ შედეგს;
- გაუფრთხილდეს კლუბის ქონებას;
- მისდიოს ჯანმრთელი ცხოვრების წესს;
- რეგულარულად გაიაროს სამედიცინო შემოწმება, გააძლიეროს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კონტროლი და თვითკონტროლი, ყურადღება მიაქციოს პირად

და საზოგადოებრივ ჰიგიენას, ბრძოლა გამოუცხადის სპორტში ნარკოტიკებისა და დოპინგის გამოყენებას;
- სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობებზე ქონდეს საკუთარი სპორტული ფორმა;
- ნებაყოფლობით გავიდეს კლუბის წევრობიდან;

კლუბის სტრუქტურა, მმართველობითი ორგანოები

კლუბის უმაღლესი ორგანოა სესია, რომელიც წარმოდგენილი იქნება სასწავლებლის სტრუქტურულ დანაყოფებში არჩეული დელეგატებიდან. სესიის არჩევა ხდება ოთხ წელიწადში ერთხელ საანგარიში-საარჩევნო სესიაზე ოლიმპიური ციკლის დამთვრების შემდეგ. სესია უფლებამოსილია თუ მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე დელეგატთა უბრალო უმრავლესობის ხმის მიცემით.

კლუბის საანგარიშო-საარჩევნო სესია ირჩევს:
- კლუბის პრეზიდენტს (გამგეობის თავმჯდომარეს)
- კლუბის გამგეობას

სესია:
- არჩევის შემდგომ თავის უფლებამოსილებას აგრძელებს ოთხი წლის განმავლობაში;
- მოისმენს კლუბის პრეზიდენტისა და გამგეობის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;
- საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე არჩეული სესიის წევრები მიმდინარე საკითხების განსახილველად იკრიბებიან წელიწადში არანაკლებ ერთხელ და იხილავენ შემდეგ ძირითად საკითხებს:
- კლუბის პრეზიდენტის და გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშს მიმდინარე პერიოდისთვის;

- კლუბის წევრთა შორის ოლიმპიზმის, ოლიმპიური მოძრაობის, სპორტული და სპორტულ მასობრივი მოძრაობის განვითარების მიმდინარეობას;
- საჭიროების შემთხვევაში შეიტანს ცვლილებებს კლუბის წესდებაში;
- დააწესებს კლუბის ჯილდოებს და განსაზღვრავს მათი მინიჭების წესს;
- მოისმენს და შეაფასებს კლუბის საფინანსო ანგარიშს (აუდიტის ინფორმაცია ან სარევიზიო კომისიის ანგარიში);
- განსაზღვრავს საწევრო ანარიცხის სიდიდეს და გადახდის წესს;
- ანიჭებს კლუბის გამგეობას ცალკეული საკითხების გადაწყვეტას, რომელიც შედის სესიის კომპეტენციაში;
- საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები გამგეობის შემადგენლობაში;
- იხილავს სხვა საკითხებს, რომლებიც განსაზღვრულია კლუბის წესდებით;

კლუბის გამგეობის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს საანგარიშო-საარჩევნო სესია.

კლუბის პრეზიდენტის (თავმჯდომარის) კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს რექტორატს, სტრუქტურულ დანაყოფებს პროფკავშირულ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ცალკეულ პირებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქვეყანაში ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის დამკვიდრებაში.

პრეზიდენტი სესიას წარუდგენს დასამტკიცებლად ვიცე პრეზიდენტის, პასუხისმგებელი მდივნისა და გამგეობის წევრების კანდიდატურას, კლუბიდან პრეზიდენტის საანგარიშო სესიებს შორის პერიოდში წასვლის შემთხვევაში მოიწვევა კლუბის საგანგებო სესია.

კლუბის გამგეობა იკრიბება თავის სხდომებზე საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ. გამგეობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი და საკითხი გადაწყვეტილად ითვლება ხმის უბრალო უმრავლესობით.

კლუბის გამგეობა:

- უზრუნველყოფს კლუბის წესდების დაცვას და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას;
- ამტკიცებს წლიურ და პერსპექტიულ სამუშაო გეგმებს, ხარჯთაღრიცხვას და უზრუნველყოფს მათ შესრულებას;
- ადგენს, ამტკიცებს და ასრულებს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარს;
- სესიას წარუდგენს განსახილველად ცვლილებებს გამგეობის შემადგენლობაში;
- ამტკიცებს საქმიანობის შინაგანანესს, ფინანსური და ადმინისტრაციული საქმიანობის ჩამონათვალს და კონტროლს აწესებს მათ შესრულებაზე;
- აფორმებს შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს;
- უზრუნველყოფს სპორტული სექციების, გუნდების, ჯგუფების სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობათა მაღალ დონეზე წარმართვას, ღონისძიებებში მონაწილეობას;
- ამტკიცებს სასწავლებლის სტრუქტურულ დანაყოფებში კლუბის წარმომადგენლებს;
- ამტკიცებს საშტატო ერთეულებს და თანამდებობრივ განაკვეთებს;
- ქმნის კლუბის მუდმივ და დროებით კომისიებს;

- იღებს გადაწყვეტილებას კლუბის დაქვემდებარებაში სხვადასხვა ორგანიზაციების დაფუძნებაზე და კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;
- იღებს გადაწყვეტილებებს ყველა სხვა მიმდინარე საკითხებზე, რომლებიც წარმოიშვება სესიებს შორის პერიოდში და რომლებიც ოპერატიულად გადაწყვეტას ითხოვენ;
- გამგეობას შეუძლია განსაზღვრულ ჩარჩოებში თავისი უფლებები განუსაზღვრელი ვადით გადასცეს კლუბის პრეზიდენტს.

კლუბის პრეზიდენტი (თავმჯდომარე)

- უზრუნველყოფს კლუბის წესდების შესრულებას, მოქმედებს კლუბის წესდების შესაბამისად და კანონის ფარგლებში;
- კლუბის სახელით აწარმოებს სამეურნეო და საფინანსო ოპერაციებს, დებს ხელშეკრულებებს, აწარმოებს მოლაპარაკებებს, გასცემს მინდობილობებს, აწერს ხელს კლუბისათვის საჭირო აუცილებელ დოკუმენტებზე;
- წარმოადგენს კლუბს სხვადსხვა ორგანიზაციაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში;
- ხსნის და ხურავს ბანკში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაში მიმდინარე სავალუტო ანგარიშებს;
- გამგეობასთან შეთანხმებით განკარგავს კლუბის სახსრებსა და ქონებას;
- უზრუნველყოფს აპარატისა და სტრუქტურული დანაყოფების საქმიანობის წარმართვას;
- განსაზღვრავს და ამტკიცებს ვიცე-პრეზიდენტებისა და პასუხისმგებელი მდივნის, სხვა მუშაკთა საქმიანობის მიმართულებებს;

- კლუბის პრეზიდენტის გადადგომის ან ავადმყოფობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ერთერთი ვიცე პრეზიდენტი, გამგეობის გადაწყვეტილებით.

კლუბის ფინანსური წყაროები

- სახელმწიფო სუბსიდია (რექტორატის მეშვეობით);
- პროფკავშირული და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი სახსრები;
- საწევრო ანარიცხებიდან შემოსული სახსრები;
- საქართველოს თუ უცხოეთის იურიდიულ ან ფიზიკურ პირთაგან ნებაყოფლობითი შემოწირულობანი როგორც ეროვნულ, ასევე უცხოურ ვალუტაში;
- საკუთარი ინიციატივით მოწყობილი სპორტულ-კულტურული და სანახაობრივი ღონისძიებებიდან, ლატარიებიდან, ვიქტორინებიდან, სპონსორული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;
- ჩუქებით ან ანდერძით მიღებული ქონება;
- სპონსორებისა და შეფების მიერ ცალკეული პროგრამების დაფინანსებიდან მიღებული შემოსავალი;
- ფასიანი სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;
- გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი;
- ისეთი კომერციული და საწარმო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
- სხვა კანონიერი შემოსავალი.

კლუბის ფინანსური სახსრების განმკარგველად ითვლება პრეზიდენტი ან მის მიერ გამგეობასთან შეთანხმებული-გამოყოფილი პირი.

კლუბი თავის საქმიანობას წყვეტს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში გამგეობის ან სესიის წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილებით. ასეთი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინიშნება საკიკვიდაციო კომიტეტი და მტკიცდება მისი მუშაობის რეგლამენტი, გამომდინარე ქვეყნის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კანონში სპორტის შესახებ (მუხლი 8) განსაზღვრულია საზოგადოებრივი და სხვა არასახელმწიფო სპორტული ორგანიზაციის ცნება. საზოგადოებრივი და სხვა არასახელმწიფო სპორტული ორგანიზაცია არის სპორტის ეროვნული ფედერაცია, ასოციაცია კლუბი და სხვა გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს სპორტის განვითარებას.

საქართველოს კანონში ნათქვამია: „საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია არის მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც ხელმძღვანელობს ქვეყანაში სპორტის შესაბამისი სახეობის განვითარებას. იგი თავის საქმიანობას წარმართავს სპორტის შესახებ კანონის, საქართველოს კანონების, საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია არის ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანო სპორტის შესაბამის სახეობაში და პასუხს აგებს მის განვითარებაზე.

ფედერაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელსაც შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში. ფედერაციის ემბლემა, სატი-

ტულო ბლანკი, მრგვალი ბეჭედი და კანონიდ გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტები.

ფედერაცია დამოკიდებულად განაგებს თავის ქონებას.

ფედერაცია დამოკიდებულად განაგებს თავის ქონებას კუთვნილების, სარგებლობის და განკარგვის უფლებით. საკუთარი სახელით იძენს სპორტულ და აუცილებელი საჭიროების სხვა ინვენტარს, დებს ხელშეკრულებებს და გარიგებებს, იღებს საქველმოქმედო და სხვა სახის შემოწირულობებს, საკუთარი სახელით გამოდის მოსარჩლედ და მოპასუხედ სასამართლოში ან არბიტრაჟში.

ფედერაციის მიზნები და ამოცანებია:

მოცემული სპორტის სახის განვითარება — პროპაგანდა, პოპულიზაცია და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი ცესის დამკვიდრება.

მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და სრულყოფა. ცალკეული სპორტსმენებისა და საქართველოს ნაკრები გუნდების (ქალთა, ვაჟთა) ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობა და საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლის უზრუნველყოფა.

- მატეროიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.
- სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა სპეციალისტთა მომზადება და გადამზადება, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვა ყველა ინსტანციაში.
- ვეტერან სპორტსმენთა და მნვრთნელთა დასაქმებაზე და სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.
- სამეურნეო-კომერციული საქმიანობის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მიღებული შემოსავლების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე მკაცრი მონიტორინგის განხორციელება.

- აწარმოოს საწვრთნო საქმიანობა საქართველოში მოცემული სპორტის სახის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის.
- შეიმუშაოს და გამგეობის სხდომაზე დაამტკიცოს თავისი საქმიანობის გეგმები. სპორტის სახეობის გეგმები და პროგრამები, განსაზღვროს ეროვნული ნაკრები გუნდები და უზრუნველყოს მათი მომზადება და მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში.
- შეიმუშაოს შეჯიბრებების დებულებები დაკონტროლი გაუწიოს მათი შესრულების ორგანიზაციას.
- ჩაატაროს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო შეჯიბრებები.
- უზრუნველყოს სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა მოწყობა, მიანიჭოს მსაჯებს ეროვნული კატეგორია და არსებული წესის მიხედვით წარადგინოს ღირსეული კანდიდატები საერთაშორისო მსაჯის წოდების მისანიჭებლად.
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან და საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვროს მათ მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯვის გეგმა.
- განახორციელოს საინფორმაციო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეკონომიკური, საგამომცემლო და სხვა სახის საქმიანობა, რაც არ ეწინააღმდეგება ფედერაციის წესდებას და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- ქონდეს საკუთრებაში, ან სხვა სახით, შენობები, ტრანსპორტი, ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია ფედერაციის საქმიანობისათვის, მატერიალური უზრუნველყოფი-

სათვის და მისი სანესდებო ამოცანების განსახორციელებლად.

- დაამტკიცოს ფედერაციის ხელმძღვანელ პირთა და თანამშრომელთა სამტატო განრიგი, დაადგინოს აგრეთვე შრომითი ანაზრაურების, მატერიალური წახალისების ან სხვა შემოსავლების ფორმირებისა და მოცულობის განსაზღვრის საკითხები.
- აირჩიოს რესპუბლიკის მთავარი მსაჯი, დაამტკიცოს მისი ფუნქცია შესაბამისი დებულებით.
- განსაზღვროს ფედერაციის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ნებისმიერი სამეურნეო და კომერციული საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ფედერაციის წევრთა უფლება-მოვალეობანი

ფედერაციის წევრებად მიიღებიან მოქალაქენი წერილობითი განცხადებების საფუძველზე.

ფედერაციის წევრობის მსურველი უნდა იცნობდეს ფედერაციის წესდებას აღიარებდეს მას და უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდეს ფედერაციის საქმეში.

ფედერაციის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს, ან ორმხრივი მოქალაქეობის მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს ფედერაციის წესდების მოღხოვნებს.

- ფედერაციის ნევრი, რომელიც თავისი საქმიანობით ეწინააღმდეგება ფედერაციის მიზნებს, ლახავს მის პატივსა და ღირსებას გამგეობის მიერ დადგენილი საწევრო შენატანის ექვსი თვის გადაუხდელობის შემთხვევაში კანონმდებლობით და წესდებით გათვალისწინებული, ან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემ-

თხვევაში გამგეობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით გაირიცხება ფედერაციის წევრობიდან.

- გარიცხულ წევრს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ფედერაციის წევრს უფლება აქვს:

- მიიღოს მონაწილეიობა ფედერაციის წევრთა ყრილობის მუშაობაში. შეუძლია აირჩიოს და არჩეულ იქნას ფედერაციის წარმომადგენლობით ორგანოებში და ხელმძღვანელ პოსტებზე. მონაწილეობდეს ფედერაციის პროგრამების სხვადასხვა პროექტების, სამუშაო გეგმების შედგენასა და მათ შესრულებაში, კვალიფიკაციისა და შესაძლებლობის შესაბამისად.
- ისარგებლოს ფედერაციის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებით და ყველაფრით რაც ფიზიკურ, მორალურ და მატერიალურ ზიანს არ მიაყენებს ფედერაციას.
- გავიდეს ფედერაციიდან, რაზეც წერილობით უნდა აცნობოს გამგეობას ერთი თვით ადრე. თუ წევრი საპატიო მიზეზით გადის ფედერაციიდან, მაშინ მასზე არ ვრცელდება დაწესებული ვადა.

ფედერაციის წევრი მოვალეა:

- გადაიხადოს საწევრო შესატანი გამგეობის მიერ დადგენილი ოდენობისა და წესის შესაბამისად.
- შესაძლებლობისა და ინტერესის შესაბამისად მონაწილეობდეს ფედერაციის საქმიანობაში. აქტიურად შეუწყოს ხელი ფედერაციის ამოცანების გადაწყვეტას. შეასრულოს მასზე დაკისრებული, გამგეობის გადაწყვეტილებით განკუთვნილი, ფუნქციონალური მოვალეობა.
- გაუფრთხილდეს ფედერაციის ღირსებას, ავტორიტეტს, ღირსებას, დაიცვას ფედერაციის ინტერესები.

საწევრო შესატანი:

- გამოიყენება ფედერაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.
- საწევრო შესატანის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ფედერაციის გამგეობის მიერ.

ფედერაციის სტრუქტურა

- ფედერაციის უმაღლესი ორგანოა ფედერაციის წევრთა ყრილობა, რომელსაც იწვევს გამგეობა არანაკლებ წელიწადში ერთხელ.
- ყრილობა, გასული წლის ანგარიშისა და ბალანსის, მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის და მოქმედების გეგმის დასამტკიცებლად მოინვევა არაუგვიანეს ერთი თვისა საფინანსო წლის დასრულების შემდეგ.
- ყრილობის მონვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობის წერილობით ან ფედერაციის ბეჭდვით ორგანოში (ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – პრესაში) ინფორმაციის გამოქვეყნებით, ყრილობამდე ორი კვირით ადრე მაინც.
- ყრილობის გეგმიური სხდომების დღის წესრიგი ეგზავნებათ ყრილობის მონაწილეებს სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს თოთხმეტი დღისა.
- შეტყობინებაში მითითებული უნდა იქნეს ფედერაციის წევრთა ყრილობის გახსნის ზუსტი თარიღი და დღის წესრიგი. ყრილობის ყველა მონაწილეს უფლება აქვს სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს შვიდი დღისა მიმართოს ფედერაციის პრეზიდენტს დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- პროცედურული საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელია დამსწრე წევრთა ხმების ნახევარზე მეტი.
- იმ წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან ყრილობას, უფლება აქვთ წერილობით მიიღონ მონაწილეობა კენჭისყ-

რაში, ასეთ შემთხვევაში ისინი უთანაბრდებიან სხდომაში დამსწრე წევრებს.

- ყრილობის კომპეტენციაა: განკუთვნილი გადაწყვეტილებების მიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის ან ცვლილება დამატების თაობაზე - დამსწრე წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით.
- ფედერაციის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა ოთხ მეხუთედს, ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება – ყველა წევრის ორ მესამედზე მეტი ხმით.
- რიგგარეშე ყრილობა გამგეობის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნას წევრთა მეათედის წერილობითი მოთხოვნის, ყრილობის დღის წესრიგის მითითებით და იმ შემთხვევაში, როცა ამას კავშირის ინტერესები მოითხოვს.

ყრილობის კომპეტენციაში შედის:

- ფედერაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.
- ფედერაციის პრეზიდენტის, პირველი ვიცე პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტების არჩევა ოთხი წლის ვადით.
- ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით გენერალური მდივნის არჩევა, მისი გადარჩევა. გენერალური მდივანი მის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში იმავდროულად არის გამგეობის წევრიც.
- ფედერაციის გამგეობის არჩევა ოთხი წლის ვადით. ამასთან ოთხნლიანი ციკლის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, ყრილობაზე გამგეობის წევრთა შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა.
- ფედერაციის კომისიების შექმნა და მათი დებულებების დამტკიცება.

- ფედერაციის კომისიების შედეგების განხილვა და დამტკიცება
- ფილიალებისა და წარმომადგენლობების შექმნის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრის გარეთ.
- ფედერაციის სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებათა განხილვა და დამტკიცება.
- ფედერაციის წლიური ბიუჯეტისა და გასული წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
- გადაწყვეტილებების მიღება ფედერაციის რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე სალიკვიდაციო კომისიის დამტკიცება.

ფედერაციის გამგეობა

ფედერაციის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა. რომლის შემადგენლობაც აირჩევა ყრილობის მიერ ოთხი წლის ვადით. გამგეობის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს წევრთა ყრილობა.

ყოველდღიური საქმიანობისას გამგეობა ხელმძღვანელობს ფედერაციის წევრთა ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით.

ფედერაციის მიმდინარე საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ფედერაციის პრეზიდენტის მიერ.

გამგეობა გადამწყვეტუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

გამგეობის კომპეტენციაში შედის:

- ფედერაციის საერთო ადმინისტრაციულ-ტექნიკური და ოპერატიული ხელმძღვანელობა ფედერაციის წევრ-

თა ყრილობის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.

- ყრილობის გადაწყვეტილებების მომზადებისა და შესრულების უზრუნველყოფა.
- ფედერაციის მიმდინარე პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამების უზრუნველყოფა.
- ფედერაციის ქონების მართვა ფულადი და სალიკვიდაციო სახსრების ჩათვლით.
- გადაწყვეტილების მიღება გარიგების დადების შესახებ, რომელიც მიმართული იქნება ფედერაციის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ან ქონებრივ უფლებებზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- ფედერაციის შემოსავლებიდან სარეზერვო, საქველმოქმედო და სხვა ფონდების შექმნა.
- ფედერაციის მთავარი მწვრთნელის არჩევის წესის შემუშავება, მათი დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის წევრთა ხმების უბრიალო უმრავლესობით. მთავარი მწვრთნელი მისი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, არის გამგეობის წევრი.
- ფედერაციის წევრთა მორიგი და რიგგარეშე ყრილობის მოწვევა.
- საწევრო შესატანის ყოველწლიური ოდენობის განსაზღვრა
- შემოსავალ- გასავლის ყოველწლიური ანგარიშის, კვრტალური საფინანსო ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტაციის წარდგენა ფედერაციის წევრთა ყრილობის შეხედულებისამებრ.
- ყრილობის მიერ დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულება.

გამგეობა მოიწვევა არანაკლებ კვერტალში ერთხელ და ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე. პასუხს აგებს ფედერაციის საქმიანობის განხორციელებაზე და მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე.

ფედერაციის პრეზიდენტი

ფედერაციის პრეზიდენტი არის ფიზიკური პირი, რომელიც წარმოადგენს ფედერაციას, ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში. იგი ხელმძღვანელობს ფედერაციის მიმდინარე საქმიანობას ყრილობებს შორის, ყრილობის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

ფედერაციის პრეზიდენტს ირჩევს ფედერაციის წევრთა ყრილობა ოთხი წლის ვადით.

ფედერაციის პრეზიდენტი აკონტროლებს ფედერაციაში მიმდინარე საფინანსო საკითხებს. ბიუჯეტის შევსების მიზნით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტს და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს წარუდგენს წლიურ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას და მოითხოვს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებას. დებს საფინანსი და სხვა სახის ხელშეკრულებებს დონორ და სხვა ორგანიზაციებთან, ღებულობს გრანტებს, დახმარებებს და საქველმოქმედო შემოწირულობებს. პირადად და სარევიზიო კომისიის მეშვეობით აკონტროლებს ფინანსებს და მის კანონიერ და დანიშნულებისამებრ ხარჯვას.

ფედერაციის პრეზიდენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში პერსონალურად აგებს პასუხს ფედერაციის სახსრებისა და ქონების მიზნობრივ გამოყენებაზე.

ფედერაციის პრეზიდენტი თავისი ბრძანების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერაციის თანამშრომლებს. გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ცალკეული შეჯიბრებების მთავარი მსაჯების კანდიდატურებს.

ფედერაციის და მოცემული სპორტის სახის განვითარების შესახებ იღებს გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად, საჭიროების შემთხვევაში, გლობალურ საკითხებს განიხილავს გამგეობის სხდომებზე, ხოლო წლის სამუშაო გეგმას და სხვა აუცილებელ, ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს – ყრილობაზე. ამტკიცებს ეროვნული და საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარების გეგმებს, წყვეტს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების და მისი დაფინანსების საკითხებს. აუცილებლობის შემთხვევაში წინადადებით შედის გამგეობის წინაშე რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ. აყენებს წინადადებებს და ნიშნავს ფედერაციის მიმდინარე ან რიგგარეშე ყრილობის ჩატარების დროს. ადგენს და ამზადებს ყრილობაზე განსახილველ საკითხებს.

ფედერაციის და გამგეობის წევრებთან ერთად აანალიზებს სხვა ქვეყნების მიღწევებს, ამ მიღწევების მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს და ადგენს სპორტის მოცემული სახის გაუმჯობესების შესახებ გეგმებს.

მასმედიის საშუალებებით უზრუნველყოფს შესაბამის პროპაგანდასა და პოპულარიზაციას.

პრეზიდენტი თავისი ვადაზე ადრე გადადგომის შესახებ განცხადებას წარუდგენს გამგეობას. ვადაზე ადრე პრეზიდენტის გადადგომის შესახებ, ერთი თვის ვადაში ტარდება წევრთა რიგგარეშე ყრილობა.

პრეზიდენტის ინიციატივით გადადგომის შემთხვევაში ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ, გამგეობაც ჩაითვლება არაუფლებამოსილად.

პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს პირველი ვიცე პრეზიდენტი.

ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი

ფედერაციის პირველ ვიცე პრეზიდენტს და ვიცე პრეზიდენტებს ირჩევს წევრთა ყრილობა გამგეობის უფლება-მოსილების ვადით.

ფედერაციის ვიცე პრეზიდენტთა რაოდენობას და მათ უფლება-მოვალეობას განსაზღვრავს ყრილობა.

ფედერაციის ვიცე პრეზიდენტები ხელმძღვანელობენ კომისიების მუშაობას, მონაწილეობას ღებულობენ სამუშაო გეგმების შედგენასა და მათ შესრულებაში. ახორციელებენ კონტროლს და უწევენ პრაქტიკულ დახმარებას რეგიონალურ, საქალაქო და რაიონულ ფილიალებს.

ფედერაციის გენერალური მდივანი

ფედერაციის გენერალური მდივანი ირჩევა ფედერაციის წევრთა ყრილობაზე ოთხი წლის ვადით და ხელმძღვანელობს ოფისის მუშაობას.

ფედერაციის გენერალური მდივანი ჩასატარებლად ამზადებს წევრთა ყრილობას.

შეარჩევს კადრებს და წარუდგენს პრეზიდენტს დასამტკიცებლად. ასრულებს მასზე დაკისრებულ სხვა მოვალეობებს.

ფედერაციის გენერალური მდივანი თავისი ვადაზე ადრე გადადგომის შესახებ განცხადებას წარუდგენს გამგეობას. მისი გადარჩევა ხდება წევრთა ყრილობაზე.

ფედერაციის კომისიები

ფედერაციის წევრთა ყრილობის გადაწყვეტილებით ფედერაციაში შეიძლება შეიქმნას შემდეგი კომისიები:

- საშეჯიბრო-ტექნიკური;
- მეთოდური;
- სარევიზიო;
- ვეტერან სპორტსმენთა;

- მწვრთნელთა საბჭო;
- მსაჯთა კოლეგია;
- ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა;

კომისიების რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს წევრთა ყრილობა.

კომისიების საქმიანობის წესი და მათი ამოცანები განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს წევრთა ყრილობა.

კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფედერაციის წევრები.

მწვრთნელთა საბჭო

მწვრთნელთა საბჭოს ირჩევს ფედერაციის წევრთა ყრილობა.

მწვრთნელთა საბჭო ახორციელებს საწვრთნო-მეთოდურ საქმიანობას საქართველოს ნაკრებ გუნდებთან. კონტროლს უწევს საწვრთნო პროცესს ოლიმპიურ ციკლში და უზრუნველყოფს სპორტსმენთა წარმატებით გამოსვლას საერთაშორისო შეჯიბრებებზე, აგრეთვე ბავშვთა და მოზარდთა რეზერვის მომზადებას და წვრთნას საქართველოს რეგიონებში.

მწვრთნელთა საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. იგი შეიმუშავებს გუნდების დაკომპლექტების, სპორტსმენთა წახალისების კრიტერიუმებს და წარუდგენს გამგეობას დასამტკიცებლად.

ფედერაციის ქონება და ბიუჯეტი

ფედერაციის ქონებას წარმოადგენს მემკვიდრეობითი წესით მიღებული მატერიალური ფასეულობა და საწევრო შესატანების, სპორტული ღონისძიებების, სამეწარმეო და კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლე-

ბი. გარდა აღნიშნულისა ფედერაციის ბიუჯეტს შეადგენს საქართველოს კულტურის სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტის და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ ფედერაციის საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხები, საქველმოქმედო ფონდების და მოქალაქეთა შემოწირულობები, გრანტები, სპორტსმენთა ტრანსფერები და ფედერაციის ანგარიშებზე ჩარიცხული სხვა ფულადი სახსრები, რომელთა მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ფედერაცია ქონებას განაგებს დამოუკიდებლად საკუთარი წესდების შესაბამისად.

ფედერაცია საქართველოს კულტურის სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტს და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტს სისტემატიურად მიმართავს თხოვნით დახმარებისათვის და ატარებს ყველა სახის ღონისძიებებს მოცემული სპორტის სახის მიხედვით.

ეროვნული ფედერაციის კუთვნილი ქონება წარმოადგენს ფედერაციის საკუთრებას და გამოიყენება მხოლოდ მისი მიზნებისათვის. ფედერაციის საქმიანობით მიღებული ქონება ხმარდება მხოლოდ ფედერაციის მიზნებს და დაუშვებელია მოგების განაწილება წევრთა შორის.

ფედერაციის წესდებაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება მხოლოდ ყრილობის გადაწყვეტილებით დამსწრე წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილებით.

ფედერაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ფედერაციის რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლიკვიდაციის პროცედურას ხელმძღვანელობს გამგეობა.

ფედერაციის გამგეობა ამუშავებს და წევრთა ყრილობას დასამტკიცებლად წარუდგენს სალიკვიდაციო ბალანსს. ლიკვიდაციის შემთხვევაში ფედერაციის ქონების რეალიზაცია ხდება ქონების საბაზრო ღირებულებების მიხედვით თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფედერაციის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემათ ფედერაციის წევრებს და ყველა დოკუმენტაცია გადაეცემა სახელმწიფო არქივს. ფედერაციის ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 39 მუხლის შესაბამისად.

საერთაშორისო ფედერაციები (სფ-ი)

ოლიმპიური მოძრაობის განვითარების მიზნით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს საერთაშორისო ფედერაციები, როგორც საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობაში მსოფლიო დონეზე და ცალკეული ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ ამ სპორტის სახეობებს ეროვნულ დონეზე.

რაც შეეხება საერთაშორისო ფედერაციების როლს ოლიმპიურ მოძრაობებში, მათი სტატუსი, საქმიანობა და პრაქტიკა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ოლიმპიური ქარტიის დებულებებთან და უნდა ეთანხმებოდეს მათ. თითოეული საერთაშორისო ფედერაცია უნდა ინარჩუნებდეს თავის დამოუკიდებლობას და ავტონომიას თავისი სპორტის სახეობის მართვაში.

საერთაშორისო ფედერაციების ფუნქციაა:

- სპორტის სახეობის პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო წესების შემუშავება და მათი დანერგვა;
- მსოფლიოში მოცემული სპორტის სახეობის განვითარების უზრუნველყოფა;
- ოლიმპიური ქარტიის მიზნების მიღწევაში ნვლილის შეტანა;
- ვარგისიანობის კრიტერიუმების შექმნა ოლიმპიური თამაშებით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. ამ კრიტერიუმების შექმნა უნდა განხორციელდეს ოლიმპიური ქარტიის დებულებათა თანახმად, განსახილველად და დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს;
- პასუხისმგებლობა სპორტის შესაბამისი სახეობის ტექნიკურ კონტროლსა და წარმართვაზე, ოლიმპიურ თამაშებსა და იმ თამაშებზე რომლებიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით იმართება;
- მხარდაჭერა ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისათვის;
- გარდა ამისა საერთაშორისო ფედერაციებს შეუძლიათ:
- ოლიმპიურ ქარტიასთან და ოლიმპიურ მოძრაობასთან დაკავშირებული წინადადებებით ასევე ოლიმპიური თამაშების ორგანიზებასა და მის ჩატარებასთან დაკავშირებული წინადადებებით მიმართონ საერთაშორისო კომიტეტს;
- გააცნონ მათ თავიანთი აზრი ოლიმპიური თამაშების ორგანიზებასთან დაკავშირებით და აღნიშნონ სავარაუდო ქალაქების ტექნიკური შესაძლებლობანი ოლიმპიური თამაშების ჩატარების თვალსაზრისით.
- ითანამშრომლონ ოლიმპიური კონგრესების მომზადების საქმეში;

- საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თხოვნით მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომისიათა საქმიანობაში;

საერთაშორისო ფედერაციებს შეუძლიათ მოაწყონ საკვალიფიკაციო შეჯიბრებები გარკვეულ სახეობებში ან დააწესონ ლიმიტი სპორტსმენებზე და გუნდურ სახეობებში, რეომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიურ თამაშებში.

რაოდენობის დადგენა და შეჯიბრებების განსაზღვრა ექვემდებარება ოლიმპიური ქარტიის დებულებებს და ძირითადად გადაწყდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს მიერ. მათი ფორმულირება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან ინფორმირებული იქნებიან ყველა იმ საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ფედერაციების მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო შეჯიბრებებთან.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტეტი (სეოკ-ი)

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური მოძრაობა საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკი) არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს ვადის განუსაზღვრელად და მოწოდებულია ხელი შეუწყოს ოლიმპიური მოძრაობის და სპორტის განვითარებას საქართველოში.

სეოკ-ი თავის საქმიანობას წარმართავს: ოლიმპიური ქარტიის, საქართველოს კონსტიტუციის, საკუთარი წესდების და სპორტის შესახებ კანონის შესაბამისად.

სეოკ-ი აღიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) უმაღლეს ხელისუფლებას და ოლიმპიური ქარტიის უზენაესობას.

სეოკ-ის იურისდიქცია და უფლებამოსილება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სეოკ-ის მისია ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად არის ოლიმპიური მოძრაობის განვითარება და დაცვა საქართველოში.

სეოკ-ი პროპაგანდას უნევს ოლიმპიზმის ფუძემდებლურ პრინციპებს, ქმნის ოლიმპიურ აკადემიას, ოლიმპიურ მუზეუმს, სეოკ-ი ყოველმხრივ უწყობს ხელს ქვეყანაში მაღალ სპორტულ მიღწევათა განვითარებას, მოსახლეობის ფართოდ ჩაბმას მოძრაობაში „სპორტი ყველასათვის".

სეოკ-ს აქვს უფლება წარმოადგინოს საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე, აგრეთვე რეგიონალურ, კონტინენტალურ ან მსოფლიო კომპლექსურ შეჯიბრებებზე, რომლებიც იმყოფებიან სეოკ-ის ან სპორტის ოლიმპიური კომიტეტების პატრონაჟის ქვეშ.

სეოკ-ი ორგანიზაციას უკეთებს და ხელმძღვანელობს თავის დელეგაციას როგორც ოლიმპიურ თამაშებზე ისე რეგიონალურ, კონტინენტალურ და მსოფლიო კომპლექსურ შეჯიბრებებზე, რომლებიც ტარდება საერთაშორიო ოლიმპიური კომიტეტისა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პატრონაჟობითა და მათი ეგიდით.

- სეოკ-ი ნიშნავს თავის წარმომადგენელს საერთაშორიო ოლიმპიურ კომიტეტში.
- სეოკ-ს აწვდის მოსაზრებებს ოლიმპიური ქარტიის, ოლიმპიური თამაშების, მათი ორგანიზაციის და ჩატარების, აგრეთვე მთლიანად ოლიმპიური მოძრაობის შესახებ.
- სეოკ-ი ზრუნავს კავშირის დასამყარებლად საზღვარგარეთის სპორტსმენებთან, ეროვნულ ოლიმპიურ კო-

მიტეტებთან, საერთშორისო სპორტულ გაერთიანებებთან, ფედერაციებთან, საერთშორისო სპორტულ კომიტეტთან, საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიასთან და ოლიმპიურ მუზეუმთან.

- ატარებს ღონისძიებებს დოპინგის და სხვა აკრძალულ საშუალებათა გამოყენების წინააღმდეგ, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის და საერთაშორისო ოლიმპიური ფედერაციების მიერ.
- იცავს თავის ავტონომიას და არ ექცევა არავითარი პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური გავლენის ქვეშ.
- სეოკ-ი აქტიურად მონაწილეობს მოძრაობაში „სპორტი ყველასათვის" ზრუნავს, როგორც მასობრივი სპორტის ისე მაღალი მიღწევების სპორტში, ქალთა ჩასაბმელად.
- იმისათვის, რომ საქართველოს ეროვნული ფედერაციის წევრები ითვლებიან სეოკ-ის წევრებად, ისინი უნდა მიეკუთვნებოდნენ სეოკ-ის მიერ აღიარებულ საერთაშორისო ფედერაციებს და თვიანთი მუშაობა წარმართონ ოლიმპიური ქარტიის და საერთაშორისო ფედერაციის წესდების შესაბამისად.

სეოკ-ის უფლებები

- საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი, ფლობს ფინანსურ და სამეურნეო დამოუკიდებლობას, განკერძოებულ ქონებას, შეუძლია საკუთარი სახსრებით შეიძინოს ქონება.
- სეოკ-ს უფლება აქვს გახსნას ანგარიში სახელმწიფო ბანკში, როგორც ეროვნული ისე უცხოური ვალუტით.
- დაამყარის საქმიანი კონტაქტები საზღვარგარეთის დაწესებულებებთან, ფირმებთან, ორგანიზაციებთან ოლიმპიური კომიტეტის საკითხების ირგვლივ.

- დაიცვას სეოკ-ის წევრთა და სეოკ-თან თანამშრომლობაში მყოფი ორგანიზაციების ინტერესები.
- დადგენილი წესის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ შეასრულოს ყოველგვარი სახის გარიგება მათ შორის საგარეო ვაჭრობის, საკრედიტო და სავექსილო, სხვა იურიდიული აქტები საქართველოს და საზღვარგარეთის გაერთიანებებთან საწარმოებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან.
- დადგენილი წესის მიხედვით შექმნას დაწესებულებები, კომერციული ორგანიზაციები, მოიზიდოს ინვესტიციები, მათ შორის უცხოური.
- მოაწყოს ლატარიები, აუქციონები, კულტურული, სპორტული და სხვა ღონისძიებები, ფორმირება გაუკეთოს სეოკ-ის ფონდს.
- სეოკ-ს აქვს უფლება განახორციელოს სარეკლამო სპონსორული საქმიანობა, საქაროველოს ტერიტორიაზე ოლიმპიური ემბლემის, სიმბოლოების, დროში, დევიზის და დასახელების გამოყენება.
- სეოკ-ს აქვს უფლება ყველა იმ ღონისძიების რეკლამაზე, რომელიც ტარდება სეოკ-ის მიერ ან მისი ეგიდით.

სეოკ-ის წევრები

- სეოკ-ის წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედითუნარიანი მოქალაქე, მიუხედავად სქესისა, ეროვნებისა, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა.
- სეოკ-ის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდნენ ყველა ის ეროვნული ფედერაციები, რომელთა სახეობები შეტანილია ოლიმპიურ თამაშების პროგრამაში და არიან შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის

წევრები. სეოკ-ი სპორტის ყოველი სახეობის მიხედვით ცნობს მხოლოდ ერთ სპორტულ ფედერაციას, რომელსაც აღიარებს შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ფედერაცია.

- ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი საქართველოში ითვლება, როგორც სეოკ-ის ისე მისი აღმასკომის წევრად და აქვს ხმის უფლება როგორც სეოკ-ის სესიაზე, ისე აღმასრულებელი ორგანოს სხდომაზე.
- სეოკ-ის შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნას აგრეთვე ის ეროვნული ფედერაციები, რომლებიც არიან აღიარებული ოლიმპიური კომიტეტის მიერ, მაგრამ არ არიან ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.
- მთვრობას ან რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ შეუძლია დანიშნოს სეოკ-ის წევრები, მაგრამ სეოკ-ს შეუძლია თავის წევრებად აირჩიოს ამ ხელისუფლებათა წარმომადგენლებში.
- სეოკ-ის წევრები ფუნქციებს ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე, გარდა მართვის აპარატის მუშაკებისა.
- სეოკ-ი კისრულობს მის წევრთა სამივლინებო და სხვა გამართლებული ხარჯების ანაზღაურებას.
-

სეოკ-ის წევრების უფლება-მოვალეობანი

- სეოკ-ის წევრს აქვს უფლება:
- აირჩიოს ან არჩეულ იქნან სეოკ-ის ყველა არჩევით თანამდებობაზე.
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს სეოკ-ის არჩევითი ორგანოების მუშაობაში.
- სეოკ-ის აღმასკომის დავალებით მონაწილეობა მიიღოს თათბირებში, კონფერენციებში, კონგრესებში და გაეცნოს საქართველოს სპორტული ფედერაციების და მათი

წარმომადგენლების საქმიანობას საერთაშორისო ფედერაციაში.

- მონაწილეობა მიიღოს სეოკის კომისიებსა და იმ სპორტული ფედერაციების საქმიანობაში, რომლებსაც აღიარებს სეოკი.
- სეოკის თვითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. სეოკ-ის წევრზე შეიძლება გაიცეს პირადობის მოწმობა და სამკერდე ნიშანი

სეოკ-ის ფეხრები მოვალენი არიან:

აქტიური მონაწილეობა მიიღონ სეოკ-ის საქმიანობაში და პრაქტიკულად განახორციელონ სეოკ-ის სესიისა და აღმასკომის გადაწყვეტილებანიდაიცვან ოლიმპიური ქარტია და სეოკ-ის წესდება

- სეოკ-ის წევრი კარგავს თავის სტატუსს, თუ: შეიცვლის საქართველოს მოქალაქეობას(გარდა საპატიო წევრისა) გადადგება, დაარღვევს ოლიმპიური ქარტიის სეოკ-ის წესდების მოთხოვნებს ან ჩაიდენს მოქალაქისთვის შეუფერებელ საქციელს.
- ორი წლის განმავლობაში არ დაესწრო სეოკ-ის სესიებს (გარდა საპატიო წევრისა)
- სეოკ-ის წევრობის სტატუსის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვთ სეოკ-ის სესიას მის წევრთა 2/3-ის თანხმობით.
- სეოკ-ის წევრთა ზღვრული ასაკია 75 წელი
- სეოკ-ში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ გადამდგარი პირი შეიძლება არჩეულ იქნას სეოკ-ის საპატიო წევრად.

სეოკ-ის სტრუქტურა

- სეოკ-ის უმაღლესი ორგანო არის სესია რომელიც მოინვევა წელიწადში ერთხელ
- სეოკ-ის წევრთა 2/3-ის მოთხოვნით შეიძლება მოიწვიონ რიგგარეშე სესია.
- სესიაზე მოისმინება საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისა და საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისა და საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში მონაწილეობის საკითხები მიიღოს გადაწყვეტილება ქვეყნის სპორტული ფედერაციების, გაერთიანებების (ასოციაციების) აღიარების შესახებ.
- მიიღოს გადაწყვეტილებანი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებისა და მონანილეობის შესახებ.
- დაამტკიცოს სეოკ-ის საქმიანობის პროგრამა მიმდინარე პერიოდისთვის
- შეიქმნას სეიკ-ის მუდმივი და დროებითი კომისიები, (სარევიზიო, საწვრთნო, მწვრთნელთა საბჭო, მსაჯთა კოლეგია, სამედიცინო შემონმების, დოპინგის შემონმების და ა. შ.)და დაამტკიცოს მათი დებულებები.
- საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები სეოკ-ის წესდებაში.
- მოისმინოს პრეზიდენტის საანგარიშო მოხსენება სეოკ-ის საქმიანობის შესახებ.
- განიხილოს სეოკ-ის გენერალური მდივნის მიერ წარმოდგენილი აღმასკომის საანგარიშო მოხსენება და შეაფსოს იგი.
- დაამტკიცოს ნომავალი საფინანსო წლის ბიუჯეტი.
- აირჩიოს სეოკ-ის ახალი წევრები.
- დააწესოს სეოკ-ის ჯილდოები, განსაზღვრს დაჯილდოების წესები, ჯილდოების გადაცემის წესები და ფორმები.

- სესიას შეუძლია განსაზღვრული ვადით უფლებამოსილება გადასცეს აღმასკომს.

ოთხ წელიწადში ერთხელ ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დამთვრების შემდეგ საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე აირჩევა სეოკ-ის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, აღმასკომის წევრები, სარევიზიო კომისია ან აუდიტი.

სესია განიხილავს დღის წესრიგში შეტანილ საკითხებს, რომელიც 30 დღით ადრე გადაეცემა გენერალურ მდივანს სესიის გახსნამდე.

სესია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ თუ წესდებაში ცვლილებები არ იქნა შეტანილი ასეთ შემთხვევაში 2/3 მაინც.

სეოკ-ის საანგარიშო საარჩევნო სესიის ჩატარების თარიღი ცხადდება სამი თვით ადრე. სეოკ-ის პრეზიდენტის კანდიდატურის დასახელება შეუძლია სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს, ოლიმპიურ აკადემიას ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებებსა და ასოციაციებს.

სეოკ-ის პრეზიდენტი სესიის მონაწილეებს ქარტიის მოთხოვნათა დაცვით წარუდგენს წინადადებებს სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტებისა და აღმასკომის რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგენლობას. სესიებს შორის პერიოდში მართვის ფუნქციებს ახორციელებს სესიის მიერ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შედიან: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, სეოკ-ის წევრი საქართველოში (თუ ასეთი იქნება) გენერალური მდივანი, აღმასკომის წევრები. აღმასკომის შემადგენლობაში უმრავლესობას უნდა წარმოადგენდნენ ფედერაციების წევრები.

აღმასკომის სხდომები ტარდება არანაკლებ კვარტალში ერთხელ მაინც და საჭიროებისამებრ. იგი უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც. საკითხი გადაწყვეტილად ითვლება ხმათა უმრავლესობით. აღმასკომის

საკითხები მოიცავს სეოკ-ის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხს.

აღმასკომის სხდომის შესახებ გენერალური მდივანი წევრებს აცნობს 10 დღით ადრე. აღმასკომის სხდომებს თავმჯდომარეობს სეოკ-ის პრეზიდენტი ან ერთ-ერთი ვიცეპრეზიდენტი. სეოკ-ის აღმასკომის მოვალეობაში შედის:

წესდების დაცვა, გადაწყვეტილებათა შესრულება.

- სეოკ-ის სესიის დღის წესრიგის განსაზღვრა.
- დაამტკიცოს სეოკ-ის ფინანსური და ადმინისტრაციული საქმიანობის ნუსხა და კონტროლი მათ შესრულებაზე.
- პასუხისმგებელია ადმინისტრაციულ მუშაობაზე, ამტკიცებს სეოკ-ის აპარატის საშტატო განრიგს, ორგანიზაციას უკეთებს შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას აპარატის მუშაკებთან.
- დებს ხელშეკრულებას, გარიგებებს.
- საქართველოს სპორტის სახელმწიფო ორგანოებთან და სპორტის ფედერაციებთან ერთად ამტკიცებს ნაკრები გუნდების მზადების გეგმებს.
- გადაწყვეტს ყველა სადაო საკითხს;
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქმნის სეოკ-ის მხარდამჭერ რეგიონალურ ორგანიზაციებს, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებს, საქალაქო და რაიონულ ჯგუფებს, ამტკიცებს მათი მუშაობის დებულებებს.


კონგრესი
სესია
აღმასკომი
პრეზიდიუმი
პრეზიდენტი
ვიცე პრეზიდენტი
ფევრები
გენერალური მდივანი
აღსასრულებელი დირექტორი
კომისიები
მწვრთნელთა საბჭო
მსაჯთა კოლეგია
რეგიონალური ორგანიზაცია
დოპინგის მოხმარების
პროფესიონალური სპორტი
საექიმო შემოწმება
საქალაქო და რაიონულ მხარდამჭერთა ჯგუფები
საორგანიზაციო

სეოკ-ის ფინანსური წყაროები:

- - სახელმწიფო დოტაცია;
- - სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ბანკების, ფირმების, გაერთიანებების, სპონსორების, შეზღუდული პასუხისმგებელი საზოგადოებების, აგრეთვე ცალკეულ პირთა შეწირულობანი:
- ჩუქებით ან ანდერძით მიღებული ქმონება;
- საგამომცემლო და შოუბიზნესის საქმიანობასთან გაწეული მომსახურეობისგან მიღებული შემოსავალი;
- შემოსავალი ისეთი კომერციული საქმიანობიდან, რომელიც არ ეწინააღმდეგება ოლიმპიური ქარტიის და სეოკ-ის წესდებას.
- სეოკ-ისა და სხვა საერთაშორისო ორგამიზაციებიდან მიღებული გრანტები ან დახმარებანი.
- მიზნობრივი ფონდებისა და თანხების განაწილების უფლება ეკუთვნის სეოკ-ს.
- ფულადი სახსრების განმკარგულებლად ითვლება სეოკ-ის პრეზიდენტი, ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი და გენერალური მდივანი.

სეოკ-ი პასუხისმგებელია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინაშე საქართველოში ოლიმპიური ქარტიის იმ მოთხოვნათა დაცვაში რომლებიც ეხება ოლიმპიური სიმბოლოს, ოლიმპიური დროშის, ოლიმპიური დევიზის, ოლიმპიური ემბლემის, ოლიმპიური ჰიმნის სახელწოდებების „ოლიმპიური" და „ოლიმპიადა" გამოყენებას.

სეოკ-ი სოკ-ის წინაშე თავის თავის ემბლემის კომერციული მიზნის გამოყენებასთან დაკავშირებით კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს:

- არ გამოიყენოს ემბლემა ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს ნაწარმის რეკლამისათვის.

- ემბლემის გამოყენებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ოლიმპიური მოძრაობის პრესტიჟს.
- ნებისმიერი ტექსტი ან საგანი, რომელზეც გამოსახულია სეოკ-ის ემბლემა დასამტკიცებლად წარედგინება სოკ-ს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკი)

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი წარმოადგენს ოლიმპიური მოძრაობის უზენაეს ხელისუფლებას. ყოველი პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ნებისმიერი სტატუსით მონაწილეობს ოლიმპიურ მოძრაობაში, იცავს ოლიმპიური ქარტიის დებულებებს და ემორჩილება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებებს.

ქარტიაში მოცემულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის როლი, მნიშვნელობა, მუშაობის შინაარსი და სტრუქტურა. მისი ფუნქციაა უხელმძღვანელოს ოლიმპიზმის განვითარებას. ამ მიზნით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი:

- ხელს უწყობს სპორტისა და სპორტული შეჯიბრებების კოორდინირებას, ორგანიზაციასა და განვითარებას;
- თანამშრომლობს კომპეტენტურ, საზოგადოებრივ ან კერძო ორგანიზაციებთან და ხელისუფლებებთან, რათა სპორტი ჩააყენოს კაცობრიობის სამსახურში;
- უზრუნველყოს ოლიმპიუური თამაშების რეგულარულად ჩატარება;
- იბრძვის ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც გავლენას ახდენს ოლიმპიურ მოძრაობაზე.
- მხარს უჭერს და ხელს უწყობს სპორტული ეთიკის დახვეწას;

- ყველა ღონეს ხმარობს სპორტში სამართლიანი თამაშის სულისკვეთების დამკვიდრებისა და ძალადობის აღმოფხვრისათვის;
- ხელმძღვანელობს სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას;
- ატარებს შესაბამის ღონისძიებებს სპორტსმენთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების მიზნით;
- კრძალავს სპორტისა და სპორტსმენების პოლიტიკური ან კომერციული მიზნით გამოყენებას;
- ყურადღებას აქცევს ოლიმპიური თამაშების ორგანიზებისას გარემოს დაცვის საკითხებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას;
- მფარველობს საერთაშორისო ოლიმპიურ აკადემიას;
- მფარველობს ოლიმპიური განათლებით დასაქმებულ სხვა ორგანიზაციებს;

ოლიმპიურ მოძრაობაში გაერთიანება:

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გაერთიანებულია ოლიმპიურ მოძრაობაში, მასში გაერთიანებულია აგრეთვე საერთაშორეისო ფედერაციები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, ეროვნული ასოციაციები, კლუბები, კერძო პირები რომლებიც ირიცხებიან ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებში, ამასთან ერთად ოლიმპიური მოძრაობა მოიცავს სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ.

მსოფლიოში ოლიმპიური მოძრაობის გასავრცელებლად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს ორგანიზაციები ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სახით, რომელთაც შეუძლიათ ჰქონდეთ იურიდიული პირის სტატუსი თავის ქვეყანაში და დაფუძნებული უნდა იყოს

ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად, აგრეთვე მის წესდებებსაც ამტკიცებს საერთაშოერისო ოლიმპიური კომიტეტი.

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციები:

- აფრიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაცია;
- აზიის ოლიმპიური საბჭო;
- პან-ამერიკული სპორტული ორგანიზაცია;
- ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაცია;
- ოკეანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები;
- საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს საერთაშორისო ფედერაციები და საერთაშორისო ფედერაციათა ასოციაციები;
- ზამთრის საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა ასოციაცია;
- საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული სპორტულ ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაცია;
- საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა ძირითადი ასოციაცია;
- საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია აღიაროს სპორტთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა წესდება და საქმიანობა შეესაბამება ოლიმპიურ ქარტიას.
- სოკ-ს შეუძლია აგრეთვე სნრაფი რეაგირებით გააუქმოს მის მიერ აღიარებული საერთაშორისო ფედერაციები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები და სხვა ასოციაციები.
- ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია მფარველობა გაუნიოს სხვადასხვა საერთაშორისი სპორტულ შეჯიბრებებს, რეგიონალურ, კონტინენტალურ ან მსოფლიო დონეზე, მისთვის მისაღებ ვადებსა და პირობებში;

- თუ ეს შეჯიბრებები ჩატარდება ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად და სათანადო საერთაშორისო ფედერაციების დახმარებით, მათი ტექნიკური წესების დაცვით და ორგანიზებული იქნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ აღიარებული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და ასოციაციების მეთვალყურეობით.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტრუქტურა და შინაარსი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კონგრესი, რომელიც იკრიბება რვა წელიწადში ერთხელ. კონგრესებს შორის სოკ-ს ხელმძღვანელობს სესია, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. ოლიმპიადისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების დროს კი – ორჯერ. სესიიდან სესიამდე სოკ-ს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭო.

აღმასრულებელ საბჭოში შედის პრეზიდენტი (8 წლის ვადით), ვიცე პრეზიდენტი და 5 წევრი (4 წლის ვადით)

ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს შეჯიბრებებს სპორტის ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებში, სპორტსმენებსა და არა ქვეყნებს შორის. ოლიმპიური თამაშები თავს უყრის ეოკ-ის მიერ ამ მიზნით შერჩეულ სპორტსმენებს, რომელთა განაცხადი მიღებულია სოკ-ების მიერ და რომლებიც ასპარეზობენ სფ-ების ტექნიკური მითითებით.

ოლიმპიური თამაშები შედგება ოლიმპიადის თამაშებისგან და ზამთრის ოლიმპიური თამაშებისგან. ორივე მათგანი ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ. ოლიმპიადების აღრიცხვა წარმოებს თანმიმდევრულად თანამედროვე პირველი ოლიმპიური თამაშებიდან (ოლიმპიადის თამაშები), რომლებიც 1896 წელს გაიხსნა ათენში. ზამთრის ოლიმპიური თამაშები ტარდება 1924 წლიდან.

ტერმინით „ოლიმპიადა“ აღინიშნება ოთხწლიანი პერიოდი. ოლიმპიადა იწყება ერთი ოლიმპიადის თამაშების გახსნით და მთავრდება მომდევნო თამაშების გახსნით.

ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ექსკლუზიურ საკუთრებას. ოლიმპიური სიმბოლო შედგება ხუთი ოლიმპიური ფერადი რგოლისაგან, ფერებად დადგენილია ლურჯი ყვითელი შავი მწვანე და წითელი რგოლები. რგოლები გადაჯაჭვულია მარცხნიდან მარჯვნივ. ლურჯი, შავი და წითელი რგოლები განლაგებულია ზემოთ, ხოლო ყვითელი და მწვანე ქვემოთ. სიმბოლო აღნიშნავს ოლიმპიურ თამაშებში ხუთივე კონტინენტის – მთელი მსოფლიოს მონაწილეობას. ფერები თავიდანვე მიღებულია, როგორც ტრადიციული: ცისფერი ნიშნავს – ევროპას, შავი – აფრიკას, წითელი – ამერიკას, ყვითელი – აზიას, მწვანე – ავსტრალიას.

ოლიმპიურ დროშას აქვს თეთრი ფონი საზღვრის გარეშე, მის ცენტრში მოთავსებულია ოლიმპიური სიმბოლო თავის ხუთ ფერში. მისი დიზაინი და პროპორციები შეესაბამება 1914 წელს პარიზში გამართულ კონგრესზე პიერ დეკუბერტენის მიერ წარმოდგენილ დროშას.

ოლიმპიური ჰიმნი დამტკიცებულია 1958 წელს და ტოკიოში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 55-ე სესიაზე. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შეუძლია შექმნას ერთი ან რამდენიმე ემბლემა. რომელსაც გამოიყენებს თავისი შეხედულებისამებრ.

ოლიმპიური სიმბოლოს, დროშის, დევიზისა და ჰიმნის გამოყენების ყველა უფლება ეკუთვნის მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.


მუდმივმოქმედი კომისიები
სარევიზიო
ოლიმპიური სოლიდარობის
თამაშების პროგრამის
სპორტსმენთა თამაშებზე დაშვების
სამდივნო
იურიდიული
პრესის
საფინანსო
დაჯილდოვების
დოპინგის მოხმარების
სამედიცინო შემოწმების
მწვრთნელთა
მსაჯთა კოლეგია
სოკ-ი
კონგრესი
სესია
აღმასრულებელი საბჭო
პრეზიდიუმი
პრეზიდენტი
ვიცე პრეზიდენტი
ვიცე პრეზიდენტი
ვიცე პრეზიდენტი
წევრები

ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი არის ტურიზმისა და საკურორტო კომპლექსების შენარჩუნებისა და განვითარების მართვის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ტურიზმის განვითარების ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, შეიმუშავებს ტურისტული და საკურორტო კომპლექსების შენარჩუნებისა და განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს.

სახელმწიფო დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. სახელმწიფო დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კანონით „ტურიზმისა და კურორტების შესახებ", საქართველოს სხვა კანონებით და კანონქვემდებარე აქტებით;

საქართველოში ტურისტული და საკურორტო საქმიანობის უკეთ ორგანიზებისა და კოორდინირების მიზნით სახელმწიფო დეპარტამენტი დადგენილი წესით ქმნის ტერიტორიულ ტურისტულ ორგანოებს.

სახელმწიფო დეპარტამენტი:

1. უზრუნველყოფს ტურიზმისა და საკურორტო კომპლექსების შენარჩუნებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებების (სახელმწიფო კონცეფციის) შემუშავებასა და რეალიზაციას საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;

2. ხელს უწყობს ტურიზმის განვითარების რეგიონული პროგრამების შედგენას;

3. ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ტურიზმისა და საკურორტო კომპლექსების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების მიზნით;

4. შეიმუშავებს სახელმწიფო ბიუჯეტით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების, ინვესტიციების, კრედიტებისა და სხვა სახის სახსრების გამოყენების პროგრამებს;

5. უზრუნველყოფს ტურიზმისა და საკურორტო კომპლექსების შენარჩუნებასა და განვითარებას, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას, დარგში მომუშავე სპეციალისტების პროფესიულ ზრდას და დახელოვნებას;

6. იძლევა დასკვნას საქართველოს ტერიტორიაზე ახალი ტურისტული და საკურორტო ობიექტების შექმნის მიზანშეწონილობაზე;

7. ხელს უწყობს საქართველოს კურორტებზე, ქალაქებსა და ისტორიულ ადგილებში ტურიზმის სხვადასხვა სახეობათა განვითარების მიზნით მცირე ტურისტული საწარმოების ქსელის შექმნას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ტურისტული და კულტურული კავშირურთიერთობის დამყარებას;

8. ხელს უწყობს ტურისტული და საკურორტო საქმიანობის გაფართოებას ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის, მოქალაქეთა გაჯანსაღების, მათი ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარების მიზნით;

9. ხელს უწყობს საზღვარგარეთის ხალხებთან მეგობრობის განმტკიცებას, მშვიდობისა და ჰუმანიზმის იდეალების გავრცელებას, უცხოელთათვის საქართველოს ისტორიის, ეკონომიკისა და კულტურის გაცნობას;

ახორციელებს საქართველოს ტურისტული და საკურორტო კომპლექსის შენარჩუნებას და განვითარებას, ტურისტული და საკურორტო საქმიანობის დაპროგრამებასა და მართვის კოორდინირებას;

- სწავლობს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ტურისტული ბაზრების კონიუნქტურას, ახალ მარშრუტებს;
- ხელს უწყობს სარეკლამო-საგამომცემლო საქმიანობას;
- ხელს უწყობს ქვეყნის მასშტაბით სასტუმროების, სანატორიუმების, საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროების, ეროვნული პარკების, ნაკრძალების, კარსტული მღვიმეების, მუზეუმების, არქეოლოგიური და სხვა ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობების, რესტორნების, გასართობი და კვების ობიექტების, სატრანსპორტო საწარმოებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების კომპლექსური ქსელის შექმნას, ასრულებს დამკვეთის ფუნქციებს;
- ორგანიზებას უწევს ტურისტთა მიღებას, მომსახურების, დასვენების, კვების, ტრანსპორტირების, მოგზაურობის შესახებ ნორმატიული აქტების შემუშავებას;
- დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საკურორტო ტერიტორიების სანიტარული დაცვის ზონების პროექტებს, კურორტების ნუსხასა და სტატუსს;
- აწარმოებს ქვეყანაში ტურისტული საქმიანობის მდგომარეობის შესწავლასა და პროგნოზირებას და შედეგებს იყენებს სამომავლო ღონისძიებათა შემუშავებისათვის;
- ხელს უწყობს ტურიზმის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას;
- ზრუნავს ინვალიდი და ხანდაზმული მოქალაქეების მომსახურებისათვის დარგის ობიექტების მისადაგებაზე, მათთვის ადვილი მარშრუტების მომზადებასა და

მოგზაურობებისა და ექსკურსიების სათანადო პირობებში ორგანიზებაზე.

- საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
- ტურისტული მომსახურების, ლიცენზირებისა და სერტიფიკაციის სამმართველო;
- კურორტების განვითარებისა და რეკრეაციის სამმართველო;
- მარკეტინგის, რეკლამის, ინფორმაციისა და საზოგადოებრივი კავშირურთიერთობის სამმართველო;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსების სამმართველო;
- პროგნოზირების, სტატისტიკის სამმართველო;
- საკადრო და სამეცნიერო უზრუნველყოფის სამმართველო;
- საერთაშორისო ურთიერთობების და ინვესტიციების სამმართველო;
- საქმეთა მმართველობა;
- სამაშველო-საგამყოლო სამსახური.

ტურისტული მომსახურების, ლიცენზირებისა და სერტიფიკაციის სამმართველოს ამოცანებია ლიცენზიების გაცემა და სასერტიფიკაციო სამუშაოებში მონაწილეობა, მომხმარებლის ინტერესების დაცვა, ტურისტული საწარმოების მიერ ნორმატიული დოკუმენტების შესრულების კონტროლი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

კურორტების განვითარებისა და რეკრეაციის სამმართველოს ამოცანებია: კურორტებისა საკურორტო ტერიტორიების ლიცენზირება და პასპორტიზაცია, მათი დატვირთვის რეჟიმის შემუშავებაში მონაწილეობა.

მარკეტინგის, რეკლამის, ინფორმაციისა და საზოგადოებრივი კავშირურთიერთობის სამმართველოს ამოცანებია მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება, სარეკლამო-სა-

ინფორმაციო პროდუქციის გამოშვება, საერთაშორისო ბაზრობებზე საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, უცხოეთში საქართველოს ტურისტული წარმომადგენლობების მუშაობის კოორდინაცია.

საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსების სამმართველოს ამოცანებია:

- დეპარტამენტის საბიუჯეტო ანგარიშებიდან ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების წარმოება;
- მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა;
- საბუღალტრო ბალანსების შედგენა და მათი მიღება სახაზინო საწარმოებისაგან;

პროგნოზირებისა და სტატისტიკის სამმართველოს ამოცანებია:

- სტატისტიკური გამოკვლევებისა და ანალიზის განხორციელება;
- დეპარტამენტის კომპიუტერიზაციის კოორდინაცია;
- ტურიზმის განვითარების პროგნოზირება.

საკადრო და სამეცნიერო უზრუნველყოფის სამმართველოს ამოცანებია:

- წინადადებების შემუშავება ტურისტული და საკურორტო კადრების მომზადების კუთხით სახელმწიფო დაკვეთის პროექტში შესატანად;
- კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- კავშირურთიერთობის დამყარება სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან და მათი სასწავლო პროგრამების შედგენაში მონაწილეობა.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინვესტიციების სამმართველოს ამოცანებია:

- საინვესტიციო პროგრამების შედგენა და გატანა საერთაშორისო საინვესტიციო ღონისძიებებზე;

- ინფრასტრუქტურის დაგეგმაში მონაწილეობა;
- კავშირურთიერთობის დამყარება უცხოეთისა და სხვა საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციებთან.

საქმეთა მმართველობის ამოცანებია:

- დეპარტამენტის აპარატის სამუშაო პირობებით უზრუნველყოფა;
- დეპარტამენტის ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა;
- დეპარტამენტში შემოსული და გასული კორესპონდენციების აღრიცხვა და ანალიზი.

სახელმწიფო დეპარტამენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

დეპარტამენტის თავმჯდომარეს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე:

- იღებს გადაწყვეტილებებს ყველა საკითხებზე, ზედამხედველობს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტურიზმის მმართველობის სფეროში შემავალი დაწესებულებებისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, ხელმძღვანელობს ხელქვეითი სახელმწიფო მოხელეების საქმიანობას;
- დეპარტამენტს წარმოადგენს, როგორც საქართველოს ისე საზღვარგარეთის ქვეყნების სათანადო ორგანოებში დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.
- საჭიროების შემთხვევაში დებს ხელშეკრულებებს სახელმწიფო დეპარტამენტის სახელით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

პასუხისმგებელია საქართველოში ტურიზმისა და საკურორტო საქმის მდგომარეობისა და განვითარებისათვის;
განსაზღვრავს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების, მმართველებისა და სხვა ქვედანაყოფების უფროსების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას შესაბამისი სტრუქტურების საქმიანობაზე;
ამტკიცებს სამმართველოებისა და სხვა ქვედანაყოფების დებულებებს;
თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო დეპარტამენტის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის, სახელმწიფო მოხელეებისა და სახაზინო საწარმოებისათვის, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტურისტების მომსახურეობით დასაქმებული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის;
ამტკიცებს სახელმწიფო დეპარტამენტის საშტატო შემადგენლობას და აკონტროლებს მათ საქმიანობას;
დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით ქმნის საბჭოებს;
საქართველოს პრეზიდენტთან შეაქვს წინადადებები დეპარტამენტის წლიური ბიუჯეტის საკითხზე და აკონტროლებს მათ მიზნობრივ შესრულებას;
შეაქვს წინადადებები საქართველოს პრეზიდენტთან იმ საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება დეპარტამენტის განმგებლობის სფეროს;
ორგანიზაციას უწევს ტურიზმის დარგში სახელმწიფო ქონების დაცვას და გამოყენებას;
თანამდებობაზე ნიშნავს სახაზინო საწარმოათა ხელმძღვანელებს და ათავისუფლებს მათ თანამდებობიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ტურიზმის სახეები, მნიშვნელობა, შინაარსი და სტრუქტურა

მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსარებელი მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური, სასურველი შედეგების მომცემი, მასობრივი და ხელმისაწვდომი საშუალებაა ტურიზმი, ძნელია მოიძებნოს ისეთი სახელმწიფო სადირექტივო დოკუმენტი, მიძღვნილი ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისა და მასობრივ-ფიზკულტურილი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე, რომ მასში განსაკუთრებული ყურადღება არ დაეთმოს ტურიზმს, როგორც ადამიანთა გაკაჟების უებარ საშუალებას. მიხუედევად ამისა ტურიზმი ვერ იქცა მოქალაქეთა ყოველდღიური ყოფის შემადგენელ ნაწილად.

ტურიზმი ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი გადაადგილებაა თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების ისტორიისა და კულტურის ძეგლების დათვალიერების მიზნით.

ტურიზმი აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს ყველა ოჯახში, ყველა მშრომელის პირად ცხოვრებაში, ყველა სასწავლო დაწესებულებებში, როგორც აქტიური დასვენების ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და ხელმისაწვდომი ფორმა.

ხალხის ჯანმრთელობა და მისი ერთ-ერთი მასობრივი საშუალება ტურიზმი, ჩვენს ქვეყანაში, უნდა მოექცეს დიდი ყურადღების ცენტრში.

გასეირნება ბუნების წიაღში ბუნების მრავალფეროვნება, აფერადებული ველ-მინდვრები, ნატვრად ქცეული ძეგლების ხილვა სამუდამოდ „დაავადებს" მოგზაურთ ტურიზმით.

პირველ რიგში ტურიზმი აჯანსაღებს და აწრთობს ადამიანებს, აწესრიგებს შინაგანი ორგანოების ფუნქციურ ძვრებს, უფრო მდგრადს ხდის მათ. საქართველოში სპორტული ფიზიოლოგიის ფუძემდებელი აკადემიკოსი სერგი ნარიკაშვილი ამბობს: „იმის მიხუედევად თუ ტურიზმის რომელ სახეობასთან გვაქვს საქმე, იგი ყოველთვის დაკავშირებულია როგორც გონებრივ ისე კუნთურ მუშაობასთან. მაგრამ კუნთური მუშაობის ინტენსივობა დამოკიდებულია ტურიზმის სახეობასა და მარშრუტზე. მაგ. მატარებლით ან ავტობუსით მოგზურობისას კუნთური მუშაობა შედარებით უმნიშვნელოა. ხოლო ფეხით სიარულის, თხილამურებით, ველოსიპედით ან ნავით გადანაცვლების დროს იგი მაქსიმუმს აღწევს.

ტურიზმის დადებითი გავლენა ორგანიზმზე მეტად მრავალმხირვია. იგი საუკეთესოდ ავითარებს ცვალებადი გარემო პიროებისადმი ორგანიზმის შეგუების უნარს. ეს უკანასკნელი კი განპიროპებულია ორგანიზმის სომატური და ვეგეტატიური პროცესების იმ განვითარებით, რომელიც ტურიზმის მეშვეობით ხორციელდება. ტურიზმი განსაკუთრებით კარგად ავითარებს გულსისხლძარღვთა სისტემას, სუნთქვის ორგანოებს, თერმო რეგულაციის მექანიზმს და ორგანიზმის სხვა ფუნქციებს. აღსანიშნავია, რომ ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლის და ენერგიის ხარჯვის მხრივ ტურიზმი სპორტის არცერთ სახეს არ ჩამოუვარდება. მართალია, დროის მონაკვეთის მიხედვით საწვრთნელი პროცესების დროს სპორტსმენი უფრო მეტ ენერგიეს ხარჯავს, ვიდრე ტურისტი, მაგრამ დღე-ღამის განმავლობაში შეიძლება ზოგჯერ საწინააღმდეგო სურათიც მივიღოთ.

ფიზიკურ თვისებათა შორის ტურიზმი საუკეთესოდ ავითარებს გამძლეობას. ამ მხრივ მისთვის დამახასიათებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება, სახელდობრ: თუ მთელი რიგი კუნთოვანი მუშაობის დროს დაღლის სუბექტური შეგრძნება ხშირად წინ უსწრებს მის ობიექტურ მონაცემებს, ტურმზმის დროს პირიქით ხდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ მოგზაურობისას ორგანიზმზე მოქმედებს განუწყვეტლივ ცვალებადი და ერთიმეორისაგან მეტნაკლებად განსხვავებული გარემო გამღიზიენაბლები. ამის შესაბამისად დიდი ტვინის ქერქის სხვადასხვა პუნქტებში ასევე განუწყვეტლივ იცვლება აღგზნება-შეკავების პროცესები. სხვანაირად რომ ვთქვათ დიდი ტვინის ქერქის მრავალ ადგილთა შორის ურთიერთ ინდუქციური მოქმედების ხშირი ცვალებადობა ახანგრძლივებს მუშაობის უნარიანობას".

ტურიზმი ამასთან ერთად არის ადამიანზე კეთილი ფსიქოლოგიური ზემოქმედების საუკეთესო საშუალებაც. სპორტის ფსიქოლოგიის ფუძემდებელი პროფესორი ვლადიმერ ნორაკიძე კი აღნიშნავს: „ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, შრომა, მოქმედება, მაშინაც კი როცა იგი წარმატებით მიმდინარეობს მოითხოვს დიდ ფსიქო-ფიზიკურ დაძაბვას. ხშირად ყოველდღიურობას თან დევს მიზნის მიუღწევლობასთან დაკავშირებული წუხილი, შფოთი უკმაყოფილება, ზოგჯერ ხდება გარემოსთან მიმართებაში ერთგვარი გაუცხოების მდგომარეობაც, რომელიც წარმოშობს კონფლიქტურ განცდებს. ყოველივე ეს იწვევს ადამიანის სასიცოცხლო ძალების მოდუნებას, აქტივობის დაქვეითებას. სწორედ ასეთ მდგომარეობაშია საჭირო ორგანიზმის სასიცოცხლო გარემოს შეცვლა, რაც საჭიროა აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისათვის. ტურიზმი სწორედ ასეთ პირობებს ქმნის".

ტურიზმი ადამიანთა ინტელექტუალური და ზნეობრივი აღზრდის შესანიშნავი წყაროცაა. ლაშრობებში მტკიცდება მეგობრობაც.

ლაშქრობის დროს, ცნობილი ისტორიული ძეგლების ანდა გრანდიოზული მშენებლობის ხილვისა და მათი რაობის განცდის შემდეგ, ბუნებრივია, ახალგაზრდას თანდათან მოიცავს პატრიოტიზმისა და სამართლიანობის ეროვნული სიამაყის გრძნობა.

ტურიზმი გახლავთ უებარი საშუალება მართეის, რომ ახალგაზრდობაში აღზარდოს სიყვარული მშობლიური ბუნების, ქვეყნის წარსულისა და აწმყოსადმი.

ტურმზმი ადამიანთა ესთეტიურ აღზრდასაც უწევს კეთილ სამსახურს. ტურისტულ ბილიკებზე გასული მოქალაქე ეჩვევა ბუნების სილამაზის განცდას, რაც აამაღლებს მის ბუნება-განწყობილებას.

ტურიზმი იმითაა ჩვენთვის ძვრიფასი, რომ იგი მოგზაურს, ჩვენს მშრომელებს ახალგაზრდობას უნერგავს ისეთ თვისებებს, რაც აუცილებელია ადამიანის სულიერად ჩამოყალიბებისათვის. ალბათ ტურიზმის ყველა სიკეთე ჰქონდა მხედველობაში დიდი მოგზაურს პრჟევალსკის, რომელმაც საუკუნის წინათ შესძახა გახარებულმა: „სიცოცხლე იმითი არის მშვენიერი, რომ შეიძლება მოგზაურობა".

ტურიზმი ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივ-კულტურული მნიშვნელობა აქვს.

ტურიზმი ხანგრძლივობის მიხედვით- დასვენების დღის, ერთიდან შვიდ დღიანი და მრავალდღიანი მოგზაურობებია.

ტერიტორიული ნიშნის მიხედვით ადგილობრივი და შორეული მოგზაურობაა.

ორგანიზაციული ხასიათის მიხედვით კი ტურიზმი არის როგორც ორგანიზებული ისე არაორგანიზებული.

თვითმოქმედი ტურიზმი – მრავალდღიანი ან ერთ-ორ დღიანი ტურისტული ლაშქრობა – მოგზაურობაა. იგი ხორციელდება ტურისტების მიერ დამოუკიდებულად. თვით მოქ-

მედი ტურიზმი ტურისტული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა.

თვითმოქმედი ტურიზმის სახეებია: ქვეითი ტურისტული მოგზაურობა, სამთო-სათხილამურო სანაოსნო ველო და ავტომოტო, საცხენოსნო, სპელეო ტურიზმი.

ქვეითი ტურისტული მოგზაურობა ფეხით სიარულს ნიშნავს ტურისტი მონაწილეობს გამოსასვლელი დღის ლაშქობებში. იგი ითვისებს ბუნებრივ დაბრკოლებათა დაძლევის ხერხებს. ღამის თევის წესებს, სწავლობს საჭურველ კაზმულობისა და საგზლის შერჩევის, მომზადებას, მოხმარებას, ეუფლება ორიენტირებისა და გზის გაგნების მეთოდებს.

სამთო ტურიზმი გულისხმობს ქვეითად მოგზაურობას, მაღალმთიან ადგილებში, სადაც ტურისტს უხდება სიარული ძლიერ დასერილ რელიეფებზე, დაქანებულ მდელოებზე, მთის ციცაბო მონაკვეთებზე, თოვლიან ყინულიან და კლდოვან ფერდობებზე აგრეთვე მარადთოვლიან უღელტეხილების გადალახვა.

ლაშქრობის ყველაზე მიზანშეწონილი დროა ზაფხული. ტურისტებს ესაჭიროებათ აღჭურვილობა: ყინულმჭრელები, „ბათინკები", ყინულის კავები ბაწრები და სხვა. მთის ტურიზმი მოითხოვს მაღალ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას, ფსიქოლოგიური მეცადინეობის და პრაქტიკის დაუფლებას. სირთულეების მიხედვით სამთო ტურიზმში გამოარჩევენ ექვს კატეგორიას.

სათხილამურო ტურიზმი- ითვალისწინებს ლაშქრობათა მარშრუტების გავლას თხილამურებით დაბლობებზე, ფერდობებზე და მთებზე. სათხილამური სპორტის საუკეთესო დროა ზამთრის და გაზაფხულის დასაწყისი.

სათხილამურო ტურიზმის დროს უხდებათ მთელი რიგი სიძნელეების გადალახვა როგორიცაა ციცაბო ფერდობები, ბარდები, დაუსახლებელი ადგილები, დაბალი ტემპე-

რატურა, უტყეობა. აღჭურვილობის ძირითადი სახეა თხილამურები თავისი ფეხსაცმელით.

<u>სანაოსნო ტურიზმი გულისხმობს –</u> მოგზაურობას სხვადასხვა სანაოსნო საშუალებებით (ნავები, ბაიდარები, ტივები და სხვა) მდინარეებზე, ტბებზე, ხელოვნურ წყალსაცავებზე აგრეთვე ზღვაში.

სანაოსნო ტურისტი ეუფლება ნავის მართვას, ნაპირზე მიყენებას, მიბრუნება-მობრუნებას, ნაპირზე მიყენებას და გაჩერებას, ჭორომებისა და ჩახერგილი ადგილების გავლას, ნივთსათრევების გადალახვას, აგრეთვე ნავჭურვებითა და ტივით მოგზაურობისას, იალქნის ნიჩბის ან ხოფის ხმარებას.

ნაოსანი ტურისტი სწავლობს ნავჭურჭლისა და ტივის გაკეთება-გამართვას, აწყობას გადატანასა და შეკეთებას, ბარგისა და საგზლის ჩალაგებას, მონაწილეთა დაწყობა-განლაგებას, ღამის გაეთევის მოწყობას ორიენტირებასა და გზის გაგნების ხერხებს; ითვისებს ტურისტულ ტერმინოლოგიას, ეუფლება რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოძრაობის ხერხებსა და მეთოდებს.

ველო ტურისტული მოგზაურობა – ისეთ ადგილებში იმართება, რომლებიც თავისი ბუნებრივი პირობებით გამოსადეგია ველოსიპედით სიარულისთვის და საინტერესოა ტურისტული თვალთახედვით. ტურისტებისათვის ტრასები გაიკვლება ნებისმიერ რაიონში: დაბლობებზე, მთის უღელტეხილებზე, გამოიყენება გზატკეცილები, ბილიკები, სასოფლო გზები, ველო ლაშქრობების მონაწილენი კარგად უნდა ფლობდნენ ველოსიპედს, იყვნენ ფიზიკურად და ტექნმიკურად მომზადებულნი.

ველო ტურისტული მოგზაურობის ოპტიმალური დრო არის გაზაფხულის დასასრული, ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი.

ავტო-მოტო ტურიზმი ესაა მოგზაურობა ავტომობილით მოტოციკლეტითა და მოტორიანი ველოსიპედით. ეს მოგზაურობა მოითხოვს განსაკუთრებულ პირობებს. მისი სამოგზაურო რეგიონი და მარშრუტი უნდა შეესაბამებოდეს გადადგილების საშუალებებს.

სავტომობილო ტურიზმი- 1. მოგზაურობის განსაკუთრებული სახეა. როდესაც გამოიყენება პირადი ან დაქირავებული ავტომანქანა, როგორც სატრანსპორტო საშუალება და 2. სპეციალურად ორგანიზებული მოგზაურობა ავტომობილებითა და მოტოციკლეტებვით.

ავტო მანქანები, როპგორც მოგზაურობის საშუალება, ყველაზე ფართო შესაძლებლობებს იძლევიან მრავალმხრივი ტურისტული მოგზაურობის ჩატარბისათვის.

მარშრუტები შეიძლება გაყვანილ იქნეს გზატკეცილებსა და სასოფლო გზებზე, ცუდ გზებზე.

საავტომობილო ტურზმის ოპტიმალური ვადებია გაზაფხულის დასასრული, ზაფხული, შემოდგომის დასაწყისი.

სპელეოტურიზმი ითვალისწინებს ტურისტული მარშრუტების გავლას მღვიმეებსა და მიწისქვეშა გამოქვაბულებში. სპელეოტურიზმში გამოიყენება მღვიმეების დაძლევის ტექნიკური საშუალებები და ხრეხრები, სპეციალური მოწყობილობები და აღჭურვილობები (ჰიდროკოსტუმები, ფანრები, კიბეები, ბაწრები ჩასვლა- ასვლის საშუალებები). ტურიზმის ამ სახის მონაწილენი უნდა იყვნენ ფიზიკურად და ტექნიკურად მომზადებულები, უნდა ფლობდნენ უფსკრულებში ღამის თევის ხერხებს, ორიენტირებასა და გზის გაგნების წესებს, იტანდნენ ტემპერატურის ცვალებადობას, სიბნელეს და სხვა.

გარდა ტურიზმის ძირითადი სახეებისა არსებობს სხვა სახეებიც, როგორიცაა: ორგანიზებული და არაორგანზებული ტურიზმი.

ორგანიზებულია, როდესაც მოგზაურობა ორგანიზებულია ტურისტული სუბიექტის მიერ (ფირმის, საწარმოს, ორგანიზაციის) და იღებს მისგან კომპლექსურ მომსახურებას.

არაორგანიზებული ტურიზმი კი არის როდესაც ტურისტი მოგზაურობს ინდივიდუალურად ხელშეკრულების, საგზურის, სამარშრუტო წიგნაკის გარეშე.

შორეული ტურიზმი ეს არის მოგზაურობა, რომელიც მოითხოვს დროის მნიშვნელოვან დანახარჯს დანიშნულების ადგილზე მისვლისთვის. (თვითმფრინავით 4 სთზე მეტს, ავტო მობილით 4 დღეს. თბომავლით ან მატარებლით 4-5 დღეს და ა. შ.)

კულტურული ტურიზმი – იგი მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხთა კულტურილი მემკვიდრეობის გაცნობასა და შესწავლას. ამ ტურისტული მოძრაობის მიზნები და პრინციპები განსაზღვრულია იუნესკოს დიკუმენტებში. (ტურიზმის ქარტია, კულტურის კოდექსი).

რეკრეაციული ტურიზმი. სიტყვა რეკრეაცია ლათინური სიტყვაა და აღდგენას ნიშნავს. იგი გულისხმობს ადამიანის მიერ შრომის პროცესში დახარჯული ფიზიკური და გონებრივი (ინტელექტუალური) ენერგიის აღდგენას, რომლის ბაზასაც ჰქმნის გეოგრაფიულ გარემოში არსებული ბუნებრივი და კუტურულ ისტორიული ობიექტების და ძეგლების ერთობლიობა, ანუ რეკრეაციული რესურსები. ფართო გაგებით რეკრეაცია დასვენებასაც (ძირითადად ბუნების წიაღში) ნიშნავს.

რეკრეაციული ტურიზმი მოგზაურობაა დასვენების, მკურნალობის, გაჯანსაღების, ფიზიკური, ფსიქიკური და ემოციური ძალების აღდგენისა და განვითარების მიზნით. ბოლო პერიოდში ფართო მასშტაბი მიიღო ხანმოკლე დროით, რამდენიმე საათიდან ერთ-ორ დღემდე ე. წ საგარეუბნო

რეკრეაციამ (ბუნებაში დასვენებამ) რასაც ხელი შეუწყო თავისუფალი დროის რეზერვების ზრდამ.

ახალგაზრული ტურიზმი მოზარდი თაობის ტურისტილი საქმიანობის კონკტრეტული სახეა, რომელიც ხორციელდება ეროვნულ, აგრეთვე რეგიონულ და მსოფლიო დონის ფარგლებში. ახალგაზრდული ტურისტული საქმიანობა იწყება XX საუკუნის პირველ წლებში. ამჟამად მსოფლიოში ფუნქციონირებს ახალგაზრდობის სტუდენტთა და მოზრდილთა ტურიზმის 300-ზე მეტი ორგანიზაცია. მათ შორის 30 არის საერთაშორისო.

სამკურნალო ტურიზმი – კურორტების გამოიყენება მკურნალობის სამედიცინო გამოკვლევებისა და სხვა სამედიცინო მომსახურეობის მიზნით.

ტურისტული ლაშქრობა დასვენების მოგზაურობის და გაჯანსაღების პროცესია. მისი აუცილებელი კომპონენტებია: კვება, ღამის თევა, ექსკურსი და აქტიური საშუალებებით გადადგილება. (ფეხით, ცხენით, ველოსიპედით, თხილამურებით და ა. შ.)

პილიგრიმული ტურზიმი ეს არის სიარული ან მოგზაურობა წმინდა ადგილების მოსანახულებლად.

ეკოლოგიური ტურიზმი ითვალისწინებს გარემოზე ზრუნვას შენარჩუნებას, დაცვას და განსაზღვრული ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

ეკო ტურიზმი ხელს უწყობს გარემოს დაცვას, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნებას.

ტურიზმის სახეების სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის დოკუმენტებში: განისილოს დეკლარაცია მსოფლიო ტურიზმის შესახებ (1980 წლის ოქტომბერი) ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი (1985 წლის სექტემბერი აკაპულკოს დოკუმენტი (1882 წლის აგვისტო); ჰააგის დეკლარაცია ტურიზმის შესახებ (1984 წლის აპრილი) და სხვ.

საქართველოში ტურიზმის სახეების კანონმდებლობას შეადგენს საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ" და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

ტურიზმი – ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი, კულ;ტურული და ფინანსური მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სპორტის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საქართველოს კანონში სპორტის შესახებ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სპორტის ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და სტიმულირების რეგულირების საკითხებს. ეს ბუნებრივიცაა. ქვეყნის მაღალ სპორტულ მიღწევებს უპირველესად განაპირობებს სპორტის ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და საკადრო უზრუნველყოფა.

კანონის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს და ზრუნავს სპორტის განვითარებაზე და ამ მიზნით ითვალისწინებს საბიუჯეტო დაფინანსებას. სპორტის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები ცალკე მუხლით აისახება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში.

სპორტის სფეროში სახელმწიფო სახსრებს შესაბამისი საზოგადოებრივი სპორტული ორგანიზაციების წინადადებათა საფუძველზე ანაწილებენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ადგილობრივი ორგანოები.

გარდა სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებისა, სპორტის სფეროში გამოიყენება აგრეთვე:

1. სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ცალკეული პირების შენატანები;
2. საკუთარი სპორტული, სამეურნეო-კომერციული, სარეკლამო, საშუამავლო საქმიანობიდან მიღებული მოგება;
3. სპონსორებისაგან და სხვა დახმარებიდან მიღებული სახსრები;

კანონი საგანგებოდ მიუთითებს, რომ არასაბიუჯეტო წყაროებიდან მიღებული სხსრები არავითარ გავლენას არ ახდენს სპორტის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ოდენობაზე. (მუხლი 23, ნაწილი 5)

კანონში რეგლამენტირებულია სახსრების განაწილების პრინციპები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპორტის განვითარებისათვის გამოყოფილ სახსრებს სამინისტროებზე, უწყებებზე ანაწილებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის წარდგინებით.

ეროვნული ნაკრები გუნდების მოსამზადებლად და საქართველოს სპორტული დელეგაციების ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში თასების გათამაშებაში, მსოფლიო უნივერსიადებში და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა დასაჯილდოვებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფს მიზნობრივ სახსრებს.

სპორტის შესახებ კანონი კატეგორიულად კრძალავს: „დაუშვებელია სპორტისათვის გამიზნული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო შენატანების გამოყენება არამიზნობრივად, ის უნდა მოხმარდეს მხოლოდ სპორტის განვითარებას“ (პარლამენტის საკანონმდებლო დამატება, 24-25/3, 1996 წლის 6 ნოემბერი, გვ. 26.).

სპორტის სფეროს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შეადგენს ყველა სახის სპორტული და სპორტულ-გამაჯანსა-

ღებელი ნაგებობა, სპორტული აღჭურვილობა, ინვენტარი, მოწყობილობა და სხვა მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობისათვის.

სპორტულ ბაზად ითვლება ობიექტი, რომლის მიზანია სპორტსმენთა წვრთნა და მოსახლეობის გაჯანსაღება, ან რომელიც აკმაყოფილებს სპორტული შეჯიბრებების ჩატარების მოთხოვნებს.

სპორტის კანონმდებლობა ავალდებულებს სპორტის დეპარტამანტს, რათა მან გააკონტროლოს სპორტულ ნაგებობათა ეფექტიანი გამოყენება.

ფიზკულტურული კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

საქართველოში ფიზკულტურული კადრების მომზადებას საფუძველი ჩაეყარა 1932 წლიდან, როდესაც თბილისში გაიხსნა ფიზკულტურის ტექნიკუმი. 1931 წელს კი თბილისში დაარსდა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი, რომელიც 1938 წელს გადაკეთდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტად.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი სისტემა.

ფიზიკური კულტურის უმაღლეს სასწავლებლებში კადრების მომზადება ხდება შემდეგი სპეციალობით „ფიზიკური კულტურა და სპორტი“ „ფიზიკური აღზრდის მასწავ-

ლებელი", „ადაპტიური სპორტი" და „სამკურნალო ფიზიკური კულტურა და რეაბილიტაცია".

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის „ფიზიკური კულტურა და სპორტი"-ის კურსდამთავრებულთ ენიჭებათ მწვრთნელის კვალიფიკაცია.

ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებს, რომლებსაც ამზადებს პედაგოგიური ფაკულტეტი მუშაობის უფლება აქვთ, როგორც ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ასევე უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს ამზადებს აგრეთვე მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა, რომლებიც ამზადებენ მწვრთნელებს ქვეყნის ნაკრები გუნდებისათვის.

უფრო მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად ფიზიკური აღზრდის უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია მაგისტრატურა და დოქტორანტურა. ჩარიცხვა ხდება კონკურსით, მისაღები გამოცდების ჩაბარებით.

საშუალო-სპეციალური განათლებით კადრების მომზადება ხდება ფიზიკური კულტურის ტექნიკუმებსა და კოლეჯებში. ეს კადრები მოღვაწეობენ არასრულ საშუალო სკოლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებად და გამაჯანსაღებელ კოლექტივებში ინსტრუქტორ-მეთოდისტებად.

„ადაპტიური სპორტის" სპეციალობით კურსდამთავრებული სპეციალისტები მოღვაწეობენ დამხმარე სკოლა ინტერნატებში.

„სამკურნალო ფიზიკური რეაბულიტაციის" სპეციალისტები, მოღვაწეობენ როგორც სპორტულ ორგანიზაციებში ასევე სამკურნალო დაწესებულებებში.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი განათლების მქონე პირნი სათანადო თეორიულ ცოდნას იძენენ სწავლების პერიოდში, პრაქტიკულ გამოც-

დილებას კი მოღვაწეობის პერიოდში, მათ მაინც ესაჭიროებათ კვალიფიკაციის ამაღლება – შეძენილი ცოდნის გამდიდრება ახალი მასალით.

ამ მიზნით შექმნილია მწყობრი სისტემა, როგორიცაა მოკლევადიანი სემინარები ნარმოებიდან მოუწყვეტლივ, კურსები – წარმოებიდან მოწყვეტით, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და ფიზიკური აღზრდის უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული დახელოვნების სემინარები.

თათბირ-სემინარები ტარდება რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტებისა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეებისათვის, სამმართველოების და განყოფილებების უფროსებისათვის; ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების ფიზკულტურის და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეთათვის და სხვა ხელმძღვანელი თანამდებობების მუშაკთათვის.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, რესპუბლიკური საბჭოების მუშაკთათვის კვალიფიკაციის ამაღლებას უზრუნველყოფენ პროფკავშირთა საბჭოები.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების, უმაღლესი სპორტული დაოსტატების და ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლების ხელმძღვანელები და მწვრთნელები კვალიფიკაციას იმაღლებენ თეორიულ კონფერენციებზე, სემინარებზე და საქართველოს ფიზიკური არზრდისა და სპორტის აკადემიის დახელოვნების ფაკულტეტზე.

საშუალო სპეციალური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზკური აღზრდის მასწავლებლები კვალიფიკაციას იმაღლებენ ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტებსა და მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე.

საზოგადოებრივ-ფიზკულტურული კადრი

საზოგადოებრივ-ფიზკულტურული კადრების შემდეგი პროფილებია დადგენილი:

1. საზოგადოებრივი მწვრთნელი - სპორტის სახეობათა მიხედვით;
2. საზოგადოებრივი მსაჯი - სპორტის სახეობათა მიხედვით;
3. საწარმოო ტანვარჯიშის საზოგადოებრივი ინსტრუქტორი;
4. გამაჯანსაღებელი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე;
5. ფიზკულტურის ორგანიზატორი;
6. ტურიზმის საზოგადოებრივი ორგანიზატორი;
7. ფიზორგი;

საზოგადოებრივ-ფიზკულტურული კადრების მომზადება ხორციელდება მოკლევადიან და მუდმივმოქმედ სემინარებზე, როგორც წარმოებიდან მოწყვეტით, ისე წარმოებიდან მოუწყვეტლად.

საზოგადოებრივ-ფიზკულტურული კადრების მომზადება მიმდინარეობს 30-40 საათიანი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. მაგალითად: საზოგადოებრივ მწვრთნელთა მოსამზადებელი სასწავლო გეგმა ასეთია:

თეორიული მეცადინეობა:

	მეცადინეობის თემა	საათთა რაოდენობა
1	ფიზიკური კულტურა და სპორტი საქართველოში.	2 საათი
2	მოცემული სპორტის სახეობის განვითარებისა და მისი მდგომარეობის მიმოხილვა.	2 საათი
3	მოკლე ცნობები ადამიანის ორგანიზმის აღნაგობისა და მის ფუნქციათა შესახებ.	2 საათი
4	სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადება და საექიმო კონტროლი.	4 საათი
5	სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების ორგანიზაცია, დაგეგმვა და ჩატარების მეთოდიკა.	7 საათი

მეთოდური მეცადინეობები

	მეცადინეობის თემები	საათთა რაოდენობა
1	მოცემული სპორტის სახეობების ტექნიკა, ტაქტიკა სწავლებისა და წვრთნის მეთოდიკა.	8 საათი
2	საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადების მეთოდიკა.	4 საათი
3	მოცემული სპორტის სახეობის მეთოდური მასალის გაცნობა.	4 საათი
4	სასწავლო პრაქტიკა	9 საათი

სულ: 23 საათი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდა

საქართველოს მთავრობა და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფართოდ დანერგვას მშრომელთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, ვინაიდან მათ კარგად ესმით ფიზიკური აღზრდის დადებითი მნიშვნელობა, პიროვნების ჩამოყალიბებაში; სადაც ჰარმონიულად იქნება შერწყმული სულიერი სიწმინდე, მორალური სიმტკიცე და ფიზიკური სრულყოფა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხელმძღვანელი ორგანოები და სხვ. ორგანიზაციების აქტიური დახმარებით და მონაწილეობით წარმატებით წყვეტენ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს, ფართოდ იყენებენ მუშაობის ფორმებს მეთოდებს და საშუალებებს. ამათ შორის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აგიტაციას და პრიპაგანდას.

აგიტაცია-პროპაგანდის გარეშე შეუძლებელია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთო სახალხო საქმედ გადაქცევა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდის ძირითადი ამოცანებია ხელი შეუწყოს მშრომელთა მასების ჩაბმას ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში. მოუწოდოს სპორტსმენებს ახალი შემოქმედებითი მიღწევებისაკენ სპორტში, მისცეს მათ ოსტატობის შემდგომი ამაღლების სტიმული.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასობრიობა, სპორტული ოსტატობის დონის ამაღლება, წარმატებით ხორციელდება ძირითადად იმ ფიზკულტურულ სპორტულ ორგანიზაციებში, სადაც პროპაგანდისტულ მუშაობას აქვს ნამდვილი სახალხო ხასიათი.

ფიზიკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ვალდებული არიან მაღალ ორგანზებულ დონეზე წარმართონ პროპაგანდისტული მუშაობა, ყოველმხრივ აამაღლონ

მისი იდეური დონე, შეარჩიონ პროპაგანდისტების კვალიფიციური კადრები, აღმოუჩინონ მათ პრაქტიკული დახმარება, იზრუნონ მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ამაღლებისთვის. ამიტომ პროპაგანდისტული მუშაობის ორგანიზაციისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთ შეთანხმებულ მუშაობას.

ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის ფორმები, მეთოდები და საშუალებები მრავალფეროვანია, ამიტომ მათი შერჩევა დამოკიდებულია იმაზე თუ რა ძირითადი ამოცანებია გადასაწყვეტი, მუშაობის რა პირობები და საშუალებებია ერთ რომელიმე გარკვეულ უბანზე. ამ მიზნით პროპაგანდამ უნდა უზრუნველყოს:

1. ფიზკულტურისა და სპორტისადმი მშრომელთა ფართო ფენებისადმი შეგნებული დამოკიდებულება.
2. ფიზკულტურისა და სპორტის დარგში მომუშავე, როგორც პროფესიული ასევე საზოგადოებრივი კადრების სათანადო ცოდნა.
3. ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებრიობისათვის სწავლებისა და წვრთნის, როგორც სამამულო ისე საზღვარგარეთული მოწინავე მეთოდების ფართოდ გაცნობა.
4. ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში უმაღლესი სპორტული მიღწევების სპორტსმენთა მომზადების დადებით გამოცდილებათა განზოგადება სპორტულ სკოლებში, სასწავლებლებში, სპორტულ კლუბებსა და გამაჯანსაღებელ კოლექტივებში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის ჩამტარებელი ორგანიზაციები შეიძლება დავყოთ 3 ჯგუფად:

1. ფიზკულტურული ორგანიზაციები – სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, სპორტსაზოგადოებები, სპორტკლუბები, ფიზიკური აღზრდის სასწავლებლები, გამაჯანსაღებელი კოლექტივები და სპორტული პრესა.

2. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები – კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, განათლების და მეცნიერების სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო თავდაცვის სამინისტრო.
3. ცენტრალური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც იდეოლოგიური აღმზრდელობითი, საინფორმაციო პროპაგანდისტულ – კულტურულ საგანმანათლებლო ფუნქციების განხორციელების დროს პროპაგანდას უწევენ ფიზიკურ აღზრდასაც და სპორტსაც; რესპუბლიკური პროფსაბჭო, საქართველოს რადიო მაუწყებლობისა და ტელესედვის კორპორაცია, საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, ახალი ამბების სააგენტო და სხვა.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას, ეწევიან აგრეთვე სპორტული ფედერაციები, სექციები და სპორტული კლუბები. გამაჯანსაღებელი კოლექტივები, პროპაგანდის მუდმივმოქმედი კომიტეტების მეშვეობით.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდის დროს გასათვალისწინებელია სპორტის პარტიულობის, მეცნიერულობის, კონკრეტულობის და ეფექტურობის ძირითადი პრინციპები.

სპორტის პარტიის მნიშვნელობის არსი მდგომარეობს, რომ „კანონი სპორტის" მნიშვნელობის შესახებ დაყვანილ იქნას ყველა მშრომელამდე, ყველა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციამდე.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას მაშინ აქვს სათანადო ეფექტი და მნიშვნელობა თუ ყველა მეთოდური რეკომენდაცია, მითითება, ცნობა, და ა. შ. მეცნიერულადაა დასაბუთებული და სარწმუნო წყაროებითაა დადასტურებული.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდის ყველა საშუალებისა და მეთოდის გამოყენებისას ყოველ კონკ-

რეტულ შემთხვევაში, საჭიროა ცალკეული ადამიანების, ადამიანთა ჯგუფების (რომლებთანაც ტარდება პროპაგანდისტული მუშაობა), ადგილობრივი პირობების, მათი განათლების, ფიზიკური მომზადებულობის, ასაკისა და სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისწრაფების, ფსიქოლოგიის, პროფესიის და ა. შ. გათვალისწინება. პროპაგანდის ფორმები, მეთოდები და საშუალებლები შეიძლება პირობითად დავყოთ სამ ჯგუფად: ბეჭდვითი, ზეპირი და თვალსაჩინო პროპაგანდა.

ბეჭდვითი პროპაგანდის საშუალება არის სპორტული ჟურნალები, გაზეთები, სახელმძღვანელოები, ბროშურები, ბუკლეტები, საინფორმაციო ბიულეტენები და სხვა.

ზეპირი პროპაგანდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა; როგორიცაა სპორტული მიმოხილვები, თემატური საღამოები, ლექციები, მოხსენებები, ლექტორები, სახალხო უნივერსიტეტი და სხვა.

ზეპირი პროპაგანდის ჩატარება შეიძლება როგორც ვიწრო წრეში ასევე ფართო აუდიტორიის წინაშეც.

მთავარია თემა იყოს ვირტუალური, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის როგორც სოციალური მოვლენა, სპორტმენთა მნიშვნელოვან მიღწევაზე, შრომისა და დასვენების რეჟიმზე, სამედიცინო კონტროლსა და სხვა. ლექცია-მოხსენებების ჩატარება უნდა მიენდოს კომპეტენტურ სპეციალისტებს, რომელნიც დაუფლებულნი უნდა იყვნენ თემაში შემავალ ყოველ ცალკეულ საკითხის ირგვლივ.

დიდი პოპულარობით სარგებლობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტი, სადაც მოწვეული ლექტორები კითხულობენ ლექციებს - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აქტუალურ თემებზე, აგრეთვე თემაზე, როგორც ჯანმრთელობის გაზრდის საუკეთესო საშუალებაზე.

ტექნიკური თვალსაჩინო საშუალებებიდან გამოირჩევა რადიო, ტელეხედვა და კინო.

რადიოგადაცემები ხორციელდება როგორც საერთაშორისო ისე რესპუბლიკური და ადგილობრივი რადიოსატრანსლიაციო კვანძების საშუალებით.

ფიზიკურ აღზრდასა და სპორტთან დაკავშირებული საკითხები, გადაიცემა, როგორც საერთო პროგრამებთან ასევე სპეციალურად ამისთვის განკუთვნილ საათებში. როგორიცაა, სპორტულ შეჯიბრებათა რეპორტაჟი, გამოჩენილ სპორტსმენებთან შეხვედრები, ინტერვიუ მწვრთნელებთან, ხელმძღვანელ მუშაკთა გამოსვლები და ა. შ.

ტელეგადაცემა განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს, და იგი ფ/ა და სპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური საშუალებაა, რადგან სპორტულ სანახაობათა გადაცემა და მიღება შესაძლებელია მსოფლიოს ყოველი კუთხიდან.

კინოხელოვნება, მასობრივი დარგია, იგი სპორტის პროპაგანდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სპორტულ თემებზე შექმნილია სრულმეტრაჟიანი მხატვრული კინოფილმები.

სპორტული კინემატოგრაფია ვითარდება ოთხი მიმართულებით: მხატვრული, მხატვრულ-დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო-მეთოდური ჟანრით.

სასწავლომეთოდური ფილმები ეხმარება მწვრთნელებს შეისწავლონ და შეასწავლონ სპორტსმენებს თითოეული ვარჯიში, ელემენტი, ფაზა, ტემპი, რიტმი და ა. შ.

თვალსაჩინო პროპაგანდაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახვით ხელოვნებას. როგორც ცნობილია უძველესი დროიდან ყველა მხატვარი ეტრფოდა ადამიანის სილამაზეს, მისი სხეულის პროპორციებს, პლასტიკას ძალას, ვაჟკაცობას, ბუნების დაპყრობის უნარს. სპორტულ თემებზე შექმნილია მრავალი ქანდაკებები: აპოლონის, ჰერკულესის, ნერო-

ნის, „ბადროს მტყორცნელი", პილიკლეტის „შუბის მტყორცნელი", ლისიპის „მოჭიდავე", ალკამენსის „მტყორცნელი", კაცობრიობის ფასდაუდებელი განძია.

ათეულობით ტილო და ქანდაკებაა შექმნილი სპორტულ თემაზე ქართული მხატვრებისა და მოქანდაკეების მიერ.

განსაკუთრებით გამოირჩევა თვალსაჩინო პროპაგანდის ყველაზე გავრცელებული საშუალება ფოტოგრაფია, მხატვრული გამოფენები, ფოტოსტენდები.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მუზეუმი თვალსაჩინო პროპაგანდის განსაკუთრებული ფორმაა. იგი მუდმივმოქმედი დანესებულებაა, სადაც თავს იყრის პროპაგანდის საშუალებათა მთელი კომპლექსი, როგორიცაა, ბეჭდვითი მასალები-წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, დადგენილებები, გადაწყვეტილებები, ინსტრუქციები, სიგელები, დიპლომები, რუქები; ფოტომასალები-ფოტოპორტრეტები, ფოტო მონტაჟები, სხვადასხვა სპორტული მოვლენის ამსახველი ფოტოები. მხატვრული ნაწარმოებები, ქანდაკებები, სპორტული ინვენტარი, იარაღები, ვიმპელები, თასები, პრიზები, მედლები, სამკერდე ნიშნები, გამოჩენილ სპორტსმენთა და მოღვაწეთა პირადი ნივთები, მიმოწერა და ა. შ

თვალსაჩინო პროპაგანდის მძლავრი საშუალებაა, ესტაფეტები, კროსები, ლაშქრობები, გადარბენები, საჩვენებელი გამოსვლები.

საქმის ქაღალდები, საქმის ქაღალდების მნიშვნელობა, გამოყენება და გაფორმება

საქმის ქაღალდების მნიშვნელობა საერთოდ დიდია, მისი საშუალებით მყარდება გარკვეული ურთიერთობა საზოგადოების წევრთა თუ წარმოება-დაწესებულებათა შრის.

დანიშნულებისა და შინაარსის მიხედვით საქმის ქაღალდები ძირითადად სამგვარია:

1. საქმის ქაღალდები, რომლებიც მომდინარეობს წარმოება დაწესებულებების, სხვადასხვა სასწავლებლების, ორგანიზაციებისა თუ სხვა სახის უწყებებისაგან.
2. საქმის ქაღალდები, რომელიც კერძო პირისაგან, ცალკეული მოქალაქისგან მიმდინარეობს.
3. ყველა სხვა სახის საქმის ქაღალდები (ოქმები, მოხსენებები, აქტები, კვარტალური თუ წლიური ანგარიშები და ა. შ)

პირველი სახის საქმის ქაღალდები სამსახურებრივი სახის დოკუმენტებია. მეორე ჯგუფის საქმის ქაღალდები არაოფიციალური და ითვლება კერძო, პირადულ ხასიათის დოკუმენტად, ხოლო მესამე ჯგუფის საქმის ქაღალდები შეიძლება ოფიციალურიც იყოს და არაოფიციალურიც.

თითოეული სახის საქმის ქაღალდები, თავისი დანიშნულების შესაბამისად შესაფერისად უნდა გაფორმდეს, რაც ქმნის თავისებურ, ე. წ. საკანცელარიო სტილს.

თვით სახელწოდება „საქმის ქაღალდები" განსაზღვრავს მის ბუნებას, ხასიათს, ფუნქციას, რითაც იგი არსებითად განსხვავდება მხვატვრულ თხზულებათაგან. საქმის ქაღალდისათვის არაა დამახასიათებელი ლიტერატურულ-მხატვრული გამომსახველობითი ხერხების გამოყენება, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს დასაშვები იყოს მისი (საქმის ქაღალდის) უგემოვნოდ, უნიგნურად შედგენა,

პირიქით უაღრესად დახვეწილი უნდა იყოს საქმის ქაღალდის სტილი, რომლისთვისაც არსებითია შინაარსის სიცხადე, სიზუსტე, კონკრეტულობა და სიმარტივე. ყოველი საქმიანი ქაღალდის მარცხენა მხარეს ვტოვებთ არეს რეზოლუციისთვის და საქმეში ჩასაკრავად.

განცხადება, მოსახსენებელი ბარათი, ახსნა-განმარტებითი ბარათი, ავტობიოგრაფია—დახასიათება, ხელწერილი, წერილი, მინდობილობა, ანკეტა, აქტი, ოქმი.

განცხადება

განცხადება წერილობითი დოკუმენტია, რომელიც იწერება ცალკეულ პირთა მიერ რომელიმე წარმოება-დანესებულების ან მისი ხელმძღვანელობის სახელზე და შეიცავს თხოვნას, საჩივარს ან რაიმე ამბის შეტყობინებას. ასეთი სახის განცხადება შეიძლება იყოს კოლექტიური ხასიათისაც, თუ კი მას ხელს ანერს ერთზე მეტი (ორი, ხუთი ათი და ა. შ) კაცი. ორივე ეს განცხადება პირად, კერძოდ განცხადებად ითვლება, ხოლო ის განცხადება, რომელიც დაწესებულია ორგანიზაციისა ან სხვა რომელიმე უწყებისაგან მომდინარეობს, ოფიციალური სამსახურებრივი ხასიათის დოკუმენტია. ამა თუ იმ განცხადების შინაარსს, მის მოცულობასა და ხასიათის განსაზღვრას, ერთი მხრივ განცხადებაში წარმოდგენილი საკითხის სიმარტივეა სირთულე, ხოლო მეორე მხრივ, თვით განმცხადებლის სურვილი, მოსალოდნელი თუ სასურველი პასუხის გათვალისწინებით. ამიტომაც განცხადება შინაარსის თვალსაზრისით, მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, მაგრამ მისი ფორმა სტანდარტულია, რომლის დაცვა ერთნაირად სავალდებულოა ყოველგვარი განცხადების დანერისას.

საერთოდ გავრცელებულია განცხადების ფორმის შემდეგი სახე:

1. პირველ სტრიქონზე იწერება ადრესატის სწორი მისამართი(სრული დასახელება წარმოება-დაწესებულების, ორგანიზაცია-უწყების ან თანამდებობის მქონე იმ პირსა, რომელსაც განცხადება ეგზავნება)
2. მომდევნო სტრიქონზე ზევით, მარჯვენა მხარეს, იწერება განმცხადებლის გვარი, სახელი, მამის სახელი და ზუსტი მისამართი (მისამართი სავალდებულოა მაშინ, როდესაც ადრესატისათვის უცნობია განმცხადებლის ვინაობა თუ ადგილ სამყოფელი). თუ თანამშრომელი განცხადებას აძლევს თავისი დაწესებულების ხელმძღვანელს, მისამართი საჭირო არ არის მის ნაცვლად აღინიშნება თანამდებობა.
3. ერთი ან ორი სტრიქონის გამოტივებით, დაახლოებით შუა ადგილას, იწერება სიტყვა „ განცხადება"
4. შემდეგ სტრიქონზე (აბზაცზე) იწყება განცხადების შინაარსი, რომელიც თავის მხრივ შედგება სამი ნაწილისაგან: ა) შესავალი, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს განცხადების დაწერის გამომწვევი მიზეზი: ბ) ძირითადი ნაწილი (შინაარსის დასაბუთება) და გ) დასკვნითი ნაწილი, განმცხადებლისათვის მოსალოდნელ (სასურველ) შედეგებზე მითითებით.
5. ქვევით, მარცხენა მხარეს-თარიღი
6. ბოლოს ხელის მოწერა.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ადამიანთა ურთიერთობის მეტად გავრცელებული ფორმაა, რომლის პრაქტიკულად გამოყენების არე ძალზე ვრცელია, ამიტომაც განცხადება ძირითადად (შინაარსის თვალსაზრისით) ორი სახისაა: ა) მოკლე მარტივი ბ)ვრცელი რთული.

მოკლე მარტივი განცხადება, როგორც წესი არ საჭიროებს მოტივირებას, განსაკუთრებით დასაბუთებას ან კიდევ რაიმე სახის დოკუმენტის დართვას. ვრცელი რთული განცხადება ვარაუდობს, ერთი მხრივ, განცხადებაში აღნიშ-

ნული საკითხის მოკლე ისტორიას, შინაარსის ვრცლად გაშ-ლასა და მეორე მხრივ, აღძრული საკითხიდან დასაბუთებას ფაქტობრივი მასალის დამოწმებით, კონკრეტულ მონაცე-მებზე დაყრდნობთ. ამასთან ერთად რთულ განცხადებას უნ-და დაერთოს ის საბუთები (თუ ასეთი მოიპოვება), რომლე-ბიც შეიძლება განმცხადებლის შინაარსის საფუძვლიანობის დამადასტურებელი იყოს.

მოხსენებით ბარათი

მოხსენებითი ბარათი ისეთი წერილობითი დოკუმენ-ტია, რომელშიც ხელქვეითი (თანამშრომელი) დანესებულე-ბა-ორგანიზაციის ხელმძღვანელს აწვდის ცნობას სამსახუ-რებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოხ-სენებით ბარათში წარმოდგენილი უნდა იყოს, ერთი მხრივ ახსნა ფაქტიური მდგომარეობისა, მეორე მხრივ პრაქტიკუ-ლი წინადადებანი მოცემულ საკითხთა დაკავშირებით შემდ-გომ ღონისძიებათა ჩასატარებლად.

მოხსენებითი ბარათი შეიძლება შედგენილი იყოს როგორც თვით თანამშრომლის ინიციატივით, ისე ხელმძღვანელის მი-თითებითა და მოთხოვნით.

მოხსენებითი ბარათი შემდეგნაირად ფორმდება:

1. პირველ სტრიქონზე (აბზაცით) იწერება სრული და-სახელება იმ ორგანოსი, რომლის ხელმძღვანელის სა-ხელზედაც იგზავნება მოხსენებითი ბარათი:
2. მომდევნო სტრიქონზე, მარჯვნივ, მსგავსად განცხა-დებისა, აღინიშნება მომხსენებელი ბარათის თანამ-დებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი.
3. შუაში სათაური („მოხსენებითი ბარათი)
4. მოხსენებითი ბარათის შინაარსი:
5. დანართის ჩამოთვლა (თუ ასეთი ახლავს)

6. თარიღი:
7. ხელის მოწერა.

ახსნა განმარტებითი ბარათი

ახსნა-განმარტებითი ბარათი, მსგავსად მოხსენებითი ბარათისა, ისეთი წერილობითი დოკუმენტია, რომლითაც დაქვემდებარებული უწყება ან პირი (თანამშრომელი) ზემდგომ ორგანოს ან ხელმძღვანელს აძლევს სამსახურებრივი ხასიათის საკითხებზე სათანადო ახსნა-განმარტებას.

დანიშნულების მიხედვით, ახსნა განმარტებითი ბარათი, ორ ძირითად ტიპად იყოფა:

1. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელიც, როგორც წესი, სავალდებულო ხასიათისაა და დაერთვის ზემდგომ ორგანოში წარსადგენ დოკუმენტებს: კვარტალურ თუ წლიურ ანგარიშებს, ოქმებს, აქტებს ან სხვა სახის გზავნილობას წერილობით ნარკვევს:
2. ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელიც იწერება ცალკეული უწყების ხელმძღვანელის ან ზემდგომი ორგანოს მითითება-მოთხოვნის საფუძველზე. აგრეთვე ისეთი განმარტებითი ბარათიც, რომლის შედგენა ნაკარნახევა თვით შემდგენის (ავტორის) ნებასურვილით, საკუთარი ინიციატივით ან საგამომძიებლო ორგანოების მითითება-მოთხოვნით, რომელიმე პირის (თუ პირთა) მოქმედების ცალკეულ შემთხვევებზე.

ახსნა-განმარტებითი ბარათის აღნაგობა ისეთივეა, როგორც მოხსენებითი ბარათისა, სახელდობრ:

1. სრული დასახელება იმ ორგანოსი, რომლის სახელზე-დაც იწერება განმარტებითი ბარათი:
2. მომდევნო სტრიქონზე, მარჯვენა მხარეს, განმარტებითი ბარათის დამწერის გვარი, სახელი, მამის სახელი (შეიძლება ინიციალები) და თანამდებობა. თუ განმარტებითი ბარათი ოფიციალური ხასიათისაა, მაშინ ბარათის შემდგენელი ორგანოს პასუხისმგებელი მუშაკის ხელმოწერა სათანადო ტიტულის აღნიშვნით, იქნება ქვევით, განმარტებითი ბარათის ბოლოს, ხოლო ზევით, მარცხენა მხარეს დაწესებულების შტამპი:
3. შუაში იწერება სათაური („ახსნა-განმარტებითი ბარათი „)
4. ახსნა განმარტებითი ბარათის შინაარსი:
5. დანართის (თუ ასეთი არის) ჩამოთვლა
6. თარიღი
7. ხელის მოწერა

ავტობიოგრაფია

ავტობიოგრაფია არის ისეთი წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია თვით დამწერის ცხოვრება დაბადებიდან ავტობიოგრაფიის დაწერის თარიღის ჩათვლით.

სხვა სახის საქმის ქაღალდებიდან განსხვავებით, ავტობიოგრაფია უსათუოდ იწერება საკუთარი ხელით (საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდვა მიუღებელია) მელნით და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. სათაური(ავტობიოგრაფია)
2. ავტობიოგრაფიის შინაარსი:
   ა) ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი
   ბ) დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი:
   გ) მოკლე ცნობები ოჯახის წევრთა შესახებ (მათი ადგილსამყოფელი, საქმიანობა და ა. შ)

დ) თავის თავზე დეტალური ცნობები (თანმიმდევრულად) დაბადებიდან ავტობიოგრაფიის დაწერამდე:

3. ავტობიოგრაფიის დაწერის თარიღი.
4. ხელის მოწერა.

დახასიათება

დახასიათება ისეთი დოკუმენტია, რომელიც გულისხმობს ვისმე ნიშანდობლივი თვისებების (ღირსების თუ ნაკლის) აღნიშვნას, მათ ჩამოთვლას, აღწერას, კერძოდ პიროვნების ოფიციალური დახასიათება შეიცავს მისი (ვისაც დახასიათება ეძლევა) სამსახურებრივი და საზოგადოებრივი ყოველმხრივ შეფასებას. ამდენად, დახასიათება უაღრესად საჭირო დოკუმენტია, რომელიც სჭირდება ყველა მოქალაქეს განურჩევლად წლოვანებისა, სქესისა, ეროვნებისა, პროფესიისა და ა. შ. მაგალითად, დახასიათება სჭირდება 7 წლის მოქალაქესაც, რომელიც საბავშვო ბაღიდან პირველ კლასში გადადის, ყოველ პირს, რომელიც ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეში გადადის, შედის ორგანიზაციის წევრად, ვთქვათ, სკოლაში, რაიმე საზოგადოებრივ გაერთიანებაში ან გადის პენსიაზე და ა. შ

დახასიათება, ზოგადად, როგორც ყველა სხვა სახის საქმის ქაღალდი, ოფიციალური დოკუმენტია, მაგრამ იგი შეიძლება იყოს არაოფიციალური, კერძო ხასიათისა პირადული.

დახასიათება ფორმდება შემდეგნაირად:

1. სათაური („დახასიათება“,)
2. გვარი, სახელი და მამის სახელი, ვისაც დახასიათება ეძლევა:
3. დახასიათების ძირითადი ნაწილი შინაარსი, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა მონაცემი: წლოვა-

ნება, მუშაობის სტაჟი საერთოდ და კერძოდ, მოცემულ უწყებაში. პარტიულობა განათლება, თანამდებობა: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ხარისხი, რა სახის საზოგადოებრივ დავალებას ასრულებდა, როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა თავის კოლექტივში და ა. შ.

4. თარიღი (დახასიათების გაცემისა)
5. დახასიათების გამცემი დაწესებულების ხელმძღვანელის (ხელმძღვანელობის) ხელის მოწერა:
6. ბეჭედი.

ხელწერილი

ხელწერილი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც იწერება რაიმე ღირებულების (ფულის, რაიმე ნივთის ან დოკუმენტის, საერთოდ ფასეული საგნის) მიღებაზე წარმოება-დაწესებულებიდან თუ კერძო პირისგან. ხელწერილი, როგორც წესი, იწერება ცალკეული პიროვნების მიერ. სულ ერთია, იქნება ის ოფიციალური იურიდიული პირი, თუ კერძო მოქალაქე.

ხელწერილში ნაჩვენები უნდა იყოს:

1. თვით სათაური (ხელწერილი)
2. იმ პირის, რომელიც ხელწერილს იძლევა, გვარი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა (თუ ოფიციალური პირია) და პასპორტის ნომერი:
3. სრული დასახელება იმ უწყებისა, რომელსაც ხელწერილი ეძლევა, ხოლო, თუ ხელწერილის ამღები კერძო პირია, მისი გვარი, სახელი, მამის სახელი:
4. სრული აღწერა ხელწერილით ჩაბარებული ნივთისა, თუ ეს უკანასკნელი ფულადი სახისაა, თანხის რაოდენობა აღინიშნება სიტყვიერად (ფრჩხილებში ციფრებით)

5. ხელწერილით მიღებული ნივთისა თუ ფულის დანიშნულება ე. ი. უნდა აღინიშნოს, რა მიზნითაა მიღებული: სესხის სახით მუდმივ სარგებლობაში, გადასაცემად სხვა პირზე ან დაწესებულება უწყებაზე და ა. შ
6. ხელწერილის გაცემის თარიღი:
7. ხელმოწერა იმ პირისა, რომელმაც ხელწერილი გასცა.

წერილი ბარათი (მიმართვა)

წერილი ანუ ბარათი (იგივე მიმართვა) არის ორ დაწესებულებას ან პიროვნებას შორის ურთიერთ კავშირის დამყარების საუკეთესო ფორმა, რომელიც ყველაზე გავრცელებული სახეა სხვა სახის საქმის ქაღალდებთან შედარებით.

მიმოწერა ბარათის სახით, ჩვეულებრივ, წარმოებს როგორც ცალკეულ მოქალაქეთა, ისე თანამდებობის მქონე ოფიციალურ პირთა და თვით დაწესებულება-ორგანიზაციებსა და უწყებათა შორის. ამის შესაბამისად წერილი (ბარათი) შეიძლება იყოს ორი სახის: ა) კერძო, პირადი და ბ) ოფიციალური ხასიათისა. გარდა ამისა, წერილი ეწოდება აგრეთვე არა მხოლოდ ორთა შორის (ცალკეულ პირთა თუ უწყებათა შორის) მიმოწერის სახით წარმოდგენილ ბარათს, არამედ ისეთ დოკუმენტებსაც, როგორიცაა: რომელიმე პერიოდულ გამოცემაში მოთავსებული მცირე ზომის თხზულება — სტატია, საგაზეთო წერილი, კრიტიკული წერილი, პუბლიცისტური წერილი, მამხილებელი წერილი, მოწინავე (გაზეთისა) წერილი, მეთაური წერილი და სხვა. აღნიშნულ წერილთა განხილვა ვერ ხერხდება.

კერძოდ, პირადი წერილი ძალზე მრავალფეროვანია. იგი შეიძლება ეხებოდეს: ოჯახის წევრთა ურთიერთობის საკითხებს, ხვეწნა, თხოვნა, მუდარას, მუქარას, პირად გრძნობათა გამჟღავნებას, მილოცვას, ლანძღვა-გინბას, მხილებას

(ვისიმე ცუდი ქცევისა) თუ შექებას და ა. შ. ამიტომაც კერძო წერილის საერთო ხასიათის, ერთიანი ფორმა სტანდარტი არ არსებობს. მიუხედავად ამისა, რა სახისაც არ უნდა იყოს კერძო წერილი (ბარათი) მისი გაფორმებისას საჭიროა:

1. ადრესატის აღნიშვნა (ვისაც წერილი ეგზავნება);
2. წერილის შინაარსი;
3. გამგზავნის ხელის მოწერა და თარიღი;
4. გამგზავნის ზუსტი მისამართი (აღინიშნება კონვერტზე – ქვემოთ):

ოფიციალური წერილი, პირად წერილთან შედარებით, გაცილებით ლოკალიზებულია და ვარაუდობს მიმოწერას მხოლოდ ოფიციალური ხასიათის საკითხებზე. იგი, როგორც წესი, იწერება შემდეგი ფორმის მიხედვით:

1. იმ პირის თუ უწყების სრული დასახელება, ვისაც წერილი ეგზავნება;
2. დაწესებულების შტამპი — წერილის ნორმისა და გაგზავნის თარიღის აღნიშვნით;
3. წერილის შინაარსი;
4. პასუხისმგებელი პირის (პირების) ხელის მოწერა:
5. გამგზავნი უწყების მისამართი (აღინიშნება შტამპზე).

დეპეშა

დეპეშა, ფუნქციის მიხედვით, იგივე წერილია, მაგრამ მისგან (წერილისაგან) არსებითად განსხვავდება ფორმისა და შინაარსის ლაკონურობის თვალსაზრისით. განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშანი სისწრაფეა, ე. ი. წერილის ნაცვლად დეპეშა იგზავნება მაშინ, როდესაც ადრესატისათვის მასში მოცემული შინაარსის შეტყობინება, დეპეშის გამგზავნის სურვილისამებრ, საკითხის მოგვარებას დააჩქარებს.

დეპეშა, წერილის მსგავსად, ორი სახისაა; 1. ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი (სამსახურებრივი) და 2. კ ე რ ძ ო (პირადული). სისწრაფის გათვალისწინებით კი დეპეშა იყოფა ორ კატეგორიად: ა) უ ბ რ ა ლ ო (ჩვეულებრივი), ბ) ს ა სწ რ ა ფ ო. თითოეული მათგანი მეტნაკლები სიჩქარით იგზავნება საწყისი პუნქტიდან (დეპეშის გაგზავნის ადგილიდან) და შესაბამისად მეტნაკლები სისწრაფით ბარდება ადრესატს. ასე, მაგალითად, უბრალო (ჩვეულებრივი) დეპეშის ადრესატისათვის ჩაბარებისათვის ნავარაუდევი დრო თუ სამი საათია, იმავე მისამართით გაგზავნილი „ ს ა ს წ რ ა ფ ო", დეპეშისათვის საკმარისია დაახლოებით მისი ნახევარი, ე. ი. საათნახევარი.

დეპეშის უპირატესობა, წერილთან შედარებით, ისიცაა: 1. დეპეშაში შეიძლება აღინიშნოს, თუ როდის უნდა ჩაბარდეს ადრესატს (ასეთ აღნიშვნას აკეთებენ მაშინ, როცა რაიმე განსაკუთრებული თარიღის, ვთქვათ, საერთო ხასიათის დღესასწაულის, დაბადების დღის, ქორწინების და ა. შ. მომენტს უნდათ დაემთხვეს დეპეშის ადრესატისათვის ჩაბარება); 2. მოსალოდნელი პასუხისათვის საჭირო სიტყვათა რაოდენობის ღირებულება წინასწარ შეიძლება გადახდილ იქნეს, რაც უზრუნველყობს სასურველი პირის მიღებას; 3. დეპეშაში შეიძლება აღინიშნოს: „შეტყობინებითი", რაც იმას ნიშნავს, რომ ტელეგრაფი ვალდებულია, დეპეშის ავტორს აცნობოს, როდის ჩაბარდა დეპეშა ადრესატს.

ხშირია გამოთქმა: „დეპეშის სტილით ლაპარაკობსო", ეს ნიშნავს სათქმელის უაღრესად კონკრეტულ ფორმებში გადმოცემას, ზედმიწევნით ზუსტად და ლაკონიურად. ამიტომაც დეპეშაში, როგორც წესი, არ იხმარება მაკავშირებელი სიტყვები, ნაცვალსახელები და სასვენი ნიშნები.

დეპეშა შემდეგნაირად ფორმდება:

1. დეპეშის კატეგორიის (სასწრაფო) აღნიშვნა;
2. ზუსტი მისამართი;

3. დეპეშის მიმღების სახელი, გვარი, მამის სახელი ან უწყების დასახელება;
4. დეპეშის შინაარსი;
5. დეპეშის გამგზავნის ვინაობა;
6. დეპეშის გამგზავნის მისამართი (ხაზს ქვემოთ, ეს უკანასკნელი სათვალავში არ შედის);
7. სამსახურებრივი დეპეშის ბოლოს დაისმის გამგზავნი უწყების ბეჭედი

მინდობილობა

მინდობილობა ეს ისთი წერილობითი დოკუმენტია, რომლითაც ესა თუ ის დაწესებულება ორგანიზაცია ან ცალკეული პირი, კერძო მოქალაქე თავის ნება-სურვილის მიხედვით გარკვეული მოვალეობის შესრულებას მიანდობს სხვას, მეორე პირს. ე. ი. მინდობილობის გამცემი თავის რწმუნებულს (ვისაც მინდობილობას აძლევს) ნებას რთავს, რომ მან იმოქმედოს მისი სახელით და შეასრულოს ისეთი სახის სამუშაოები, როგორიცაა: სხვადასხვა სახის ინდივიდუალური თუ კოლექტიური ხელშეკრულების დადება-გაფორმება, ფულადი თუ სხვა სახის ფასეულების მიღება, აწარმოოს სასამართლო ხასიათის საქმე (სასამართლო პროცესზე მხარეთა ინტერესების დაცვა და ა. შ). მაშასადამე, მინდობილობის გამცემი შეიძლება იყოს როგორც ოფიციალური დაწესებულება ორგანიზაცია, ისე კერძო პირი. პირველ შემთხვევაში მინდობილობა ოფიციალური ხასიათისა იქნება, ხოლო მეორე შემთხვევაში კერძო. თუმცა მინდობილობა, როგორც ნერილობითი დოკუმენტი, ორივე შემთხვევაში ოფიციალური საბუთია (იურიდიული ძალის მქონე). განსხვავება მხოლოდ გაფორმებაშია, ე. ი. ფორმალური ხასიათისაა. კერძოდ დაწესებულება-ორგანიზაციის მიერ გაცემულ მინდობილობას ხელს უნდა აწერდეს ამ უწყების ხელმძღვანელი, პასუხისმ-

გებელი ოფიციალური პირი, რომლის ხელწერა მოცემული დაწესებულების ბეჭდის დასმით დასტურდება. კერძო პირის მიერ გაცემულ მინდობილობაზე ხელის მოწერას ადასტურებს (მრგვალი ბეჭდის დასმით) ნებისმიერი ოფიციალური უნყება (მილიციის განყოფილება, ნოტარიუსი და ა. შ.).

მინდობილობა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. სათაური („მინდობილობა");
2. მინდობილობის გამცემი დაწესებულება-ორგანიზაციის (მინდობილობა თუ ოფიციალურია) სრული დასახელება, ან გვარი, სახელი და მამის სახელი (როდესაც მინდობილობა კერძო პირის მიერაა გაცემული);
3. იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა (როცა მინდობილობა ოფიციალურია), ვისაც მინდობილობა ეძლევა;
4. რა ვადითაა გაცემული მინდობილობა;
5. თვით მინდობილობის შინაარსი (რა ენდობა, რის მიღება, ვისგან ან საიდან და ა შ.)
6. მინდობილობის გამცემი უწყების პასუხისმგებელი პირის ხელის მოწერა;
7. დაწესებულების შტამპი და ბეჭედი;
8. კერძო პირის ხელმოწერის დამმოწმებლის ხელის მოწერა და ბეჭედი;
9. მინდობილობის გაცემის თარიღი.

ანკეტა

ანკეტა არის წერილობითი დოკუმენტი, რომლის გამოყენების არე, სხვა სახის საქმის ქაღალდებთან შედარებით, შეზღუდულია. იგი ორი მნიშვნელობით იხმარება: 1. როცა საჭიროა ამა თუ იმ პირის შესახებ ისეთი ანკეტური მონაცემების მიღება, როგორიცაა: გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, ეროვნება, დაბადების ადგილი, სქესი, გა-

ნათლების ცენზი, პარტიულობა, პროფესია და ა. შ. (ასეთი ცნობების მისაღებად შევსებულ ანკეტას „კადრების აღრიცხვის" ანკეტა ეწოდება) 2. როცა საჭიროა გარკვეულ მონაცემებზე (მიღწევებზე) სათანადო ცნობების შეგროვება ე. წ. გამოსაკითხავი ფურცლების საშუალებით. მეორე სახის ანკეტა მასობრივი არაა. იგი ივსება იშვიათად და განსაკუთრებულ შემთხვევაში. ვთქვათ, სასურველია ფართო წრისათვის იმის გარკვევა, თუ ვინაა წლის საუკეთესო სპორტსმენი, მწერალი, მხატვარი, მეცნიერი, გამომგონებელი, მოგზაური და ა. შ.

პირველი სახის (კადრების აღრიცხვის) ანკეტის შევსება რაიმე სირთულეებთან ან სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული, რადგანაც გამოსაკითხავ ფურცელში (ანკეტაში), გარკვეული რიგის მიხედვით ცხადად არის დასმული კითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა გასცეს ანკეტის შემვსებმა.

ანკეტის (რომელიც წინასწარაა შედგენილი და ერთიანი ფორმისაა საერთოდ) შევსებისას აუცილებელია:

ა) ანკეტა შევსებულ იქნას ავტორის მიერ გარკვეული ხელით, უსათუოდ მელნით და სუფთად:

ბ) ყოველ ცალკეულ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და ზუსტი;

გ) არ შეიძლება დაწერილის წაშლა ან გადასწორება;

ც) არ შეიძლება ანკეტაში მოცემული რომელიმე კითხვის უპასუხოდ დატოვება (თუ ისეთი კითხვაა რომელიც მოცემული ანკეტის შემვსებს არ ეხება, მაშინ ამ კითხვის გასწვრივ ხაზი უნდა გაუსვათ ან დავწეროთ „არა").

ხელშეკრულება

ხელშეკრულება არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ორ ან რამდენიმე მხარეთა შორის დადებულ (მიღწეულ) შეთანხმება პირობას, ურთიერთვალდებულებას.

ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სახელმწიფოებსა (ურთიერთ თავდაუსხმელობის, სხვადასხვა სახის მასალათა ურთიერთმიწოდების, სავაჭრო ხასიათისა და ა. შ.) და სხვადასხვა დაწესებულება ორგანიზაციებს შორის; აგრეთვე — ოფიციალურ უწყებასა, სახელმწიფო დაწესებულებასა და კერძო პირთა შორისაც.

ხელშეკრულება ფორმდება შემდეგი სახით:

1. სათაური („ხელშეკრულება“)
2. ხელშეკრულების გაფორმების (დადების) დრო და ადგილი;
3. მხარეთა სრული დასახელება;
4. მხარეთა ზუსტი მისამართი;
5. თვით ხელშეკრულების შინაარსი, რომელშიაც გარკვევით ნაჩვენები უნდა იყოს მხარეთა ვალდებულება (სამუშაოს ხასიათი, მოცულობა, ღირებულება, ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა და ა. შ.)';
6. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში დამნაშავე მხარის სასჯელის (ჯარიმა და სხვა) სახე;
7. დანართის (თუ ასეთი არის) დასახელება;
8. მხარეთა ხელის მოწერა;
9. მრგვალი ბეჭედი, თუ ხელშეკრულება ოფიციალურია, ხოლო კერძო პირთა შორის დადებულ ხელშეკრულებას, როგორც წესი, ადასტურებენ დამსწრე პირები, (მოწმეები) ან ადგილობრივი საბჭოები, ნოტარიუსი და ა. შ.

აქტი

აქტი ლათინური სიტყვაა და დღევანდელ სალიტერატურო ქართულში იგი ოთხი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. აქ აქტის იმ სახეს (ფორმას) ვეხებით, რომელიც საქმის ქაღალდთა სახეობას აღნიშნავს.

აქტი არის ორი ან რამდენიმე პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რაიმე სახის ამა თუ იმ ფაქტს. აქტი, დანაშაულების მიხედვით, მრავალფეროვანია. მაგალითად, აქტი დგება დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის შეცვლისას: ასეთ შემთხვევაში შედგენილ აქტში აღინიშნება, თუ რა გადააბარა ყოფილმა ხელმძღვანელმა მის შემცვლელ პირს და როგორი სახით (ასეთ აქტს „ჩაბარება-მიღების", აქტს უწოდებენ) აქტი დგება საფინანსო რევიზიისა ან სხვა სახის შემოწმების დროს. ასევე აქტი დგება, როცა დაწესებულებაში ავეჯი ან სხვა სახის ინვენტარი ძველდება, სახმარად უვარგისი ხდება და მწყობრიდან გამოსულია (ასეთი ინვენტარი ამ აქტის საფუძველზე ბალანსიდან ჩამოიწერება), აქტით აღინიშნება საცხოვრებელი სახლის ავარიული მდგომარეობა, ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრისა თუ სხვა სახის სტიქიური უბედურების შედეგად მიღებული ზარალი; ბინის გაქურდვა, მკვლელობა, საგზაო ავარია და ა. შ.

აქტი ოფიციალური (იურიდიული ძალის მქონე) დოკუმენტია და ამდენად მასში რეალური მდგომარეობა, მომხდარი ფაქტი უნდა იყოს წარმოდგენილი ობიექტურად, ყოველგვარი „შეკეთება" შელამაზების გარეშე, არსებული ვითარების ზუსტი ჩვენებით. რაც შეეხება დასკვნებს (მომხდარი ფაქტის თაობაზე), აქტში შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ შენიშვნის სახით, რადგანაც სათანადო დასკვნების გაკეთება იმ ორგანოს ფუნქციაში შედის, რომელსაც (ან ვისაც) თვით ეს მოცემული აქტი უნდა წარედგინოს.

აქტი, როგორც წესი, დგება ოფიციალური, ზემდგომი ორგანოს მიერ გამოყოფილი პირთა მონაწილეობით, მაგრამ, ცალკეულ შემთხვევაში, აქტი შეიძლება შეადგინოს მომხდარი ფაქტის პირადად მომსწრე-მნახველ პირთა ჯგუფმაც.

აქტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. სათაური („აქტი");
2. აქტის შედგენის ადგილი და თარიღი;
3. აქტის შემდგენელთა გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა (აქტი თუ კერძო ინიციატივითაა შედგენილი, მაშინ აგრეთვე საჭიროა აღინიშნოს აქტზე ხელის მომწერი ა ზუსტი მისამართი და პასპორტის ნომერი);
4. აქტის შედგენის საფუძველი *(ზემდგომი ორგანოს მითითებითაა შედგენილი თუ კერძო ინიციატივით);
5. აქტის შინაარსი ;
6. აქტის შემდგენელთა ხელის მოწერა;

ოქმი

ოქმი არის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საერთო კრების, თათბირის, სხდომის, ყრილობის, კონფერენციისა და მსგავს შეკრებილობათა მსვლელობის აღწერას, ე. ი. იძლევა იმის სურათს, თუ რა იყო თქმული ამ შეკრებაზე და როგორი სახის დადგენილება (გადაწყვეტილება) იქნა მიღებული.

ოქმი შეიძლება იყოს ვრცელი, ზოგჯერ სიტყვასიტყვით (სტენოგრაფირების შემთხვევაში) და მოკლე. ოქმის სახეს ფორმას (ვრცელი იქნება თუ მოკლე) განსაზღვრავს თვით კრების, თათბირის, კონფერენციის, ყრილობისა თუ სიმპოზიუმის დანიშნულება-ხასიათი. ოქმის წარმოება (დაწერა), როგორც წესი, ევალება მდივანს, როცა ტარდება ჩვე-

ულებრივი კრება, სხდომა ან თათბირი, მაგრამ ყრილობებსა და კონფერენციებზე ირჩევენ რამდენიმე კაცისაგან შემდგარ სამდივნოს.

ოქმის შემადგენელი ნაწილებია;

1. სათაური („ოქმი") და ნომერი — (იქვე, სათაურის გასწვრის);
2. თარიღი (წელი, თვე და რიცხვი);
3. სრული დასახელება (ვისი და რა სახის ხელშეკრულებაა) კრებისა, სხდომისა, ყრილობისა, კონფერენციისა და ა. შ.
4. ცნობა დამსწრეთა შესახებ (თათბირებსა და საერთო კრებებზე, სადაც მონაწილეთა რიცხვი დიდია, აღინიშნება დამსწრეთა საერთო რაოდენობა, ხოლო რომელიმე კომისიის, კოლეგიის, კათედრის, გამგეობის, პრეზიდიუმისა და მსგავს ორგანოთა სხდომებზე იწერება მონაწილეთა გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა);
5. თავმჯდომარისა და მდივნის სახელი და გვარი (კონფერენციებზე და ყრილობებზე ირჩევენ პრეზიდიუმსა და რამდენიმე კაცისაგან შემდგარ სამდივნოს):
6. დღის წესრიგი (აქ იქნება განსახილველი საკითხის თუ საკითხების დასახელება);
7. შემდეგ მოდის განყოფილება „მოისმინეს"სადაც იწერება მეექვსე მუხლში აღნიშნული დღის წესრიგის საკითხი (საკითხები თანმიმდევრობით), მომხსენებლის სახელი, გვარი, თანამდებობა და მოხსენებლის მოკლე შინაარსი (ვრცელი მოხსენების შინაარსი ოქმში არ იწერება. კეთდება შენიშვნა: მოხსენება თან ერთვის, დანართი . . .) აქვე შეაქვთ აგრეთვე კამათში მონაწილე პირთა (თუ ასეთი იყო) გამოსვლების ძირითადი დებულება-მოსაზრებანი;

8. განყოფილებაში: „დაადგინეს" ზუსტად უნდა იყოს ფიქსირებული მოსმენილ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება-დადგენილება.
შენიშვნა: მეშვიდე და მერვე მუხლებში აღნიშნული „მოისმინეს", — „დაადგინეს", მეორდება დღის წესრიგში დასმულ ყველა საკითხებზე ცალ-ცალკე;
9. თავმჯდომარისა და მდივნის ხელის მოწერა.

ამონაწერი

ამა თუ იმ დოკუმენტებიდან (ოქმი, ბრძანება) ზოგჯერ საჭირო ხდება ცალკე ადგილის ამოწერა, ე. ი. რომელიმე უწყებაში წარსადგენად საჭიროა ესა თუ ის დოკუმენტი (ოქმი, ბრძანება) არა მთლიანად, არამედ მისი ნაწილი, ცალკეული პარაგრაფი ბრძანებისა ან ადგილი ოქმიდან. ასეთ შემთხვევაში კეთდება ე. წ. ამონაწერი იმ ნაწილისა (ცალკეულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებისა), რომელიც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გვაინტერესებს.

ამ ე. წ. ამონაწერს ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც თვით იმ საბუთ-ოქმს, ბრძანებას ან სხვა სახის რომელიმე ოფიციალურ დოკუმენტს, რომლიდანაც ეს ამონაწერი გაკეთდა.

ამონაწერი ფორმდება შემდეგნაირად:

1. ზევით, შუა ადგილას სათაური („ამონაწერი");
2. სრული დასახელება იმ დოკუმენტისა, რომლიდანაც გაკეთდა ამონაწერი;
3. წელი, თვე და რიცხვი დოკუმენტისა, რომლიდანაც ამოღებულია „ამონაწერი",
4. თვით ამონაწერის შინაარსი (ზუსტად უნდა ემთხვეოდეს დედანს. დაუშვებელია რაიმეს შესწორება);

5. ქვევით მინაწერი: დედანთან სწორია;
6. იმ პირის თანამდებობა, გვარი და სახელი, რომელმაც ამონაწერი გააკეთა და მისი ხელმოწერა;
7. ამონაწერის ხელმოწერა დასტურდება მრგვალი ბეჭდით, თუ ამონაწერი ოფიციალურ უწყებას ეგზავნება.

საქართველოს კანონი სპორტის შესახებ

თავი პირველი

ზოგადი დებულება

1. საქართველოს კანონმდებლობა სპორტის სფეროში: მისი მიზნები და ამოცანები.

საქართველოს კანონმდებლობა სპორტის სფეროში ეფუძვნება საქართველოს კონსტიტუციას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებს, ამ კანონს, სხვა საკანონმდებლო აქტებს და საერთაშორისო ხელშეკრულებებს. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სპორტული საქმიანობის ზოგადსამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს.

საქართველოში მიჩნეულია სპორტი უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმედ და ხელი ეწყობა მის განვითარებას. საქართველოში სპორტი ემყარება ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ და კულტურულ ღირებულებებს, ისტორიულ გამოცდილებას, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

საქართველოს კანონმდებლობა სპორტის სფეროში ემსახურება ერის გაჯანსაღების, მოქალაქეთა ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეს, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის სულისკვეთებით აღზრდას, შრომისა და სამშობლოს დაცვი-

სათვის მომზადებას, ადამიანთა სიცოხცლის გახანგრძლივებას, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას. (მუხლი 1).
სპორტის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მიზნებია:

— ერის გაჯანსაღება;
— სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად გავითარებული პიროვნების ფორმირება;
— სპორტის სფეროში საქართველოს მოქალაქეთა მონაწილეობის კონსტიტუციური უფლებების განხორციელების უზრუნველყოფა და დაცვა.
— სპორტის სფეროში მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის განსაზღვრა;
— საკანონმდებლო გარანტიების შექმნა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა არასახელმწიფო სპორტული ორგანიზაციების თავისუფალი ფუნქციონირებისათვის;
— სპორტის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა და მათ შორის ურთიერთობათა დარეგულირება;
— სპორტის სფეროში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა.

მუხლი 2: სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები სპორტის სფეროში

სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირიტადი პრინციპებია:

ა) საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება:

გ) მართვის დემოკრატიული ხასიათი:

დ) მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება.

ე) ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პატივისცემა.

მუხლი 3: საქართველოს მოქალაქეთა უფლებების სახელმწიფო გარანტიები სპორტის სფეროში

სპორტში მოქალაქეთა ვარჯიშისა და საქმიანობის უფლებას სახელმწიფო უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნით.

სახელმწიფო სათანადო დახმარებასა და შეღავათებს უწევს სპორტში მოღვაწე პენსიონრებს, ობლებს, ხელმოკლე ოჯახებსა და ინვალიდებს.

სახელმწიფო უზრუნველყოფს სპორტის ძირითადად ეროვნული სახეობების განვითარებას სოფლად, ქმნის აუცილებელ პირობებს სოფლის მოსახლეობის სპორტში ჩაბმისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მაღალმთიან რაიონის სოფლებს.

საქართველოს მოქალაქეს (სპორტსმენს, მწვრთნელს, მსაჯს, სპორტის სხვა მუშაკს) უფლება აქვს იმუშაოს საამოყვარულო და პროფესიულ სპორტში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

სხვა ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი საქართველოში სპორტულ საქმიანობას ეწევა ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დაუშავებელია სპორტული საქმიანობა ან სპორტში მიღწევების გამოყენება კანონსაწინააღმდეგო მიზნებისათვის.

თავი მეორე

სპორტის მართვის სახელმწიფო ორგანოები

საქართველოს კანონში „სპორტის შესახებ" განსაზღვრულია სპორტის მართვის სახელმწიფო ორგანოები და მათი ფუნქციები (მუხლი 4).

სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და საკანონმდებლო ურთიერთობებს განსაზღვრავს და აკონტროლებს საქართველოს პარლამენტი.

სახელმწიფო სპორტის სფეროს მართავს საქართველოს სპორტის სახელმწოფო დეპარტამენტის საშუალებით, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს პრეზიდენტის აქტებითა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულებით.

აფხაზეთისა და აჭარის აუტონომიური რესპუბლიკების მთავრობები, სახელმწიფო მმართველობის რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოები თავიანთ სტრუქტურებში ქმნიან, სპორტის მართვის შესაბამის ორგანოებს.

საქართველოს კანონში (მუხლი 5) განსაზღვრულია სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კომპეტენცია.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის:

- დარგის განვითარების ძირითადი მიმართულების შემუშავება და განხორციელება:
- ერის გაჯანსაღებისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამების შემუშავება:

- სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა განსაზღვრა;
- ხელშეწყობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და შემდგომი განვითარებისათვის;
- ხელშეწყობა არასახელმწიფო და საზოგადო სტრუქტურების ფორმირებისათვის;
- სპორტის ახალი სახეობების ლიცენზირება;
- კადრების მომზადების, განაწილებისა და გადამზადების კოორდინაცია; დარგის მუშაკთა ატესტაცია და პროფესიული დონის განსაზღვრა;
- სპორტის სისტემის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფა; სამეცნიერო, სასწავლო, პოპულარული სპორტული ლიტერატურის გამოცემის ორგანიზაცია;
- სპორტის დაფინანსების სახელმწიფო ნორმატივების შემუშავება;
- სპორტსმენთა, სპეციალისტთა და სპორტის სხვა მუშაკთა წახალისების უზრუნველყოფა, სახელმწიფო პრემიებსა და ჯილდოებზე წარდგენა;
- ეროვნული სპორტული ფედერაციის მიერ სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეუსრულებლობისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევისას მარეგისტრირებელ ორგანოსთან ერთად ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ფუნქციების შერჩევა საგანგებო ყრილობის მოწვევამდე.

მუხლი 6. სპორტის სფეროს მართვა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

სპორტის სფეროს მართვა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციით, ამ კანონით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

მუხლი 7: ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების კომპეტენცია სპორტის სფეროში

სპორტის სფეროს აგდილებზე მართავენ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ეროვნული სპორტული ფედერაციების კომპეტენციას.

თავი მესამე

საქართველოს კანონში „სპორტის შესახებ" განსაზღვრულია საზოგადოებრივი და სხვა არასახელმწიფოებრივი სპორტული ორგანიზაციები და მათი ფუნქციები (მუხლი 8).

1. საზოგადოებრივი და სხვა არასახელმწიფო სპორტული ორგანიზაცია არის სპორტული ფედერაცია, ასოციაცია, კლუბი და სხვა გაერთიანება, რომელიც მიზნად ისახავს სპორტის განვითარებას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოებრივი და სხვა არასახელმწიფო სპორტული ორგანიზაციების აქტივობის განვითარებას და იზიდავს მათ სპორტის მართვის საქმეში.
3. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს და მის ორგანოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლიათ საზოგადოებრივ და სხვა არასახელმწიფო სპორტულ ორგანიზაციებს გადასცენ ცალკეული უფლებამოსილებანი და გააკონტროლონ ამ უფლებამოსილებათა განხორციელება.

4. საზოგადოებრივი და სხვა არასახელმწიფო სპორტული ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ ამ კანონით და სპორტის სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოს კანონში სპორტის შესახებ განსაზღვრულია

მუხლი 9 საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკი)

1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკი) არის დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც კოორდინაციას უწევს ოლიპიურ მოძრაობას საქართველოში. სეოკი იურიდიული პირია.
2. სეოკი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ამ კანონით, ოლიმპიური ქარტიითა და საკუთარი წესდებით.
3. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში, მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებში, საქართველოს წარმოადგენს მხოლოდ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, როგორც საქართველოში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი.
4. სეოკ-ს აქვს თავისი სიმბოლიკა და მხოლოდ მას ააქვს ამ სიმბოლიკის გამოყენების უფლება.
5. სეოკი თანამშრომლობს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან და ეროვნულ ფედერაციებთან ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.
6. სეოკი მონაწილეობს ოლიმპიური თამაშებისთვის ნაკრები გუნდების მომზადებისა და გამოსვლის უზრუნველყოფაში.

მუხლი 10. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია

1. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია არის მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც ხელმძღვანელობს ქვეყანაში სპორტის შესაბამისი სახეობის განვითარებას. იგი თავის საქმიანობას წარმართავს ამ კანონის, საქართველოს კანონების, საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია არის ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანო სპორტის შესაბამის სახეობაში და პასუხს აგებს მის განვითარებაზე.
2. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია წარმოადგენს სპორტის შესაბამის სახეობას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ; იზიარებს ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს.
3. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციის სტატუსი ენიჭება იმ გაერთიანებას, რომლის დამფუძნებელი დოკუნეტები აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნებს
4. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია არის იურიდიული პირი.
5. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციის უფლებამოსილება მისი კომპეტენციის ფარგლებში ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
6. საქართველოს ეროვნულ[illegible]პორტული ფედერაცია ასრულებს სახელმწიფო დაკ[illegible] და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან თანამ[illegible]ძლობს ხელშეკრულების საფუძველზე.

7. საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია სპორტის შესაბამის სახეობაში აკომპლექტებს ეროვნულ ნაკრებ გუნდს, წარადგენს მას საერთაშორისო ორგანიზაციებში და სპორტულ შეჯიბრებებზე;

8. საქართველოს ეროვნულ სპორტულ ფედერაციას უფლება აქვს ეწეოდეს საქმიანობას, რომელსაც არ კრძალავს მოქმედი კანონმდებლობა. ფედერაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს სპორტული და სხვა ორგანიზაციების დაფუძნებასა და ფუნქციონირებას.

მუხლი 11. სპორტული კლუბი.

1. სპორტული კლუბი თავის საქმიანობას წარმართავს ამ კანონის მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

2. სპორტული კლუბი არის იურიდიული პირი.

3. სპორტული კლუბის სტატუსი ენიჭება იმ ორგანიზაციას, რომლის დამფუძნებელი დოკუმენტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობისა და შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაციების მოთხოვნებს.

4. სპორტული კლუბის ხელმძღვანელობის უპირატესი უფლებაა თავისი წევრები ტრანსფერზე წარადგინოს შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაციის თანხმობით.

თავი მეოთხე
მასობრივი სპორტი

მუხლი 12. სპორტი სკოლამდელ და სასწავლო დაწესებულებებში

1. ჯამრთელობის დაცვა და განმტკიცება, ფიზიკური აღრზდა და სრულ ყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ყველა ტიპის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და დაწესებულების ერთ-ერთ უმთავრესი ამოცანაა.
2. სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფიზიკური მომზადების ნორმატივების საფუძველზე სასწავლო დაწესებულება ადგილობრივი პირობებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფიზიკურ აღრზდაში მეცადინეობის ჩატარების ფორმას, მეთოდებსა და ხანგრძლივობას (არანაკლებ 4 საათისა კვირაში)
3. ფიზიკურად არაჯანსაღთათვის მეცადინეობა ტარდება რეაბილიტაციის ფარგლებში.
4. ყველა სასწავლო დაწესებულებაში, პროფილისა და საკუთრების ფორმის განურჩევლად, სპორტი შედის ერთიან სასწავლო პროგრამაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლების სამინისტრო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

მუხლი 13. სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული დაწესებულებები

1. სპორტულ სკოლებს, კლუბებს, სექციებსა და სკოლის გარეშე სხვა დაწესებულებებს, რომლებიც ფუნქციონირებენ სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებ-

რივ და სხვა საწყისებზე, ეკისრებათ ბავშვებისა და ახალგაზრდების მიზიდვა და ჩაბმა. გამაჯანსაღებელი და სპორტული ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციას ახდენენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოები. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სკოლის გარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული დაწესებულებების შექმნა-ფუნქციონირება.

მუხლი 14. სპორტი შრომითი დასაქმების ადგილებში

საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და შრომითი დასაქმების სხვა სფეროში, მიუხედავად საკუთრების ფორმისა, ადმინისტრაცია ვალდებულია შეუქმნას თავის თანამშრომლებს სათანადო პირობები სპორტში მათი უფლებების განსახორციელებლად.

მუხლი 15. სპორტი ინვალიდებისათვის

1. ინვალიდების ვარჯიში სპორტში მათი რეაბილიტაციისა და სოციალურ შრომითი ადაპტაციის შემადგენელი ნაწილია.
2. სპორტს, ჯამროელობის დაცვის, განათლების, მოსახლეობის სოციალურ დაცვის შესაბამის ორგანოებსა და ინვალიდთა ორგანიზაციებს ეკისრებათ ინვალიდების რეაბილიტაციის უწყვეტ სისტემაში სპორტულ მეცადინეობათა ორგანიზაცია, კადრების მომზადება, მეთოდური უზრუნველყოფა და საექიმო კონტროლი.
3. სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები, მმართველობის რეგიონალური და ადგილობრივი

ორგანოები, კლუბები, ცენტრების ინვალიდებს უზრუნველყოფენ სპეციალური არჭურვილობით, ხელს უწყობენ მათ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად.

4. ინვალიდების გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები ფინანსდება, მათი სპორტული ბაზების მშენებლობისთვის სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის ბიუჯეტებიდან და კერძო სექტორიდან.

მუხლი 16.
სამხედრო მომსახურების, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პირადი შემადგენლობის სპორტული მომზადება

1. სამხედრო მომსახურების, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პირადი შემადგენლობის სპორტული მომზადების შინაარს განსაზღვრავენ შესაბამისი ორგანოები სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით.
2. სამხედრო ნაწილების მეთაურები და შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ქვედანაყოფების უფროსები ვალდებულები არიან შექმნან აუცილებელი პირობები სპორტის სამხედრო გამოყენებით სახეობებში მეცადინეობის ჩატარებისა და მასში სამხედრო მომსახურების, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პირადი შემადგენლობის მონაწილეობისათვის.

მუხლი 17.

სპორტის განვითარებაში ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაწილეობა

ჯამრთელობის დაცვის ორგანიზაციები და დანესებულებები:

1. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სპორტს იყენებენ როგორც ფიზიკური რეაბილიტაციისა და დაავადების პროფილაქტიკის საშუალებას:
2. საექიმო კონტროლს უწევენ სპორტული სექციის წევრებს, უზრუნველყოფენ საქართველოს ეროვნული და სხვა გუნდების სამედიცინო მომსახურებას სელშეკრულების საფუძველზე:
3. ორგანიზაციას უწევენ და ახორციელებენ ჯამრთელობის დაცვის სპეციალისტების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის იმ ძირითადი კომპონენტების საკითხებში, რომლებიც გამოიყენება ავადმყოფების მკურნალობისა და პროფილაქტიკაში:
4. ქმნიან სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრებს (დისპანსერებს) დიაგნოსტიკურ საკონსულტაციო პუნქტებს და კაბინეტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობას შესაბამისი მომსახურეობით, აღჭურავენ მათ საჭირო სამედიცინო მოწყობილობებით და აპარატურით.
5. სპორტული წვრთნა და შეჯიბრების ჩატარება შესაძლებელია ეკოლოგიურად და ჰიგიენურად სუფთა გარემოში.

მუხლი 18.

მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების სპორტული საქმიანობა

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყობს კონტროლს მათში მყოფ პირთა ჯამრთელობის მდგომარეობაზე, ატარებს აუცილებელ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, თავისუფლების აღკვეთის ადგილების შიდაგანაწესის შესაბამისად უზრუნველყობს სპორტულ- გამაჯანსაღებელ მეცადინეობათა ჩატარების პირობებს შესაბამისი ინვენტარითა და მოწყობილობებით.

თავი მეხუთე

უმაღლესი მიღწევების სპორტი

მუხლი 19.

უმაღლესი მიღწევების სპორტი. მაღალიკვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადება.

1. უმაღლესი მიღწევის სპორტი ის სფეროა, რომელიც ხელს უწყობს სპორტსმენს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და მიაღწიოს თვალსაჩინო სპორტულ შედეგს. ამისათვის მას სახელმწიფო უქმნის ყველა აუცილებელ პირობას.
2. უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენის მომზადებისთვის იქმნება სპეციალიზებული დაწესებულებები, რომელთა სტრუქტურასა და სტატუსს განსაზღვრავენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაცია.
3. სახელმწიფო დაკვეთა მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების მიზნით ფორმდება შესაბამის ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან ან სხვა

სპორტულ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების მეშვეობით.

4. საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შეყვანილი სპორტსმენების შეჯიბრებისათვის მომზადება ხდება ბიუჯეტიდან სახსრების მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 20.

საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდები

1. საქარტველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს მზადებენ და აკომპლექტებენ ეროვნული სპორტული ფედერაციები.
2. საქართველოს ეროვნული ნაკრების გუნდის წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ სპორტულ შეჯიბრებაში სპორტის სახეობის შესაბამისი ეროვნული სპორტული ფედერაციის თანახმად.
3. საქართველოს მოქალაქეს არა აქვს უფლება გამოვიდეს შეჯიბრებებზე სხვა ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. უცხოეთის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არ მქონე პირს არ შეუძლია იასპარეზოს საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის სახელით.

მუხლი 21.

სპორტსმენი, პროფესიონალი სპორტსმენი და პროფესიული მოღვაწეობა სპორტში

1. სპორტსმენი არის პირი, რომელიც მისდევს სპორტს და გამოდის შეჯიბრებებში.
2. სპორტსმენი, რომლისთვისაც სპორტი შემოსვლის ძირითადი წყაროა, არის პროფესიონალი.
3. „სპორტსმენი" პროფესიაა.

4. სპორტსმენის, მწვრთნელის, მსაჯის და სხვა სპეციალისტების პროფესიული მოღვაწეობა (ვარჯიში და შეჯიბრებაში მონაწილეობა) რაც მაღი შემოსავლის ძირითადი წყაროა, ხორციელდება შრომის კანონმდებლობის შესაბამისად.
5. სპორტში დასაქმებული პირები, როგორც წესი, მუშაობენ ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.
6. სპორტსმენთან კონტრაქტის გაფორმება და ხელშეკრულების სხვა ფორმის დაწესება, სპორტში მოღვაწეობის და შეჯიბრებებში პროფესიულ საწყისებზე მონაწილეობის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წესდებებით, დებულებებითა და სხვა მარეგრამენტირებული დოკუმენტებით.
7. შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც აფორმებს პროფესიონალი სპორტსმენი, სპორტი მოღვაწეობისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის პირობებთან ერთად უნდა შეიცავდეს ჯამრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის პირობებს:
8. პროფესიული სპორტული ლიგა(ასოციაცია, კლუბი და ა. შ) და სხვა პროფესიული სპორტული ორგანიზაცია ყალიბდება და ფუნქციონირებს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 22.
სპორტსმენისა და სპორტის სპეციალისტის სოციალური დაცვა.

1. სახელმწიფო და შესაბამისი სპორტული ორგანიზაცია უზრუნველყობს სპორტსმენს, სპორტის სპეცია-

ლისტისა და სხვა მუშაკების სოციალურ დაცვას. მათზე ვრცელდება შესაბამისი კანონმდებლობა.

2. პროფესიონალ სპორტსმენს პენსიის უფლება ენიჭება შრომის მძიმე პირობებში მომუშავეთათვის კანონმდებლობით დადგენილი შეღავათიანი პირობებითა და ოდენობით.
3. სპორტსმენზე, რომელმაც შეჯიბრებაში, სასწავლო-საწვრთნელ ან სხვა სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისას მიიღო ტრავმა, პროფესიული დაავადება ან დაინვალიდება, ვრცელდება კანონმდებლობა სოციალური დაცვის შესახებ.

თავი მეექვსე
სპორტის ფინანსურ-მატერიალური და საკადრო უზრუნველყოფა, სპორტის სტიმულირება

მუხლი 23. სპორტის დაფინანსება

1. სახელმწიფო ხელს უწყობს და ზრუნავს სპორტის განვითარებაზე და ამ მიზნით ითვალისწინებს საბიუჯეტო დაფინანსებას.
2. სპორტის განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრები ცალკე მუხლით აისახება სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში.
3. შესაბამისი საზოგადოების სპორტული ორგანიზაციების წინადადების საფუძველზე სპორტის სფეროში სახელმწიფო სახსრებს ანაწილებენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ადგილობრივი ორგანოები.
4. სპორტის დაფინანსებისათვის გამოიყოფა აგრეთვე:

ა) სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და ცალკეული პირობების შენატანები:

ბ) საკუთარი სპორტული, სამეურნეო-კომერციული, სარეკლამო საშუამავლო საქმიანობიდან მიღებული მოგება;

გ) სპონსორებისგან და სხვა დახმარებიდან მიღებული სახსრები.

5. არავითარ გავლენას არ ახდენს სპორტის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებათა ოდენობაზე.

6. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპორტის განვითარებისათვის გამოყოფილ სახსრებს სამინისტროებზე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის წარდგინებით.

7. ეროვნული ნაკრები გუნდების მოსამზადებლად და საქართველოს სპორტული დელეგაციების ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, თასების გათამაშებაში, მსოფლიო უნივერსიადებში და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისა და ამ ღონისძიებებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა დასაჯილდოებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფს მიზნობრივ სახსრებს.

8. დაუშვებელია სპორტისთვის გამიზნული საბიუჯეტო და არა საბიუჯეტო შენატანების გამოყენება არამიზნობრივად, ისინი უნდა მოხმარდეს მხოლოდ სპორტის განვითარებას.

9. სახელმწიფო ხელს უწყობს სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებით. სათანადო დაფინანსებით, გრანტებით, სპორტსმენებისა და ამ დარგის სპეციალისტების მორალური და მატერიალური წახალისებით.

მუხლი 24. სპორტის სფეროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. სპორტის სფეროს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შეადგენს ყველა სახის სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ნაგებობა, სპორტული აღჭურვილობა, ინვენტარი, მოწყობილობა და სხვა საკუთრება, რომელიც განკუთვნილია სპორტული და სპორტულ გამაჯანსაღებელი საქმიანობისათვის.
2. სპორტულ ბაზად ითვლება ობიექტი, რომლის მიზანია სპორტსმენთა წვრთნა და მოსახლეობის გაჯანსაღება ან რომელიც აკმაყოფილებს სპორტულ შეჯიბრებების ჩატარების მოთხოვნას.
3. მიწის ნაკვეთის გამოყოფის წესს, რომელზეც განლაგებულია სპორტული ბაზები, ითვალისწინებს შესაბამისი კანონმდებლობა.
4. დაუშვებელია: სპორტული ბაზის ფუნქციის შეცვლა სპორტის დეპარტამენტთან და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან შეუთანხმებლად: სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულების მშენებლობა ან რეკონსტრუქცია სპორტული ობიექტის გაუთვალისწინებლად: სპორტული ობიექტის ლიკვიდაცია ან პროფილის შეცვლა სანაცვლო და ტოლფასოვანი ობიექტის საექსპლუატაციოდ გადაცემამდე.
5. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი აკონტროლებს სახელმწიფო სპორტულ ნაგებობათა ეფექტიან გამოყენებას.
6. საქართველოს სახელმწიფო სპორტულ ბაზებზე ვარჯიშის უპირატესი უფლება ეძლევათ საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს.

მუხლი 25. სპორტის სფეროს სპეციალისტების მომზადება და კადრებით უზრუნველყოფა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს სპორტის სფეროსთვის კადრების მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას .
2. სპორტის სფეროს სპეციალისტებს ამზადებენ საგანმანათლებო დაწესებულებები. ამ დაწესებულებათა მიზანი უნდა იყოს მასობრივი და მაღალი მიღწევის სპორტის , მისი გამაჯანსაღებელ - პროფილაქტიკური და სამკურნალო პროფილის განვითარება.
3. სპორტის, განათლებისა და ჯამრთელობის დაცვას. სახელმწიფო ორგანოები ადგენენ სპორტისა და სპორტულ - გამაჯანსაღებელი პროფილის სპეციალისტებზე მოთხოვნილებას. სპეციალისტების, მათ შორის ინვალიდებთან მომზადების და გადამზადების დადგენილი წესით აკრედიტირებულ სასწავლო დაწესებულებებს.
4. სპორტსმენი სპორტის სფეროში სპეციალისტად მუშაობისთვის სავალდებულო ატესტაციას გადის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და შესაბამისი სპორტული ფედერაციის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 26. სპორტული წოდება, ჯილდო და სპორტული სიმბოლიკა

1. სპორტული განმამსხვავებელი ნიშანი ადასტურებს სპორტსმენთა და მსაჯის კვალიფიკაციას, მედლითა და სამკერდე ნიშნით აღინიშნება სპორტსმენის დარგის სხვა სპეციალისტის დამსახურება.

2. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ამტკიცებს საპატიო წოდებას სპორტში და განსაზღვრავს საერთაშორისო და ეროვნულ ჩემპიონატებში გამარჯვებულებისა და რეკორდსმენებისათვის სპორტულ ჯილდოების ნუსხას.

3. სპორტის სფეროში განსაკუთრებული წვლილისა და უმაღლესი სპორტული მიღწევებისათვის სპორტსმენს, მწვრთნელსა და სხვა პირებს სახელმწიფო პრემიებზე და ჯილდოებზე წარადგენს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი.

მუხლი 27. სპორტში აკრძალული საშუალებები

სპორტის სფეროში მოღვაწეობისას და სპორტსმენის მაღალი შედეგების მიღწევის მიზნით დაუშვებელია ისეთი ხერხებისა და მასტიმულირებელი საშუალებების გამოყენება, რომელიც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით. ეროვნული სპორტული ფედერაცია და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების დებულებებით და სხვა სამართლებრივი აქტებით. პირი, რომელიც შეგნებულად ხელს უწყობს ასეთ საშუალებების გამოყენებას, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით.

ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში კონტროლი და შესრულების შემოწმება

კონტროლის წინაშე ორი კატეგორიის ამოცანა დგას. პირველია – გამაფრთხილებელი, პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება შესამოწმებელ ორგანიზაციაში შეცდომების, ბოროტმოქმედების, დაუდევრობის, გულგრილობის და სხვა დანაშაულებათა ასაცილებლად. მეორე კატეგორიის ღონისძიებებია ადმინისტრაციული ზომები – თანამდებობიდან გადაყენება, დასჯა, პასუხისგებაში მიცემა.

კონტროლი, როგორც მართვის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, გულისხმობს ძირითადი შედეგების გაანალიზებას, განზოგადებას და სათანადო დასკვნის გამოტანას; ყველა შემთხვევაში საჭიროა ყურადღების გამახვილება, რათა კონტროლის დროს გავითვალისწინოთ და პრაქტიკაში განვახორციელოთ შემდეგი პრინციპები: მასობრიობა, ობიექტურობა, ეფექტურობა, სისტემატურობა და საჯაროობა.

კონტროლი მოქმედი კანონების, დადგენილებების, გადაწყვეტილებების, გეგმების, ინსტრუქციების, დებულებების, წესდებებისა და სხვ. განხორციელების, ცხოვრებაში გატარების მიზნით ზედამხედველობის, მეთვალყურეობისა და შემოწმების სპეციალურად ორგანიზებული სისტემაა.

კონტროლის სახეები

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში გამოყენებულია შემდეგი სახის კონტროლი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და სახალხო.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებში, სპორტულ ნაგებობებზე და სხვა ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში მომუშავე აპარატის საქმიანობას აკონტროლებენ შესაბამისი ადგილობრივი ორგანიზაციები.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარებაზე სახელმწიფო კონტროლი ძირითადად დაკისრებული აქვს სახელმწიფო დეპარტამენტს.

საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებენ პროფკავშირული ორგანოები; პროფკავშირულ-სპორტულ საზოგადოებაში და სპორტულ ნაგებობებზე. პროფკავშირულ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებაში საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებენ პროფკავშირთა საბჭოები, პროფკავშირთა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და ადგილობრივი კომიტეტები, აგრეთვე სპორტულ საზოგადოებათა შესაბამისი საბჭოები და მათი სარევიზიო კომისიები.

სახალხო კონტროლის ორგანოებს დავალებული აქვთ განახორციელონ კონტროლი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში. ადგილებზე სახალხო კონტროლის წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ შემოწმება, რეიდი, მასობრივი დათვალიერება, დოკუმენტური რევიზია და ა. შ. ყველა სპორტულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციაში დაწყებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტიდან დამთავრებული პირველადი ორგანიზაციებით.

კონტროლის ყველა ზემოხსენებული სახე მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ავსებს ერთმანეთს და ამით ხელს უწყობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრასა და ფიზიკუტურულ-სპორტული ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას.

კონტროლის ძირითადი ფორმაა მუშაობის შესრულების შემოწმება, რომელიც ორგანიზაციული მუშაობის ერთ-ერთი პრინციპი და მეთოდიცაა.

ფიზიკულტურულ-სპორტულ მუშაობაში გამოყენებულია შესრულების შემოწმების შემდეგი სახეები:

კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ი (ფრონტალური) – ტარდება შემ-მოწმებელი ორგანიზაციის სამუშაო გეგმის მიხედვით, მოიცავს ფიზიკულტურული მოძრაობის რომელიმე ქვესისტემაში შემავალ ერთ ან რამოდენიმე რგოლს (რაიონულს, საქალაქოს ან საოლქოს).

ა მ ო რ ჩ ე ვ ი თ ი – ტარდება გეგმის მიხედვით, რომლის დროს შემოწმდება ერთი რგოლის ერთ-ერთი დანაყოფი მაგალითად 32 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან ყველგან ან რამდენიმე სასკოლო ფიზიკური აღზრდის საბჭოს გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობა.

თ ე მ ა ტ უ რ ი – ტარდება გეგმით და გეგმის გარეშეც (წინასწარ გაუთვალისწინებლად). შემოწმდება ერთი რომელიმე ორგანიზაციის ერთ-ერთი რომელიმე განაყოფი მაგალითად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის მდგომარეობა.

შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი – ტარდება გეგმით და გეგმის გარეშეც. შემოწმდება რამდენიმე ორგანიზაციის მუშაობა ფიზკულტურული მოძრაობის ერთი განაყოფის მიხედვით. მაგალითად, შემოწმდება ფეხბურთის განვითარების მდგომარეობა ნსს „მართვეში“ და ნსს „ლოკომოტივში“.

მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ი ან ჯ ე რ ა დ ი – ტარდება გეგმის გარეშე მამხილებელი მასალების, კრებებზე ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა კრიტიკული გამოსვლებისა და სხვა მასალების შედეგად.

გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი თ ი – ტარდება გეგმით, წინა შემოწმების შედეგად მიღებული ღონისძიებების შესრულების შესამოწმებლად.

ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო – მოიცავს ორგანიზაციების უმეტესობას, მაგალითად, ყველა სპორტულ საზოგადოებაში ან მთლიანად ქვეყნის, ანდა რესპუბლიკის მაშტაბით ერთი, რამდენიმე ან ყველა დარგის შემოწმებას;

მასობრივი შემოწმება – ტარდება ერთდროულად, მთლიან რესპუბლიკაში ან ერთ რომელიმე ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქსა და რაიონში, მუშაობის ერთი რომელიმე განყოფის მიხედვით, რაც შესაძლებელს ხდის შეზღუდული დროის მონაკვეთში თითქმის ყველა ორგანიზაციის ფაქტიური მდგომარეობის გაცნობასა და დროულად სათანადო ღონისძიებების მიღებას.

რაც შეეხება რეიდს, მასაც ახასიათებს ოპერატიულობა და ქმედითობა, ერთი რომელიმე საკითხის განსაზღვრული დროის განმავლობაში შესწავლა, მაგალითად საფინანსო-ეკონომიური მუშაობის ხარისხის შემოწმება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით თვენახევრის ვადაში.

შემოწმების სტანდარტული სქემები და ფორმები არ არსებობს და თითქმის არც არის გამოყენებული, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, მაგალითად ფრონტალური შემოწმებისას, ჩვეულებრივ ადგენენ სანიმუშო კითხვარს, რომელიც მოიცავს ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობის უმეტეს ან მთლიანად ყველა განაყოფს. აქედან გამომდინარე, კითხვარში გათვალისწინებული უნდა იყოს საორგანიზაციო-მასობრივი, სასწავლო-სპორტული, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი, პროპაგანდისტული, საფინანსო-სამეურნეო, კადრებთან, აქტივთან მუშაობისა და სხვა საკითხები.

საჭიროების შემთხვევაში კითხვარს ადგენენ შემოწმების სხვა სახეების შემთხვევაშიც. მაგალითად როცა ამოწმებენ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განაყოფიდან ჯანმრთელობის ჯგუფების მდგომარეობას.

გამოყენებულია ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში მუშაობის შემოწმებისა და კონტროლის შემდეგი მეთოდები:

ინდივიდუალური მეთოდი – როდესაც შემოწმება ან კონტროლი ევალება ერთ პიროვნებას -- პასუხის-

მგებელ ორგანიზატორს, მწვრთნელს, სპორტკომიტეტის ან სპორტსაზოგადოების საბჭოს ერთ-ერთ მუშაკს და ა. შ.

ბ რ ი გ ა დ უ ლ ი მ ე თ ო დ ი – გამოყენებულია იმ შემთხვევაში, როდესაც კონტროლს ან შემოწმებას ავალებენ რამდენიმე პირს ან შემმოწმებელთა ჯგუფს, ბრიგადებს ან კომისიებს. ბრიგადულ მეთოდს იყენებენ დაქვემდებარებულ ან გასაკონტროლებელ ობიექტზე ერთი ან რამდენიმე საკითხის გასარკვევად, აგრეთვე რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქისა და რაიონის ორგანიზაციების შესამოწმებლად.

კონტროლი და შემოწმება შედგება სამი ურთიერთ მჭიდროდ დაკავშირებული ეტაპისაგან: 1. შესამოწმებელი ორგანიზაციის დამახასიათებელი მასალების წინასწარი გაცნობა; 2. კონტროლი, შემოწმება და ინსტრუქტირება ადგილზე, თვით შესამოწმებელ ობიექტზე; 3. კონტროლის, შემოწმებისა და ინსპექტირების შედეგების დაჯამება. ამის შემდეგ შემმოწმებელი ადგენს შემოწმების წინასწარ გეგმას. საჭიროების შემთხვევაში შემმოწმებელს შეუძლია შემოწმებაში ჩააბას ადგილობრივი აქტივიც.

შემოწმება უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ღრმა. შესამოწმებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ყველა პირობა უნდა შეუქმნას შემმოწმებელს მუშაობისათვის, გამოუყოს სამუშაო ადგილი, მოამზადოს და მიაწოდოს სათანადო ცნობები, ციფრობრივი მონაცემები და ა. შ.

შემოწმებისას ობიექტურად უნდა გააანალიზონ მუშაობის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, შეაფასონ ხელმძღვანელობისა და უშუალოდ საქმის შემსრულებლის მუშაობა, შეამოწმონ დადგენილებათა, გადაწყვეტილებათა, მითითებათა შესრულების ხარისხი და დადგენილი ვადები, მუშაობის აღრიცხვის, ანგარიშგების, საქმის წარმოების ხარისხი, სისწორე და ა. შ.

შემოწმება მაშინ მოგვცემს დადებით შედეგს, როდესაც იგი განხორციელდება ობიექტურად, ყოველმხრივად,

ყველა მასალის, ფაქტის ღრმა შესწავლის საფუძველზე, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების გამოვლინებით.

შემოწმების შედეგების მიხედვით შეადგენენ აქტს, ხოლო საფინანსო-სამეურნეო შემოწმებისას - რევიზიის აქტს.

აქტში დაწვრილებით უნდა იყოს აღნიშნული შემოწმებული ორგანიზაციის მუშაობის როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. აქტს ხელს აწერს როგორც შემმოწმებელი ასევე შემოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. იმ შემთხვევაში როდესაც შემოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ ეთანხმება აქტში აღნიშნულ ფაქტებს, მას შეუძლია შეიტანოს ხელმოწერის წინ თავისი შენიშვნები ან გააპროტესტოს შემოწმების შედეგები შემმოწმებელ ორაგნიზაციაში. საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით კი როდესაც ამოწმებენ რამოდენიმე ორგანიზაციას, ან ერთი ორგანიზაციის რამდენიმე განაყოფს, აქტების საფუძველზე ადგენენ ცნობას. ცნობაში მოკლედ, ზუსტად და გასაგებად აღწერენ მუშაობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს და ჩაწერენ სათანადო წინადადებას ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

შემოწმების შედეგები სასურველია განიხილონ შემოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე ან ფიზკულტურელთა საერთო კრებაზე.

იმ შემთხვევაში თუ შემოწმებით გამოვლინდება სერიოზული ნაკლოვანებები, დარღვევები და საკითხი საჭიროებს სპორტის დეპარტამენტის საბჭოზე გატანას, შეადგენენ დადგენილების (გადაწყვეტილების, ბრძანების) პროექტს, რომელსაც საკითხის განხილვამდე წინასწარ უნდა გაეცნოს შემოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

დადგენილების პირველ ე. წ. საკონსტატაციო ნაწილის დასაწყისში მოკლედ უნდა იყოს აღნიშნული მუშაობის დადებითი მხარეები, ორგანიზაციის მიღწევები, ამის შემდეგ კი, უფრო ფართოდ და დაწვრილებით – ნაკლოვანებები, მათი გამომწვევი რომელსაც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზები.

დადგენილების მეორეს ე. წ. სადირექტივო ნაწილის შედგენა სერიოზულ მუშაობას საჭიროებს. ძირითადად ამაზეა დამოკიდებული ნაკლოვანებების სასწრაფოდ გამოსწორება. დადგენილების ნაწილი უნდა იყოს კონკრეტული, ობიექტური და რეალური. საჭიროა დაისახოს ყველა საკითხის გადაწყვეტის კონკრეტული ვადების განსაზღვრა და შემსრულებელი პასუხისმგებელი პირების გამოყოფა დადგენილების შესრულებაზე კონტროლი, ინსპექტირება, ზედამხედველობა უნდა დაევალოს შემმოწმებელი ორგანიზაციის იმ ქვეგანაყოფს, რომელმაც საკითხი მოახსენა დეპარტამენტის საბჭოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა.დოკვაძე. „ფიზკულტურული მოძრაობის მართვის ორგანიზაცია". თბილისი. 1986ნ.
2. В. И. Жолдак, В.Ф. Квартальнов – Основы менеджмента в спорте и в туризме. Москва. 2001 1т., 2002 2т.
3. პროფ. ჯ. ძაგანია – „საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფცია" (2003-2015ნ.ნ.)
4. ა.ციბაძე, დ. კინწურაშვილი - „ოლიმპიზმი საქართველოში". თბილისი 1996 ნ.
5. ვ. ქარუმიძე - „საქართველოს ტურიზმისა და სპორტის სამართალი". თბილისი 2001ნ.
6. მურმან არდია, გელა მარგველანი. „მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები" 1988ნ.
7. ი. ზორპი ვ. კვარტალნიკოვი. „ტურიზმის ენციკლოპედია". 2000 ნ.
8. კ. ასტახიშვილი. „ტურიზმი". 1976 ნ.
9. „საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდება". თბილისი.2002ნ.
10. ჯ.ძაგანია - „ოლიმპიური თამაშები". გამომცემლობა „გლობალ პრინტი". თბილისი 2003ნ.

სარჩევი

1. საგანი – „სპორტისა და ტურიზმის მენეჯმენტი“..... 3
2. ფიზიკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ხელმძღვანელობის ძირითადი ფორმები..... 4
3. მენეჯმენტი..... 5
4. საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კონცეფცია (2003-2015 წლები) 17
5. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო სპორტის დეპარტამენტის მუშაობის შინაარსი და სტრუქტურა..... 36
6. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამართლებრივი საფუძვლები..... 48
7. სპორტის მართვის სახელმწიფო ორგანოები..... 49
8. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო..... 52
9. ფიზიკური აღზრდის ფორმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში..... 53
10. ფიზიკური არზრდისა და სპორტის ორგანიზაცია უმაღლეს სასწავლებლებში..... 59
11. სამედიცინო კონტროლი..... 62
12. ფიზიკური არზრდის ფორმები საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში..... 63
13. კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო..... 64
14. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო..... 64
15. თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტრო..... 66
16. საქართველოს ეროვნული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შეევარდენი“..... 67

17. საქართველოს რესპუბლიკური სპორტსაზოგადოება „მართველ“ 79

18. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ოლიმპიურისპორტული კლუბის მუშაობის შინაარსი და სტრუქტურა 89

19. საქართველოს ეროვნული ფედერაცია 100

20. საერთაშორისო ფედერაციები 114

21. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტეტი (სეოკ-ი) 116

22. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკი) 127

23. ტურიზმისა და კურორტების სახემწიფო დეპარტამენტი 133

24. ტურიზმის სახეები, მნიშვნელობა, შინაარსი და სტრუქტურა 140

25. საქართველოს სპორტის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა 149

26. ფიზკულტურული კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება 151

27. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პროპაგანდა 156

28. საქმის ქაღალდები, საქმის ქაღალდების მნიშვნელობა, გამოყენება და გაფორმება 162

29. საქართველოს კანონი სპორტის შესახებ 181

30. ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში კონტროლი და შესრულების შემოწმება 202

31. გამოყენებული ლიტერატურა 209

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში
0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №40